6(9
1962

ეროვნული
ბიბლიოთეკა



# დროშა

№ 4 აპრილი 1962



ამხანაგ ნ. ს ხრუშჩოვის გამოსვლა მარტის პლენუმზე

# ისტორიული პლენუმი

მთელი ჩვენი საბჭოთა ხალხი და მსოფლიოს კეთილი ნების ადამიანები, საბჭოთა სახელმწიფოს მეგობრები, დიდი კმაყოფილებით შეხვდნენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მარტის პლენუმს. პლენუმმა მოისმინა, განიხილა და ერთსულოვნად მოიწონა ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენება „კომუნისტური მშენებლობის თანამედროვე ეტაპი და პარტიის ამოცანები სოფლის მეურნეობის ხელმძღვანელობის გაუმჯობესების დარგში“. მოხსენებაში მოცემულია ჩვენი ქვეყნის სოფლის მეურნეობის ღრმა ანალიზი, ნაჩვენებია ეკონომიკის ამ დარგის უდიდესი მნიშვნელობა მთელი კომუნისტური მშენებლობის წარმატებისათვის, მოცემულია ჩვენი ქვეყნის სოფლის მეურნეობის პერსპექტივები. პლენუმზე სიტყვებით გამოვიდნენ პარტიული, საბჭოთა, საკოლმეურნეო სოფლის ხელმძღვანელი და რიგითი მუშაკები, სოფლის მეურნეობის სპეციალისტები, მეცნიერები. პლენუმმა მიიღო დადგენილება, რომელშიც დასახულია დიდმნიშვნელოვანი ღონისძიებანი პარტიის ახალი პროგრამის პრაქტიკული განხორციელებისათვის. პლენუმმა მიიღო აგრეთვე ცენტრალური კომიტეტის მიმართვა ჩვენი სამშობლოს კოლმეურნეებისადმი, საბჭოთა მეურნეობების მუშების, სოფლის მეურნეობის სპეციალისტების, მეცნიერების, მრეწველობის მუშების, კომუნისტებისა და კომკავშირელებისადმი, ყველა მშრომელისადმი.

პლენუმმა დაწვრილებით განიხილა კომუნისტური მშენებლობის საარსებოდ დიდმნიშვნელოვანი და, ამასთან ერთად, ერთ-ერთი ძნელი ამოცანა — სოფლის მეურნეობის განვითარების, ჩვენს ქვეყანაში მარცვლეულის, ხორცის, რძის და მოსახლეობის მზარდ მოთხოვნილებათა სრული დაკმაყოფილებისათვის საჭირო სხვა პროდუქტების სიუხვის შექმნის ღონისძიებათა საკითხი.

„ამ ამოცანას რომ ვაყენებთ, როგორც ერთ-ერთ პირველი რიგისა და გადაუდებელ ამოცანას, ჩვენ ვემყარებით მარქსისტულ-ლენინურ მოძღვრებას საზოგადოების საწარმოო ძალების განვითარების შესახებ, კვების პროდუქტების სიუხვის შექმნაში სოფლის მეურნეობის როლისა და მნიშვნელობის შესახებ“, — თქვა ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვმა თავის მოხსენებაში. იმისათვის, რომ კომუნიზმი ვაშენოთ, საჭიროა არა მარტო განუწყვეტლივ მზარდი, პირველხარისხოვანი მრეწველობა, არამედ დიდად განვითარებული სოფლის მეურნეობაც. სწორედ ამის შესახებაა ნათქვამი პარტიის ახალ პროგრამაში: „მძლავრ მრეწველობასთან ერთად აყვავებული, ყოველმხრივ განვითარებული და მაღალპროდუქტიული სოფლის მეურნეობის შექმნა კომუნიზმის აშენების აუცილებელი პირობაა“.

უკანასკნელ ხანებში ჩვენი ქვეყნის სოფლის მეურნეობა დიდად წავიდა წინ. სოფლის მეურნეობის საერთო პროდუქცია 1953 წლიდან 1961 წლამდე 1,6-ჯერ გადიდდა. სოფლის მეურნეობის წარმატებები უდაოა, მაგრამ პარტია მკვეთრად აკრიტიკებს საქმის მდგომარეობას სოფლის მეურნეობაში, ააშკარავებს ნაკლოვანებებს. პარტიას მიაჩნია, რომ მარცვლეულის, ხორცის, რძისა და სხვა პროდუქტების წარმოების დონე ჯერ კიდევ არაა საკმარისი. ბევრმა პარტიულმა მუშაკმა ვერ შეიგნო, რომ საჭიროა გადაჭრით გაუმჯობესდეს ორგანიზაციული მუშაობა სოფლის მეურნეობაში, დროზე არ მიიღო საჭირო ღონისძიებანი მიწის უკეთ გამოყენებისათვის. პლენუმმა დაგმო ნათესბალახიანი სისტემა, როგორც უსაფუძვლო მეცნიერული თვალსაზრისით, ჩვენი სოფლის მეურნეობისათვის უვარგისი. საჭიროა სასწრაფოდ გადავიდეთ მიწათმოქმედების უფრო ინტენსიურ სისტემებზე, ფართოდ დავნერგოთ მაღალპროდუქტიული სათოხნი და პარკოსანი კულტურები. პლენუმმა დასახა ღონისძიებანი, რომლის ძალით სოფლის მშრომელებმა უნდა იბრძოლონ ჰექტარზე 300-500 ცენტნერი ტაროიანი სიმინდის მწვანე მასის, 200-300 ცენტნერი სასილოსე საკვები პარკოსნების, 200-250 ცენტნერი შაქრის ჭარხლის მიღებისათვის. პროგრამა-მინიმუმით განსაზღვრულია ვაწარმოოთ ხორცი 75 ცენტნერი ას ჰექტარ სახნავზე და 16 ცენტნერი ას ჰექტარ სხვა სასოფლო-სამეურნეო სავარგულებზე. შემდგომ ეტაპზე ხორცის წარმოება ას ჰექტარ ნახნავზე გადიდდება 100 ცენტნერამდე. პლენუმის გადაწყვეტილებით უნდა შეიქმნას სოფლის მეურნეობის მართვის ორგანოები. ასეთი ორგანოები იქნება ტერიტორიული საწარმოო სამმართველოები სასოფლო-სამეურნეო წარმოების სახელმძღვანელოდ და სოფლის მეურნეობის კომიტეტები, რომლებიც იქმნება ოლქებში, მხარეებსა და რესპუბლიკებში. იქმნება, აგრეთვე, სოფლის მეურნეობის საკავშირო კომიტეტი. პლენუმმა დიდი ყურადღება მიაქცია „საქსოფლტექნიკის“ ორგანოების მუშაობის გაუმჯობესებას სოფლის მეურნეობის მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის საქმეში. აქტუალური ამოცანებია დასახული სოფლის მეურნეობის მეცნიერების წინაშე.

პარტიული ორგანიზაციების პასუხისმგებლობა დიდად იზრდება ზემოაღნიშნული ღონისძიებების გატარების საქმეში. პარტიული ორგანიზაციები მტკიცედ უნდა ადევნებდნენ თვალს, რომ თანმიმდევრულად ხორციელდებოდეს პროდუქტების წარმოების გადიდებით კოლმეურნეთა, საბჭოთა მეურნეობების მუშათა, სპეციალისტთა მატერიალური დაინტერესების პრინციპი.

ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენებასა და საბოლოო სიტყვაში, პლენუმის დადგენილებასა და ცენტრალური კომიტეტის მიმართვაში ხაზგასმულია, რომ ჩვენს ხალხს გააჩნია ყველა შესაძლებლობა წარმატებით გადაიჭრას დასმული ამოცანა, მკვეთრად გადიდდეს ჩვენი სახალხო მეურნეობის დოვლათი და კიდევ უფრო სწრაფად დავიახლოვოთ მშრომელი კაცობრიობის სანუკვარი ოცნება — კომუნიზმი.

დიდი და საპატიო ამოცანები დგას ჩვენი რესპუბლიკის, საბჭოთა საქართველოს მშრომელთა, პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების წინაშე. რესპუბლიკაში ყველაფერი კეთდება და გაკეთდება იმისათვის, რომ შესრულდეს ოცდამეორე ყრილობის მიერ დასახული ამოცანები სოფლის მეურნეობის მზარდი განვითარების საქმეში. ამის შესახებ პლენუმს მოუთხრო საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრობის კანდიდატმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხანაგმა ვ. პ. მჟავანაძემ. „რესპუბლიკაში სულ გვექნება სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოებისა და დამზადების 16 სარაიონთაშორისო სამმართველო. შეიქმნება სამინისტროები ორ ავტონომიურ რესპუბლიკაში და სამმართველო ავტონომიურ ოლქში, — თქვა ამხ. მჟავანაძემ, — ჩვენ მიგვაჩნია, რომ სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოებისა და დამზადების სამმართველო უნდა განლაგდეს ერთ-ერთ რაიონში, საიდანაც იგი უხელმძღვანელებს და წარმართავს ყველა ქვემდებარებულ რაიონს“.

ამგანახმა ვ. პ. მჟავანაძემ პლენუმზე წამოაყენა რიგი საკითხებისა, რომელთა გადაჭრა მკვეთრად გაადიდებს მოსავლიანობას.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მარტის პლენუმი განსაკუთრებულ ადგილს დაიკავებს ჩვენი პარტიის ისტორიაში. „აქ წყდება ძირეული საკითხები, — თქვა ამხ. ვ. პ. მჟავანაძემ, — რომლებიც უზრუნველყოფენ სოფლის მეურნეობის მკვეთრ აღმავლობას, იქმნება პირობები, რათა უმოკლეს ვადაში მივაღწიოთ სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების სიუხვეს საბჭოთა ხალხისათვის“.

* * *

27 მარტს გაიმართა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი, რომელმაც განიხილა სკკპ ცენტრალური კომიტეტის მარტის პლენუმის შედეგები და საქართველოს პარტიული ორგანიზაციის ამოცანები რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მართვის გაუმჯობესების დარგში. ამ საკითხზე მოხსენებით გამოვიდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრობის კანდიდატი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ამხ. ვ. პ. მჟავანაძე.

განხილულ საკითხზე პლენუმმა მიიღო ვრცელი გადაწყვეტილება. პლენუმმა განიხილა ორგანიზაციული საკითხები. საქ. კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრობის კანდიდატად არჩეულია საქ. კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი ამხ. რ. ი. ფრუიძე. პლენუმმა დაამტკიცა საქ. კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის განყოფილებათა გამგეები და ცენტრალური კომიტეტის გაზეთებისა და ჟურნალის რედაქტორები.


პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

დროშა

№ 4 (129) აპრილი, 1962 წ.

გამოცემის XII წელი.

ყოველთვიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სალიტერატურო-სამხატვრო ჟურნალი

# ყველაზე ადამიანური ადამიანი

ეროვნული ბიბლიოთეკა

იყო და არის ერთი სახელი, რომელიც განსაკუთრებით ძვირფასი და მახლობელია ყველა ქვეყნის უბრალო ადამიანებისათვის. ეს სახელია ლენინი, რომლის დაბადების 92 წლისთავს ზეიმით აღნიშნავენ საბჭოთა ხალხი და მთელი პროგრესული კაცობრიობა.

ვ. ი. ლენინი გამოირჩეოდა დიდი უბრალოებით, გულისხმიერებითა და გულითადობით. 1918 წელს მაქსიმ გორკიმ სორმოვოს მუშას დიმიტრი პავლოვს ჰკითხა: როგორია თქვენი შეხედულებით ლენინის ყველაზე მკვეთრად გამოსახული თვისება? მან უპასუხა: „უბრალოება. უბრალოა, როგორც სიმართლე“.

ამერიკელი პროგრესული ჟურნალისტი ალბერტ რის ვილიამსი, რომელიც 1917 წელს ჯონ რიდთან ერთად ჩამოვიდა ჩვენს ქვეყანაში, მოგვითხრობდა: „ერთხელ ლენინთან მისაღებ ოთახში ზუსტად დანიშნულ დროზე მივედი. იქ დამხვდა ბევრი მთხოვნელი და მათთან ერთად მიღებას დიდხანს ვუცდიდი. კაბინეტიდან მნახველის ყრუ, თანაბარი ხმა მოისმოდა. ვინ არის ეს მაღალი პერსონა ლენინთან ასეთი ხანგრძლივი საუბრის ღირსი? როგორც იქნა კაბინეტის კარი გაიღო და ყველა განცვიფრებული დარჩა — იქიდან გამოვიდა არა დიპლომატი, ან რომელიმე სხვა მაღალი რანგის ადამიანი, არამედ... ტიპიური ღარიბი გლეხი, რომლის მსგავსი მილიონობით შეიძლებოდა ენახა კაცს მაშინდელ საბჭოთა რუსეთში. — მომიტევეთ, — მითხრა ლენინმა, როცა მის კაბინეტში შევედი, — ეს გლეხი ტამბოვიდანაა, მინდოდა გამეგო, რას ფიქრობდა ელექტროფიკაციის, კოოპერაციისა და ეკონომიური პოლიტიკის შესახებ. მან ისეთი საინტერესო ამბები მომითხრო, რომ სრულიად დამავიწყდა დროის სათვალავი“.

ყველა, ვინც კი ვ. ი. ლენინს ხვდებოდა, მოხიბლული რჩებოდა მისი იშვიათი თვისებით — ადამიანებისადმი ყურადღებით. იყო ასეთი შემთხვევა: ლენინს ეწვია გლეხი ჩეკუნოვი, საუბრის დროს სტუმარი წამდაუწუმ ისწორებდა სათვალეს, ზოგჯერ კი იხსნიდა და შეწუხებული ათვალიერებდა. ეს არ გამოეპარა ლენინის გამჭრიახ თვალებს, და აი, ჯანდაცვის პირველმა სახალხო კომისარმა ნ. ა. სემაშკომ მისგან წერილი მიიღო:

„ჩემთან არის ამხ. ივანე ათანასეს ძე ჩეკუნოვი, მეტად საინტერესო მშრომელი გლეხი, რომელიც თავისებურად ეწევა კომუნიზმის საფუძვლების პროპაგანდას. მან დაკარგა სათვალე. სრულიად უვარგისში 15.000 მან. გადაიხადა!... ძალიან გთხოვთ დაეხმაროთ და სთხოვეთ თქვენს მდივანს, რომ შემატყობინოს, მოხერხდა თუ არა“.

ამ პატარა წერილში ყველაფერი ლენინურია, ადამიანებისადმი ყურადღებაც, სახელისა და მამის სახელის გულდასმით გამოყვანაც, მომართვის სტილიც: „...სთხოვეთ თქვენს მდივანს“, და შესრულების შემოწმებაც: „...მოხერხდა თუ არა“.

რკპ(ბ) IX ყრილობის მუშაობის დროს (1920 წლის აპრილი) დელეგატებმა წინადადება შეიტანეს მოეწყოთ ზეიმი ვ. ი. ლენინის პატივსაცემად მისი დაბადების 50 წლისთავის გამო. ამ წინადადებას მთელი ყრილობა მქუხარე ტაშით შეხვდა. მაგრამ ვლადიმერ ილიას ძემ თავი შორს დაიჭირა. მან სხვა წინადადება წამოაყენა: „ამხანაგებო, სჯობს ვიმღეროთ „ინტერნაციონალი“!“ ყრილობის მონაწილეებმა ერთსულოვნად იმღერეს „ინტერნაციონალი“, ხოლო შემდეგ მაინც შეუდგნენ სიტყვების მოსმენას ბელადის ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე. ორი ორატორის გამოსვლის შემდეგ ლენინმა განაცხადა, ეს სრულიად საკმარისიაო, და წინადადება წამოაყენა ელაპარაკნათ პარტიისა და საბჭოთა მშენებლობის საარსებო საკითხებზე. ყრილობის დელეგატები არ დათანხმდნენ, — მათ უნდოდათ გამოეთქვათ თავიანთი გულწრფელი გრძნობები და მხურვალე სიყვარული ვ. ი. ლენინისადმი. მაშინ ვლადიმერ ილიას ძე ადგა და წავიდა, მიუხედავად იმისა, რომ სთხოვდნენ დარჩენილიყო, და შეუდგა ყრილობის პრეზიდიუმის განუწყვეტელ „დაბომბვას“ წერილებითა და ტელეფონით, მოითხოვდა ჩქარა დაემთავრებინათ გამოსვლები და ემსჯელათ პარტიისა და სახელმწიფოს საჭირბოროტო საკითხებზე.

იმ ხანებში კრემლში ოთახები სუსტად თბებოდა. ვლადიმერ ილიას ძის კაბინეტში ხშირად ციოდა. ფეხები რომ არ მოჰყინოდა, მაგიდის ქვეშ ქეჩა ეფინა. ერთხელ, თავის კაბინეტში რომ მივიდა, ნახა, მაგიდის ქვეშ ქეჩის ნაცვლად დათვის ტყავი დაეგოთ. იგი სიბრაზით აინთო: ვინ მისცათ ნება, ეს რატომ გააკეთეს? საერთო საცხოვრებელში გათბობა არ არის, იქ მუშათა ოჯახები იყინებიან, სახკომსაბჭოს თავმჯდომარემ კი ფეხები ტყავით უნდა გაითბოს: რისთვის არის ასეთი ფუფუნება საჭირო!

რა იყო ეს? მეტისმეტი, წვრილმანი პედანტიზმი? რა თქმა უნდა, არა. ეს იმის ღრმა შეგნება იყო, რომ ახალი საზოგადოების ხელმძღვანელს ხალხთან ერთად უნდა გაენაწილებია მისი სიხარულიც და მწუხარებაც, მისი ლხენაცა და გაჭირვებაც.

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის შემდეგ, როცა ვ. ი. ლენინი სათავეში ჩაუდგა საბჭოთა მთავრობას, იგი ისეთივე უბრალო დარჩა, როგორიც მანამდე იყო. იცვამდა ისევე სადად, როგორც წინათ. როგორც მისი ახლობლები იგონებენ, 1920 წელს ლენინს ეცვა საგულდაგულოდ გაწმენდილი უბრალო პიჯაკი, რომელსაც 1907 წელს ატარებდა; მოსკოვში ლენინის ცენტრალურ მუზეუმში ინახება ვლადიმერ ილიას ძის უბრალო პალტო, რომელიც მას ეცვა 1917 წელს ემიგრაციიდან დაბრუნების დროიდან სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე.

ლენინი გულისხმიერად და ყურადღებით ექცეოდა ადამიანებს, დაუცხრომლად ზრუნავდა ამხანაგების ჯანმრთელობაზე. როგორც კი გაიგებდა, რომ ესა თუ ის ამხანაგი ცუდ პირობებში ცხოვრობდა, ან რაიმე ნაკლებობას განიცდიდა, ყოველ ღონეს ხმარობდა მის დასახმარებლად. როცა ვლადიმერ ილიას ძემ გაიგო, რომ მძიმე შრომისაგან დაავადმყოფებული ძერჟინსკი დასვენებაზე უარს ამბობდა, ცენტრალურ კომიტეტში წინადადება შეიტანა, რათა სპეციალური დადგენილებით ძერჟინსკი დასასვენებლად ნაროფომინსკში გაეგზავნათ ორი კვირით.

უბრალოებასა და გულკეთილობასთან ერთად ლენინს ახასიათებდა სისასტიკეც სპეკულანტების, მექრთამეებისა და კარიერისტების მიმართ, შეურიგებლობა პარტიისა და ხალხის მტრების მიმართ, გადაჭრით წყვეტდა ყოველგვარ ურთიერთობას ყველაზე ახლობელ ამხანაგებთანაც კი, როცა ისინი მცდარ გზაზე დგებოდნენ და არ სურდათ მისგან გადახვევა.

ასეთი იყო დიდი ლენინი, ყველაზე უფრო ადამიანური ადამიანი, რომლის ნათელი ცხოვრება ნიმუშად დარჩება ყველა დროისა და ეპოქის თაობებისთვის.

ფ. მახარაძე



88 31
სახ. საქ. რესპუბ. ბიბლიოთეკა

# ადამიანი სამყაროს მბრძანებელი

„ჩვენ სამართლიანად ვამაყობთ იმით, რომ სწორედ ჩვენ, სოციალიზმის ქვეყანამ, ჩვენ, საბჭოთა ადამიანებმა, დიდი საბჭოთა ქვეყნის ყველა რესპუბლიკის ყველა ეროვნების ხალხებმა შევაღწიეთ პირველმა კოსმოსში, — ჩვენმა საბჭოთა ადამიანმა, კომუნისტმა იური გაგარინმა პირველმა შემოუარა კოსმოსში დედამიწას და დაეშვა იქ, სადაც დაგეგმილი იყო".

ნ. ს. ხრუშჩოვი.

ერთი წლის წინათ, 1961 წლის 12 აპრილს კოსმიურმა ხომალდმა „აღმოსავლეთი-1", რომელშიც იმყოფებოდა საბჭოთა კავშირის მოქალაქე მაიორი იური გაგარინი, მოახდინა თავისი უბადლო კოსმიური გაფრენა დედამიწის ირგვლივ.

პირველად ისტორიაში ადამიანი — ჩვენი საბჭოთა ადამიანი — საბჭოთა მეცნიერების, მუშების, ინჟინრების და ტექნიკოსების მიერ შექმნილი ხომალდით გაიჭრა კოსმიურ უსაზღვროებაში და განახორციელა უმაგალითო რეისი ვარსკვლავებისაკენ.

სულ რაღაც სამიოდე თვის შემდეგ მეორე კოსმიური ხომალდით „აღმოსავლეთი-2" მაიორმა გერმანე ტიტოვმა 17-ჯერ შემოუარა დედამიწას, ოცდახუთი საათის განმავლობაში დაფარა 700 ათასი კილომეტრზე მეტი მანძილი და მშვიდობიანად დაეშვა წინასწარ დაგეგმილ ადგილას.

დაიწყო ახალი ერა კაცობრიობის ისტორიაში — ადამიანის მიერ კოსმიური სივრცეების დაპყრობისა და ათვისების ერა!

ბევრი უდიდესი მიღწევაა ჩვენი სახელოვანი XX საუკუნის ანგარიშზე. სწავლულთა გენიამ, ინჟინერთა შემოქმედებითმა ნიჭმა, მუშების შთაგონებულმა შრომამ მსოფლიოს მისცეს ტელეხედვა და ანტიბიოტიკები, რეაქტიული ავიაცია და პოლიმერები. ატომის დაპყრობით ადამიანმა საოცრება მოახდინა, მისი კოსმოსში გაფრენა კი არის საოცრება საოცრებათა შორის, მეცნიერული რეკორდი, რომლის მსგავსი ჯერ არ ახსოვს ისტორიას.

სამეცნიერო-ფანტასტიკური ლიტერატურის ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული და ხელმოსაკიდი თემა „ადამიანი კოსმოსში" დღეს აღარ წარმოადგენს ფანტასტიკას. გაგარინი და ტიტოვი, ხოლო შემდეგ ამერიკელი კოსმონავტი ჯონ გლენი უკვე იყვნენ იქ, ატმოსფეროს თვალუწვდენელი ოკეანის მიღმა, კოსმოსის შავ სივარიელეში.

ეს უკვე აღარ იყო ექსპერიმენტი. ეს იყო ნამდვილი ნორმალური ცხოვრება უსაზღვროებაში: ადამიანი ჭამდა, მუშაობდა, იმყოფებოდა სრული უწონადობის მდგომარეობაში, თვითონ განაგებდა კოსმიურ ხომალდს და სურვილისამებრ გადასცემდა ავტომატურ მართვას. ადამიანმა გაიარა შვიდასი ათასი კილომეტრი გზა და საღ-სალამათი დაუბრუნდა მშობლიურ პლანეტას.

ეს იყო მისი დღემდე გაუგონარი გამარჯვება!

ოდესღაც ძველი ზღვაოსნები, გასულნი ოკეანეთა უცნობ სივრცეებში, ვარსკვლავებით იკვლევდნენ გზას. დღეს კი ვარსკვლავთა შორის მფრინავი კოსმიური ნავიგატორი მშობლიური დედამიწით იღებს ორიენტაციას.

დედამიწამ დაბადა იგი — საოცრებათა უბადლო შემქმნელი, სამყაროს მბრძანებელი, რომელმაც ფართოდ გაიღო თვალწარმტაცი და ზღაპრული მომავლის დღემდე დახშული კარი.

„დედამიწა გონების აკვანია. მაგრამ არ შეიძლება მუდამ აკვანში ცხოვრება. კაცობრიობა სამუდამოდ როდი იქნება მიჯაჭვული დედამიწაზე. სინათლისა და სივრცის დევნაში ის ჯერ გაუბედავად გაიჭრება ატმოსფეროს საზღვრებს გადაღმა, ხოლო შემდეგ მთელს მზისახლო სივრცესაც დაიპყრობს", — წერდა დიდი საბჭოთა მეცნიერი კ. ციოლკოვსკი.

დიახ, ადამიანი გაიზარდა, დადგა ფეხზე და ახლა, მოსწყდა რა თავის აკვანს — დედამიწას, გადადგა პირველი „გაუბედავი" ნაბიჯი კოსმოსში.

დედამიწის ხელოვნური თანამგზავრების, საპლანეტათაშორისო სადგურებისა და კოსმიური ლაბორატორიების მეოხებით იგი სულ უფრო ღრმად იჭრება კოსმიურ სივრცეში, სულ უფრო დაჟინებით ზვერავს უსაზღვროებათა დაუსრულებელ და უცნობ გზებს.

წარმოიდგინეთ ფოტოგრაფიული ქაღალდის ფურცელი, რომელზეც არაფერი ჩანს მანამდე, სანამ მას არ გამოამჟღავნებენ. ბევრი შრომაა საჭირო იმისათვის, რომ ამ ფურცელზე გამოსახულება მიიღონ. სწორედ ასეთ თეთრ ფურცელს წარმოადგენდა იმ მეცნიერთა მოღვაწეობის ასპარეზი, რომლებმაც გადაწყვიტეს კოსმიური სივრცის დაპყრობა.

პირველი ხაზი ამ ფურცელზე ფიზიკამ გაავლო. მეცნიერებმა გაიგეს, რომ განსაზღვრულ პირობებში 7,91 კილომეტრი სიჩქარე წამში უზრუნველყოფს სხეულის გადაქცევას დედამიწის ხელოვნურ თანამგზავრად. მათ გამოარკვიეს, რომ წამში 11,2 კილომეტრი სიჩქარის დროს სხეული შეძლებს დედამიწის მიზიდულობის დაძლევასა და მზის სისტემის კოსმიურ სივრცეებში წასვლას. მათ გამოიანგარიშეს, რომ მესამე კოსმიური სიჩქარის-წამში 16.3 კილომეტრი სიჩქარის დროს შეიძლება რაკეტის გაგზავნა მზის სისტემის საზღვრებს იქით აზრმა, ფანტაზიამ, ზღაპარმა მიიღო ზუსტი მეცნიერული გამოანგარიშება.

საჭირო გახდა უდიდესი შრომის დახარჯვა იმისათვის, რომ კოსმიური ხომალდების შექმნის წინამძღვრები თეორიებიდან კონკრეტულ ინჟინრულ-ტექნიკურ კონსტრუქციებად გადაქცეულიყო. ამის შემდეგ კი წარმოიქმნა მეცნიერების ახალი დარგები და ახალი მეცნიერებებიც კი, ისეთები, როგორიცაა კოსმოსური ბიოლოგია და კოსმიური მედიცინა. მეცნიერების „ყველა დროშა" ეწვია სტუმრად მათ, ვინც თავს იდო დიდი და ძნელი საქმე — კოსმონავტის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის უსაფრთხოების უზრუნველყოფა. კოსმიურ ბიოლოგიასა და მედიცინასთან მჭიდრო კავშირი დაამყარეს ბიოფიზიკამ და ბიოქიმიამ, ფიზიოლოგიამ და საავიაციო მედიცინამ, აეროდინამიკამ და რაკეტულმა ტექნიკამ, გეოფიზიკამ და ასტრონომიამ, რადიოლოგიამ და რადიოელექტრონიკამ.

კოსმოსის „ფოტოგრაფია" საბოლოოდ ნათელი და სრული გახდა. მეცნიერებამ უპასუხა ადამიანს იმის შესახებ, რომ საბჭოთა ხომალდით გაფრენა კოსმოსში არ არის საშიში მისი ჯანმრთელობისა და სიცოცხლისათვის. უკვე მზად იყო ყველაფერი კოსმიურ შორეთში ადამიანის შესაჭრელად.

და აი, აღსრულდა — საბჭოთა ადამიანი ვარსკვლავებისა და პლანეტების თანამგზავრი გახდა!

ადამიანს ბევრი მუშაობა დასჭირდება კოსმოსში. ალბათ, მალე გაჩნდება ისეთი დისციპლინებიც, როგორიცაა კოსმიური აგრონომია, კოსმიური გეოლოგია და მრავალი სხვა. ასტრონომია მეთვალთვალეთა მეცნიერებიდან გარდაიქმნება პრაქტიკოს-ექსპერიმენტატორთა მეცნიერებად, ხოლო კოსმიური რადიო და სატელევიზიო კავშირი უკვე ახლა ვითარდება ფანტასტიკური სისწრაფით, და როგორიც არ უნდა იყოს ადამიანთა მოღვაწეობა საპლანეტათაშორისო სივრცეში, იგი მიმართული იქნება ერთი მიზნისაკენ — შექმნან ადამიანისათვის დედამიწაზე კიდევ უფრო წარმტაცი და მშვენიერი ცხოვრება.

ხელოვნური თანამგზავრების გაშვება არის არა მარტო კოსმიური გზების დაზვერვა, ადამიანის პირველი ნაბიჯები ვარსკვლავებისაკენ, არამედ ჩვენი პლანეტის მომავალი ცხოვრების აუცილებელი პირობაც: თანამგზავრების შემწეობით ადამიანი შეძლებს საპლანეტათაშორისო სადგურების შექმნას კოსმოსში, თანამგზავრების საშუალებით განხორციელდება მსოფლიო ტელეხედვა, თანამგზავრების მეოხებით დედამიწაზე მიღებულ იქნება ზედმიწევნით ზუსტი მეტეოროლოგიური ცნობები და ა. შ.

ახლა ჩვენთვის ჯერ კიდევ ძნელია — არა, ძნელი კი არა, უჩვეულოა იმის წარმოდგენა, რომ რამდენიმე წლის შემდეგ ეს კოსმიური გაფრენები, რომლებიც დედამიწის მკვიდრთა ასეთ აღფრთოვანებას იწვევს, სულ უბრალო, ჩვეულებრივ საქმედ გადაიქცევა.

ოცდახუთი საათის განმავლობაში გერმანე ტიტოვმა დაფარა შვიდასი ათასი კილომეტრი გზა. ეს თითქმის ტოლია მანძილისა: დედამიწა-მთვარე-დედამიწა. და შორს არ არის ის დრო, როცა მომავლის კოსმონავტები გარს შემოუფრენენ ჩვენს ბუნებრივ თანამგზავრს, საკუთარი თვალით იხილავენ მის უკანა მხარეს, დასვამენ მის ზედაპირზე კოსმიურ ხომალდს და, ვინ იცის, იქნებ იპოვონ კიდეც ჩვენი ქვეყნის ღერბით დამშვენებული ფოლადის ვიმპელი, რომელიც ამას წინათ მიიტანა მთვარეზე საბჭოთა რაკეტამ.

ამის შემდეგ კი რიგში დადგებიან დედამიწის უახლოესი მეზობლები — მარსი, ვენერა...

მზის სისტემის ფენომენალური შტურმი, რომელსაც საბჭოთა ადამიანები აწარმოებენ, მეცნიერების მშვიდობიანი შტურმია. ეს გაპირობებულია ჩვენი ქვეყნის, ჩვენი ხალხის მშვიდობიანი მიზნებითა და მისწრაფებებით. მაგრამ იქ, სადაც ომის პროპაგანდა და კაცთმოძულეობის ყბადაღებული თეორიები ადამიანის სულის მთავარ საკვებს წარმოადგენს, ტექნიკური პროგრესი და მეცნიერების მიღწევა შეიძლება ხალხთა წინაშე საშიში დანაშაულის იარაღად გადაიქცეს. ამ მხრივ ამერიკის შეერთებულ შტატებში ხელოვნური თანამგზავრი — ჯაშუშების გაშვება მეტად შემაშფოთებელი და დამაფიქრებელი ფაქტია.

„ყველა ხალხის მიერ დაწყევლილი სიტყვა „ომი" — განაცხადა საბჭოთა კოსმონავტმა, მაიორმა გერმანე ტიტოვმა შეერთებულ შტატებში ყოფნის დროს, — რომელიც ჩვენს პლანეტას ემუქრება, ყოველთვის აფერხებს პროგრესს და ათეული და ასეული წლებით უკან სწევს კაცობრიობას, აკრავს ადამიანს მიწას, ისევე როგორც მრგვალ მაგიდასთან მჯდომ ზოგიერთ დიპლომატს სავარძელს აკრავს. მათზე მოქმედებს ზედმეტი ტვირთი, რომელიც ხელის აწევისა და ომის წინააღმდეგ ხმის მიცემის საშუალებას არ აძლევს მათ, არ ანებებს მათ გააღონ პირი და თქვან: „არ გვინდა ომი", დროა ჩამოვიშოროთ გარსადენი, გავხსნათ ილუმინატორები, მოვიშოროთ ზედმეტი ტვირთი და გავიყვანოთ კაცობრიობის ხომალდი მშვიდობის, პროგრესისა და აყვავების ორბიტზე, რათა ომის ხანძარმა ვერასოდეს ვერ დაასახიჩროს დედამიწის მშვენიერი სახე".

მრავალი საუკუნის მანძილზე ორი უდიდესი ძალა — ხალხი და მეცნიერება — გათიშული იყო ერთმანეთისაგან. ახალი ეპოქა კაცობრიობის ცხოვრებაში დაიწყო მაშინ, როცა მოხდა მასების უდიდესი რევოლუციური ენერგიისა და მეცნიერული აზრის მჭიდროდ შერწყმა. ამ ძალებმა აამაღლეს ძველი, უწიგნური და ღატაკი რუსეთი კულტურის ნათელ მწვერვალებამდე, აამაღლეს საბჭოთა ადამიანი პლანეტებსა და ვარსკვლავებამდე. ადამიანი, რომელსაც სურს დედამიწა სამყაროს მშვიდობიან ნავსადგურად გადააქციოს

ი. თავართქილაძე







ვერ დახვრეტენ, ვერ წაშლიან.

ოცდაჩვიდმეტი წლის წინათ ქ. პიატიგორსკში გაიხსნა მეშახტეთა პირველი სამხარეო ყრილობა. პოეტმა და მხატვარმა ნიკოლოზ შჩუკლინმა, რომელიც მაშინ პიატიგორსკის ერთ-ერთ სანატორიუმში მკურნალობდა, ყრილობის საჩუქრად მაშუკის მთის ფერდობის კლდოვან ზედაპირს ზეთის საღებავებით ლენინის პორტრეტი მიახატა.

ადვილი არ იყო პიტალო კლდეზე მუშაობა, მაგრამ 1925 წლის 23 ივლისს 15 კვ. მეტრი ზომის პორტრეტი მზად იყო.

დიდი სამამულო ომის წლებში, როცა ჰიტლერელებმა დაიკავეს პიატიგორსკი, მათ პორტრეტს შავი საღებავი გადაუსვეს. მაგრამ წვიმებმა მალე ჩამორეცხეს ეს საღებავი. ოკუპანტებმა სცადეს ჩამოეფხიკათ ლენინის პორტრეტი. მაგრამ ეს ცდაც უშედეგოდ დამთავრდა; ათეული წლების მანძილზე საღებავი მკვიდრად ჩამჯდარიყო ქვაში. მაშინ გაცოფებულმა ფაშისტებმა ზარბაზნები დაუშინეს პორტრეტს და გამოსახულების მხოლოდ ნაწილი დააზიანეს. ბოლოს გადაწყვიტეს აეფეთქებინათ მთელი კლდე, მაგრამ ველარ მოასწრეს ამ ველური განზრახვის განხორციელება.

1944 წელს, განთავისუფლების შემდეგ, პიატიგორსკის საქალაქო საბჭომ მოძებნა მხატვარი შჩუკლინი, რომელიც შეუდგა პორტრეტის რესტავრაციას და სულ მალე წარმატებით დაამთავრა იგი.

თექვსმეტი წლის შემდეგ, ვ. ი. ლენინის დაბადების 90 წლისთავზე შჩუკლინმა თავისი თანაშემწე ა. ლაპჩენკოსთან ერთად კაპიტალურად განაახლა პორტრეტი. ამჯერად მუშაობა მთელ თვეს გაგრძელდა. როცა ყველაფერი დაამთავრეს, მაშუკის მთის ძირას მიტინგზე შეკრებილ პიატიგორსკელებს თვალწინ წარმოუდგათ წითელი დროშის ფონზე კლდეზე გამოსახული ბელადის ძვირფასი სახე.

ნ. კ. შჩუკლინმა პორტრეტს მიაწერა ტექსტიც, რომელიც ასეთი სტრიქონებით იწყება:

რომ დაეხვრიტათ ბელადის სახე,
რომ წაეშალათ — ლამობდნენ მტრები...
მათ, უვიცებმა, ვერ დაინახეს,
თუ რა ძლიერი მას ჰქონდა მხრები,

რომ მისი დროშა პარტიას მაღლა
უჭირავს შუქად მიმოფენილი,
რომ ცოცხალია და აი, ახლაც,
წინ მიგვიძღვება დიდი ლენინი!..

ვ. ნეიძე



**დავით კვიცარიძე**

მ ო თ ხ რ ო ბ ა

მხატვარი ჯ. ლოლუა.

ჩემი დედულეთი სხვა იმერული სოფლებისაგან არაფრით არ გამოირჩევა. კვინისწყალი მოჩხრიალებს ლამაზი გორაკიდან, თითქმის შუაზე ჰყოფს სოფელს და შნოსა და ლაზათს ჰმატებს. პატარა, ძალზე პატარა მდინარეა კვინისწყალი. თუმცა არასოდეს არ შრება, ზამთარ-ზაფხულ ვიწრო კალაპოტში მოედინება. ზაფხულში სოფლის გოგო-ბიჭები ჭყუმპალაობენ შიგ და ხანდახან თევზსაც კი იჭერენ.

ნახევარი სოფელი ლამაზ გორაზეა შეფენილი. კრამიტით დახურული იმერული ოდა-სახლები, ვენახები, ხეხილი...

ბუხრებიდან განუწყვეტლივ ამოდის კვამლი და ზანტად იშლება სივრცეში. ბუხარია ოჯახში სიცოცხლის უპირველესი ნიშანი

მახსოვს, შუა ცეცხლი იცოდა ბებიამ. ნაჭაზე სალომე წყლით სავსე ქვაბს ჩამოკიდებდა, კეცებსაც შემოწკაპავდა ცეცხლის გარშემო. კვამლისაგან თვალები გვეწვოდა და ვიცრემლებოდით, მაგრამ მაინც ცეცხლზე ვიყავით მიტრუსული.

ბებია უფრო მოშორებით ჩამოჯდებოდა, საწინდე მატყლს დაუწყებდა ჩეჩვას, ან ჩემს მუხლებგამოხეულ შარვალს აკერებდა.

ახლაც თვალწინ მიდგას ის სურათი.

ზის ბებია და იჭოპნება. ჩვენც იქვე ვართ ჩაცუცქული. ნედლი შეშა ხრჩოლავს. ქოხში კვამლია და ჩვენ თვალები გვეწვის.

— შეუბერეთ, ბიჭო, ჭაგ ცეცხლს, შეუბერეთ და გამომახედეთ თვალებში! — დაგვიცაცხანებდა ბებია.

სიტყვის შეუბრუნებლად ცეცხლზე შეშას ვუმატებდით და მერე ხან ერთი ვუბერავდით სულს, ხან მეორე. როცა ემველებოდა და ნედლ შეშას ცეცხლი მოეკიდებოდა, ბებია მიწაზე დაიწყებდა ხელების ფათურს. კოჭა ძაფს ეძებდა. მე წამოვხტებოდი, კოჭას ვიპოვიდი და ვაწვდიდი. ნემსში ძაფის გასაყრელად დიდხანს წვალობდა. ძაფის წვერს ენაზე ჩაასველებდა, ორი თითით დაგრეხდა და გულდაგულ უსწორებდა ნემსის ყუნწს. არაფერი გამოსდიოდა. ჩვენ ვუცქერდით და ვილრიჭებოდით.

— რავა ყველაფერი დააპატარავეს. რავა დაუწვრილეს ყუნწი ამ დასაწვავს, ძაფი ველარ გამიყრია შიგ! — ბუზღუნებდა ბებია და ჩვენც სიცილს ველარ ვიკავებდით.

მაშინ ერთი პატარა, დაბალი ქოხი იდგა ჩვენს ეზოში, ახლა... ბებია კარგა ხანია აღარაა ამ ქვეყნად, ბაბუამ გადააბიჯა სამოცდაათს.

ბაბუაჩემი კიდევ მხნედაა. ტყუილუბრალოდ ჩამომჯდარს ვერავინ შეისწრებს. მუდამ ეზოში დაბუჯურობს. ამ ხნის კაცი სახლის სახურავებზეც კი ადის. კარგა მაღალზე დგას ჩვენი სახლი, მაგრამ მაინც ადის, ქარისაგან დაცურებულ კრამიტს ასწორებს, ან ცვლის. სამი შვილი გაგზავნა ბაბუამ იმ დიდ ომში. სამიდან მხოლოდ ერთი ჩამოვიდა, მასაც ცალი ხელი, ისიც მარჯვენა, დაუტოვებია სადღაც.

მამაჩემი ვერ დაბრუნდა.

რვა შვილიშვილი დავგზარდა ბაბუამ. ორი ჩემი ბიძაშვილი ავტოინჟინერია. ქუთაისში მუშაობენ. მეც საშუალო სასწავლებელი დავამთავრე და ქუთაისისკენ გამოვწიე. ბავშვობიდანვე შრომისმოყვარე ვიყავი და ბაბუასაც გამორჩევით ვუყვარდი.

ბიძაშვილებმა საავტომობილო ქარხანაში მომაწყეს. ვმუშაობდი, თან ვმეცადინეობდი, უმაღლესი სასწავლებლისათვის ვემზადებოდი და სოფელში ველარ ჩავდიოდი.

წელს შვებულებით ვისარგებლე, სახელმძღვანელოებს ხელი მოვხვიე, ჩემოდანში ჩავაწყე და დედულეთისაკენ გავწიე.

მანქანამ შარაგზაზე დამტოვა და რიხრიხით განაგრძო გზა.

ჩემთან ერთად ვიღაც გადმოვიდა მანქანიდან. მე იმისთვის ყურადღება არ მიმიქცევია. ვიდექი რცხილის ძირას და სოფელს გავცქეროდი. რა თქმა უნდა, ყველას გინახავთ შემოღამება სოფელში, მაგრამ ჩემს დედულეთში სხვაგვარად დგება საღამო.

მომცრო გორა უკანასკნელად მიეფიცხება ჩამავალ მზეს.

ბინდი ებრძვის ნათელს. სწორედ ბინდის ჩამოწოლამდეა ლამაზი აქაურობა, თორემ, როგორც კი შეღამდება, ელექტრონის შუქით გაჩახჩახდება მთელი სოფელი და ველარც გაარჩევ ქალაქია თუ სოფელი... კვინისწყლის ჩხრიალი გესმის და გატკბობს

ჩემი დედულეთი!

მოვიხედე. ჩემს უკან კარგა მოზრდილ ჩემოდანზე ქალიშვილი ზის და დანაკვერჩხლებულ ცის დასალიერს გასცქერის. გასცქერის და ეღიმება.

მივუახლოვდი, ისე ფრთხილად, როგორც მონადირე ეპარება ასაფრენად გამზადებულ ფრინველს.

ნეტავ, ვინ არის?

ჩითის კაბა აცვია. გრძელი ნაწნავები მიწას წვდება. მხრებიდან აბრეშუმის თავსაფარი მისცურავს, საცაა დავარდება. მე ხელით ვიჭერ და ოდნავ ვეხები მის მხრებს. შეკრთა, შემომხედა.

— უკაცრავად!

— აქამდე ვერ შემამჩნიე?

ბიჭოს! შინობით მელაპარაკება. ჩანს მიცნობს. მე რა ღმერთი მიწყრება?

შემატყო, დავიბენი და მეხმარება:

— მთელი ორმოცი კილომეტრი გზა ქუთაისიდან ერთი მანქანით მოვრიხინობდით და ახლა გაგახსენდი?

— ბოდიშს ვიხდი, მაგრამ...

წამოდგა თვალი თვალში გამიყარა. გავუძელი. ცოტა მოურიდებლად გამომივიდა. თავიდან ფეხებამდე ავათვალიერჩავათვალიერე. იცოცხლე, მომეწონა, ცნობით ვერა, ვერ ვიცანი.

— დოდო ვარ, ბიჭო, რა თვალები დაგევსო!

– დოდო! დოდო ხარ შენ?

— ჰო!

— დოდო, შენი ჭირიმე, როგორ...

— თქვი, თქვი, დაამთავრე. გაზრდილხარ, დამშვენებულხარ-თქვა. ასე არ იცით? ერთ-ორ წელიწადს გაიარ-გამოიართ ქალაქში, ჩამობრძანდებით მერე სოფლად და გაზრდილხარ, დამშვენებულხარ ამბობთ. სხვას ვერაფერს ახერხებთ...

— დოდო, დედას გეფიცები...

სიტყვა მისმა სიცილმა შემაწყვეტინა. ვაცადე, სანამ კისკისს მორჩებოდა.

— რა გაცინებს?

— კიდევ დაიფიცე, კიდევ! — ისევ გაიცინა დოდომ.

-- რატომ დავიფიცო?

— ოდესღაც სულ დედას იფიცებდი, სულ დედა გეკერა ენაზე. კიდევ კარგი დედა რომ მაინც არ დაგვიწყებია!

ახლა მეც გამეცინა.

დედის ფიცმა ჩვენი ბავშვობა გაახსენა დოდოს. იქნებ უფრო მეტიც. ახლა იგი ჩემს წინ დგას, მართლაც დაქალებული. მიცქერის და ეცინება.

ვუცქერი და ვიგონებ:

ერთხელ კვინისწყალში გავდიოდით. დოდო მერვე კლასის მოსწავლე იყო მაშინ. კაბის კალთა ხელში ეჭირა და წინ მიმიძღოდა. უცებ ფეხი დაუცდა, მე ხელის მიშველება ვერ მოვასწარი და იგი წყალში გაიშხლართა. ვეცი და წამოვაყენე. მთლად ამოწუწულიყო. მაინც სიცილით კვდებოდა. სველი კაბა ტანზე ეკვროდა. შავი თმები თვალებზე ჩამოჰყროდა და იმის მაგიერ, რომ გზა გაეგრძელებინა, ჩემსკენ მოიწევდა. მე დოდოს ხელში აყვანა მოვინდომე. არ ჰქნა. მივეტანე და ამ ბღლაძუნში ორივენი წავიქეცით. წამოვდექი და ახლა მე ამიტყდა სიცილი.

მაშინაც ასეთი საღამო იყო.

როგორც იქნა გავაღწიეთ და კვინისწყლის პირას ქვებზე ჩამოვჯექით. დოდოს შესცივდა, ტუჩები ჩაულურჯდა.

— წავიდეთ, გაცივდები! — ვთქვი მე.

წამოდგა და ისევ წინ გამიძღვა. მაშინ დავუკვირდი დოდოს. მიდიოდა და მიარხევდა ტანს. შავი თმა მხრებზე ეწყო. მიდიოდა ოდნავ მოხრილი. მე მივყვებოდი და ვფიქრობდი მასზე.

ეს ჩემი პირველი დაფიქრება იყო...

დედას გეფიცებით, ვფიქრობდი. იქაც, ქარხანაში მუშაობის დროსაც, ვიგონებდი და აი, ორი წლის უნახავი დოდო ველარ ვიცანი.

— არ წავიდეთ? — მესმის დოდოს ხმა

მე დოდოს ვუცინი. მის დიდ ჩემოდანს ვიღებ და მივდივართ.

— ქუთაისში რა გინდოდა, დოდო!

– თბილისიდან ჩამოვედი, შენ გამოგიარე...

-- მე?

— ჰო შენ! არ დამხვდი, ბარათი დაგიტოვე. მანქანას ძლივს მოვუსწარი. ამოვედი თუ არა, მაშინვე გიცანი. შენ ერთხელაც არ გამოგიხედია ჩემსკენ...

დოდო თავისი სახლის ჭიშკარს მიუახლოვდა. ჩემოდანი გავუწოდე.



— ხომ არ შემოხვალ, მამას გაეხარდება!

— არა, დოდო, ბაბუასთან მეჩქარება. ხვალ გადმოვალ, ლაზარე ბიძიას ვნახავ!

დოდო ეზოში შევიდა.

ჩემს სახლს რომ მივუახლოვდი, შორიდან შევნიშნე, ბაბუა აივანზე იჯდა, ჩიბუხს ეწეოდა.

ჭიშკარი შევაღე. ეზო გადავიარე და ბაბუას მივეპარე.

— ბაბუა!

— ოჰ, შენ გაგახარა ღმერთმა. საიდან გაჩნდი, ბიჭო!

— ბაბუა, ჩემო ბაბუა! -- ჩავეხვიე.

— უყურე, რავა გამოჯგიმულა ახალ ტანსაცმელში! — იცინის ბაბუა. მე სახეზე მედება მისი რბილი წვერი და მსიამოვნებს...

იმ ღამეს აივანზე გავაშლევინე ლოგინი.

გვიან, ძალიან გვიან სახლებში ელნათურები ჩააქრეს. ბაბუა კარგახანს საწოლთან მიჯდა, ჩიბუხს ქაჩავდა და ახველებდა.

— მუშაობ?

— ვმუშაობ, ბაბუა!

— გიჭირს?

— არა, აჰ! პირიქით!

— სწავლის რა ჰქენი, არაფერი გამოდის ხომ?

პასუხი უცებ ვერ მოვახერხე. ჯერჯერობით სათქმელიც არაფერი მქონდა. გასულ წელს ნიშანი არ მეყო, ვერ მოვხვდი. ეს ბაბუასათვის არ გამიმხელია. ახლაც სწორედ ამიტომ ჩამოვედი სოფელში. ერთ თვეში გამოცდები დაიწყება და მინდა წავიმეცადინო.

— წელს გავდივარ გამოცდებზე, ბაბუა! — ვთქვი როგორც იქნა.

— იცი რამე?

— ვმეცადინეობ, ვნახოთ!

ისევ ჩაახველა, წამოდგა და სანამ ოთახში შევიდოდა, მითხრა:

— ეცადე, ბიჭო, ეცადე. ნუ დამწყვეტ გულს..

მეორე დღეს, მზე რომ მუხის წვერზე ავიდა. სახლიდან ჭილოფი და მუთაქა გამოვიტანე, თუთის ძირას ბალახზე გადავფინე და წამოვწექი. ფიზიკის სახელმძღვანელო გავშალე. ფიზიკა ასე თუ ისე ვიცი. ყოველ შემთხვევაში ამ საგნის არ მეშინია, მაგრამ ეს ხაზვა... საშუალო სასწავლებელში პირდაპირ ჰაიჰარად გვასწავლიდნენ ხაზვას. არც ჩვენ ვიკლავდით თავს და ახლა ხაზვა რომ გამახსენდებოდა, შიშით მუხლები მეკვეთებოდა. საბუთები საამშენებლო ფაკულტეტის სალამოს დასწრებულ განყოფილებაზე შევიტანე. მართალია, საავტომობილო ქარხანაში ვმუშაობ, მაგრამ მშენებელი ინჟინრის პროფესიაზე ბავშვობიდანვე ვოცნებობდი. ქუთაისშიც რომელიმე მშენებლობაზე მინდოდა მემუშავნა. არ მოხერხდა.

პირველი გამოცდა ხაზვაში იქნებაო, რომ გავიგე, დამცეცხლა. ჩემმა ბიძაშვილებმა წამამეცადინეს ცოტა. ეს მაინც ცოტაა. ქუთაისში რომ დავრჩენილიყავი, რა თქმა უნდა, უკეთ მოვემზადებოდი. თუმცა რა უნდა მექნა, გული სოფლისაკენ მიწევდა. ბაბუაჩემის ნახვა ერთ სიცოცხლედ მიღირდა.

ახლა ბიცოლაჩემის გამოკერილ ჭრელ მუთაქას ვაწვალებ. ხან თავქვეშ ამოვიდებ, ხან ზედ დავაჯდები და ვფიქრობ· არა, არ უნდა წამოვსულიყავი... უნდა მემეცადინა. უნდა დავბრუნდე, უნდა დავბრუნდე და ჩემს გზას ვეწიო

ნასადილევს გამოვეწყე და ლაზარე ჯიხვაძის სახლისაკენ გავწიე. არც ისე შორსაა. თუმცა მანძილი რას მიქვია. მეხუთე მოსახლეა ჩვენგან. რამდენჯერ მირბენია ლაზარე ბიძიას ეზოში დოდოსთან ერთად. ახლა ხელის კანკალით გადავაძრე ბოძს რცხილის ღვლეჭი. ჭიშკარი ჭრიალით გაიღო.

ეზო გადავიარე და კიბეზე ავედი. კარებზე დავაკაკუნე. ხმა არავინ გამცა. აივნიდან პირდაპირ ბოსტანში გადავიხედე. ბოსტანში ცხრა-ათი წლის გოგო ირიჩქნებოდა. შემნიშნა.

— ვინ გნებავთ?

— დოდო თუ არის სახლში?

— ფართობშია!

— ფართობში?! — გამიკვირდა. გოგონა ჩემზე უფრო მეტად გაკვირვებული ჩანდა, დიდრონი თვალებით მიცქეროდა. ალბათ დოდოს უმცროსი და იყო, მაგრამ სახელი ვერ მოვიგონე.

— ჩაის საკრეფად წავიდნენ! — გაიღიმა გოგონამ. ეტყობა მიცნო.

— მამაშენიც?

— მამაჩემს ჩაიში რა უნდა! ჩაის ქალები ჰკრეფენ. მამა ფერმაშია.

...ერთ ხანს გზაზე ვიდექი და ვერ გადამეწყვიტა საით წავსულიყავი.

დღესვე უნდა წავიდე ქუთაისში. კი, ასე სჯობია. დღესა და ღამეს გავასწორებ, ბიძაშვილებს არ მოვასვენებ, თავს დავაკლავ. ბოლოსდაბოლოს, რა გახდა ეს ხაზვა... თუ ღმერთმა ქნა და მოვეწყე, მერე ჩამოვალ სოფელში, ბაბუასაც მოვინახულებ და...

დოდოს უნახავად წავიდე?!

მაინც და მაინც დღეს რომ არ წასულიყო ჩაის საკრეფად, ვითომ რა იქნებოდა. ქვეყანა დაიქცეოდა?!

თბილისში თუ აპირებს სწავლის გაგრძელებას, რატომ წიგნებს არ უზის?

მივდივარ და ვფიქრობ ჩემთვის.

თავი ავწიე. სანამდე მოვსულვარ! სოფელი ჩამითავებია. ჩემს წინ ჩაის პლანტაციები გადაიშალა.

ჭილისქუდიანი ქალები კალათებით ხელში პლანტაციებს შესევიან. ვცდილობ მათ შორის დოდო გამოვიცნო. შორს არიან. რაკი აქამდე მოვედი, ბარემ დოდოსაც ვნახავ... კი მაგრამ, რას იტყვის ხალხი? რა უნდა თქვან? მივალ და ვნახავ, მორჩა და გათავდა.

დოდომ შორიდანვე შემამჩნია, ხელი დამიქნია და დამიძახა. ჭკვიანი გოგოა, უხერხულობისაგან მიხსნა.

ფეხს ავუჩქარე. მეზობლის ქალებს მივესალმე. ვის ხელი ჩამოვართვი, ვის თავი დავუქნიე და დოდოსთან გავჩნდი.

— გამარჯობა, დოდო!

— გამარჯობა! მოდი, მომეხმარე!

— რა გავაკეთო?

— რა და ეს კალათი იქ მიიტანე! — ხელით მანიშნა.

მე კალათს ვეცი და ნაჩვენები ადგილისაკენ გავექანე. დოდო სიცილით კვდებოდა.

უფრო და უფრო გავშინაურდით. ჩვენს შორის თანდათან აღსდგა ძველი, ბავშვური დამოკიდებულება და მეც ცას ვწვდებოდი სიხარულით.

— დაღამებამდე უნდა კრიფო?

— არა, ამ კალათს ავავსებ და წავიდეთ!

გვერდზე მივდექი. დოდო ჩაის ბუჩქზე დაიხარა და ისე აათამაშა თითები, გეგონებოდათ ჩონგურს უკრავსო. ვუცქირე, ვუცქირე და ისევ მივუახლოვდი, მეც იმავე ბუჩქზე დავიხარე. არ დამიმალა. გაიღიმა მხოლოდ.

მე მესმოდა დოდოს სუნთქვა და მაბრუებდა მისი თმების სურნელი.

ისე ჩქარა ველარ კრეფდა...

მერე ერთად ვიჯექით კვინისწყლის პირას...

მე წყალში კენჭებს ვისროდი და დოდოზე ვფიქრობდი...

— თბილისში აპირებ? — ვთქვი როგორც იქნა.

— შენ საიდან იცი?

— გავიგე!

— ვაპირებ, თუ მოვხვდი...

— ნუ წახვალ, დოდო!

უცებ ჩემსკენ შემობრუნდა. გაკვირვებით დამაცქერდა, გაიღიმა და უბრალოდ თქვა.

— შენც თბილისში წამოდი!

— თბილისი, იცოცხლე, კარგი იყოს. მე.. ისე მიყვარს თბილისი... ქუთაისი მაინც მირჩევნია...

დოდო გასუსული მისმენდა. ჩაფიქრდა...

— ქუთაისი ერთი ხელის გაწვდენაზეა ჩვენი სოფლიდან. როცა მინდა დავჯდები ავტობუსში და ორ საათში ბაბუასთან მოვადენ ფხეკას. ეს კი არა და, რომ შეიძლებოდეს, სოფლიდანაც არ მოვიკვლიდი ფეხს... აქვე ვიმუშავებდი და თან ვისწავლიდი. რავა, დაუსწრებელზე არ სწავლობენ თუ?.. არა, თბილისში რა მინდა...

დოდოს მკლავებში ხელები ჩავკიდე და



მოვიზიდე. დამისხლტა, წამოხტა და გაიქცა. წამოვეწიე.

ახლა თითონ გამიკეთა ხელი და მოვყევით კვინისწყლის ნაპირს

მივდივართ დიდის ამბით. კვინისწყლის ნაპირი იყო ჩვენთვის მტკვრის სანაპირო...

— გავიდეთ წყალში!

— გავიდეთ!

ფეხსაცმელები გავიძვრეთ და წყალში შევედით. მაინც და მაინც იმ ადგილას აღმოჩნდა ღრმა. დავსველდით.

— გინდა, ცეცხლს დავანთებ! — ვეუბნები დოდოს მეორე ნაპირზე. ფიჩხი შევაგროვეთ და ცეცხლი გავაჩაღე.. დიდხანს, დიდხანს ვიჯექით ცეცხლის პირას. ტკაცუნობდა ხმელი ფიჩხი. ცეცხლის სინათლეზე ვუცქერდი დოდოს სახეს; ლამაზს, ყველაზე უფრო ლამაზ სახეს მთელს ქვეყანაზე.

მეორე დღეს იგი კალათით ხელში, თავზე ჭილის ქუდით ჩაის საკრეფად მიდიოდა. მე და ბაბუაც საკოლმეურნეო ფართობში ვმუშაობდით.

ნაშუადღევს ლაზარე ბიძიას ეზოში, ან ჩვენთან თუთის ძირას ვიჯექით მე და დოდო და ვმეცადინეობდით. ხაზვა დოდომ რომ იცის, ისე უნდა. მეც მალე გავიწაფე ხელი.

სალამოს ისევ მივყვებოდით კვინისწყლის ნაპირს... ჩვენს სანაპიროს...

ახლა მე მჯერა, რომ დოდო სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სტუდენტი გახდება... მეც მოვეწყობი, უსათუოდ მოვეწყობი.

ჩვენ არ დავშორდებით ჩვენს სოფელს.

ისევ გავალთ ღამით კვინისწყალში... შევაგროვებ ფიჩხს, გავაჩაღებ კოცონს, დიდს, ძალიან დიდ კოცონს, რომლის ალზე მთელი ქვეყანა დაინახავს ჩემს დედულეთს.



46

# ჩვენი ეპოქის შესაფერისი წიგნისათვის

გამომცემლობათა და პოლიგრაფიული მრეწველობის მუშაკთა რესპუბლიკურმა თათბირმა, რომელიც 30 მარტს გაიმართა თბილისში, მოისმინა და განიხილა საქ. კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგის მ. ა. გოგიჩაიშვილის მოხსენება თემაზე: „საქ. კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილება „გამომცემლობათა მუშაობაში სერიოზულ ნაკლოვანებათა შესახებ“ და რესპუბლიკაში საგამომცემლო საქმის შემდგომი გაუმჯობესების ამოცანები.“ მომხსენებელმა აღნიშნა, რომ უკანასკნელ ხანს საქართველოს გამომცემლობებმა გააუმჯობესეს მუშაობა. გადიდდა გამოცემა ლიტერატურისა თანამედროვე თემებზე, რომლებშიც ასახულია სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში მიღწეული წარმატებანი, გამოშვებულია მთელი რიგი უმნიშვნელოვანესი შრომები მარქსისტულ-ლენინური თეორიის დარგში, პარტიული და საბჭოთა მშენებლობის აქტუალურ საკითხებზე და სხვა.

ამხ. მ. გოგიჩაიშვილი აღნიშნავს, რომ ამ წარმატებებთან ერთად არის სერიოზული ნაკლოვანებები, რომლებიც რაც შეიძლება მალე უნდა აღმოიფხვრას. საჭიროა მეტის დაკვირვებით შედგეს საგამომცემლო გეგმები, შენიშნულია, რომ გეგმაში შეტანილი წიგნი, რომელსაც რეცენზენტები იწუნებენ, მაინც იბეჭდება. გამომცემლობათა მუშაკები სათანადო პრინციპულობას არ იჩენენ, დამტკიცებულ საგამომცემლო გეგმებში ხშირად თვითნებურად შეაქვთ ცვლილებები. მომხსენებელი ამბობს, რომ არის შემთხვევები, როცა წიგნები გამოიცემა არა საკმარისად მაღალი იდეურ-პოლიტიკური დონით, სუსტია მეცნიერულად და არ არის სრულფასოვანი მხატვრული ფორმით.

მომხსენებელი ფართოდ შეჩერდა ამოცანებზე, რომლებიც შეეხება რესპუბლიკაში მეცნიერული წიგნის გამოცემას. ზოგიერთ სამეცნიერო-საკვლევ ინსტიტუტსა და დაწესებულებაში სათანადო დონეზე არ დგას საარსებო მნიშვნელობისა და საჭირბოროტო საკითხების შესწავლა და დამუშავება. ცუდად ხდება ნაშრომთა რეცენზირება და რედაქტირება. ამხ. გოგიჩაიშვილი შემდეგ აღნიშნავს, რომ რესპუბლიკის გამომცემლობებმა უკანასკნელ ხანს გააძლიერეს ყურადღება სასოფლო-სამეურნეო ლიტერატურის გამოშვებისადმი, მაგრამ ამ მიმართებით შესრულებული მუშაობა ვერ აკმაყოფილებს დღევანდელი დღის მოთხოვნებს. გამომცემლობათა გადაუდებელი ამოცანაა სკკპ ცენტრალური კომიტეტის მარტის პლენუმის გადაწყვეტილებათა ფართო პროპაგანდა.

მომხსენებელი ლაპარაკობს ცალკეულ გამომცემლობათა მუშაობის, ბეჭდვის კულტურის, წიგნების გაფორმების, წიგნის ექსპლოატაციის, გავრცელებისა და სხვა საკითხებზე.

მოხსენებაში მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავა პოლიგრაფიული მრეწველობის საწარმოთა მუშაობის საკითხებმა.

თათბირზე გაიმართა გაცხოველებული, საქმიანი საუბარი მოხსენებაში აღძრულ საკითხებზე.

დასასრულ, სიტყვა წარმოსთქვა საქ. კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ამხ. დ. გ. სტურუამ.

პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და საბჭოთა კავშირის მთავრობამ ამ ბოლო დროს განახორციელეს მთელი რიგი ღონისძიებანი სასოფლო-სამეურნეო ორგანოების რეორგანიზაციისათვის. მაგრამ ეს გარდაქმნები და ცვლილებები არ შეხებია მთავარ რგოლს — სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებას. არ იყო ორგანო, რომელიც უხელმძღვანელებდა სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებას, ყოველდღიურად გაუწევდა კონტროლს მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულებას, აქტიურად ჩაერეოდა და პირდაპირ გავლენას მოახდენდა კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებზე.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ მიმდინარე წლის 22 მარტს მიიღეს დადგენილება სოფლის მეურნეობის მართვის გარდაქმნის შესახებ. ამ დადგენილებით პარტიის ცენტრალური კომიტეტი და მინისტრთა საბჭო ძირითად ყურადღებას მიაპყრობენ კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ტერიტორიული საწარმოო სამმართველოების შექმნას, როგორც ძირითად რგოლს სოფლის მეურნეობის ხელმძღვანელობის ძირეულ გაუმჯობესებაში.

ამ სამმართველოებს ევალებათ პარტიისა და მთავრობის გადაწყვეტილებათა შესრულება და მტკიცე სახელმწიფო დისციპლინის დაცვა სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების საქმეში, უნდა მიაღწიონ იმას, რომ თვითეულმა კოლმეურნეობამ და საბჭოთა მეურნეობამ შეასრულოს წარმოებისა და სახელმწიფო შესყიდვის გეგმები.

საინტერესო ნიმუში

ამას წინათ შუამდინარეთში აღმოჩენილი სპილენძის ქანდაკებათაგან ჩვენ დაგვაინტერესა ქართული სტილის ჭიდაობის მსგავსი შერკინების



ამსახველმა ფიგურამ. მკვლევართა ერთი ნაწილის აზრით, იგი მიეკუთვნება ძვ. წ. აღ. დაახლოებით მესამე ათასწლეულის შუახანებს.

მაგრამ ზოგიერთი დეტალის საფუძველზე მკვლევართა გარკვეული ნაწილი მას მიაკუთვნებს უფრო მოგვიანებით ეპოქას. აღნიშნული ქანდაკება შუამდინარეთის უძველესი მოსახლეობის ყოფის ამსახველი უნდა იყოს.

პროფ. ნ. ფლიტნერი თავის წიგნში „შუამდინარეთის კულტურა და ხელოვნება“ ასე აგვიწერს ამ ექსპონატს: „ერთმანეთს შერკინებული ორი მოჭიდავე. მათ თავზე ადგათ მაღალი ჭურჭელი, რომელთა წონასწორობის შენარჩუნებასაც ისინი ცდილობენ. მშვენიერი, ცოცხალი, დაძაბულობით სავსე ნივთია“.

ნ. ფლიტნერს არ შეუნიშნავს, რომ ჭიდაობის ის სახეობა, რომელიც გადმოცემულია ხსენებულ ექსპონატში, თითქმის ასლია ქართული სტილის ჭიდაობისა. ქართული სპორტის ისტორიის სპეციალისტებმა მასში დაინახეს მეტად დიდი მსგავსება ქართულ ჭიდაობასთან.

შუამდინარეთის უძველესი ცივილიზებული ხალხის შუმერების ენაზე სიტყვა „ჭიდაობა“, „ჩაჭიდება“, „თრევა“ გადმოიცემა სიტყვა „გიდ“-ით. თუ გავითვალისწინებთ, რომ შუმერული დამწერლობის ნიშნებით „ჭ“ არ გადმოიცემა, მაშინ სრული საფუძველი გვაქვს ვივარაუდოთ, რომ შუმერული „გიდ“ და ქართული „ჭიდ“ და აქედან ნაწარმოები „ჭიდაობა“, „ჩაჭიდება“ და ა. შ. ერთი და იგივე უნდა იყოს.

გარდა ამისა, მეორე შუმერული სიტყვა „კიდ“ (შეკვრა, პყრობა) ქართული „კიდება-მოკიდების“ იდენტურია.

რადგანაც შერკინების ამსახველი ეს ქანდაკება სპილენძისაა, არ შეიძლება არ გავიხსენოთ შემდეგი: მეტად ფართოდაა გავრცელებული მოსაზრება იმის შესახებ, რომ კავკასია უძველესი დროიდან წარმოადგენდა მეტალურგიის ერთ-ერთ უძლიერეს კერას. პროფ. როსტოვცევი ფიქრობდა, რომ მესამე ათასწლეულში ამიერკავკასია სპილენძსა და ვერცხლს აწვდიდა მესოპოტამიასა და ჩრდილოეთ კავკასიას.

გერმანელი მეცნიერი ა. ტალგრენიც იზიარებს ამ აზრს და აღნიშნავს, რომ კავკასია სპილენძით ამარაგებდა ხეთებსა და ასურელებს. ამასვე ადასტურებენ ტალგრენის კოლეგებიც ე. შპეიზერი, ხ. ფრანგფორი და სხვა მკვლევარები, რომლებიც თვლიან, რომ კავკასიაში მეტალურგია ძველთაგანვე მაღალ საფეხურზე იდგა.

შუამდინარეთში აღმოჩენილი სპილენძის ქანდაკებაში ასახული შერკინების სტილის იდენტურობა ქართული სტილის ჭიდაობასთან, ტერმინოლოგიის მსგავსება და მეტალურგიის ერთ-ერთ უძველეს კერად კავკასიის მიჩნევის ფაქტორი, ერთად აღებული, ბევრის მთქმელია და იგი საინტერესო ხდება არა მარტო ქართული სპორტის ისტორიისათვის, არამედ საქართველოსა და შუამდინარეთის ქვეყნების კულტურის საკითხების უკეთ გაშუქებისათვისაც.

ქ. კოღუა

# დიდი წამოწყება

ტერიტორიული საწარმოო სამმართველო განახორციელებს სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოების და დამზადების დაგეგმვას, აღრიცხვას და ანგარიშგებას, განიხილავს კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საწარმოო-საფინანსო გეგმებსა და წლიურ ანგარიშებს, შეიმუშავებს და დანერგავს მიწათმოქმედების რაციონალური სისტემების, ნათესი ფართობების ეფექტიან სტრუქტურას, რომლებიც საშუალებას მოგვცემენ მივიღოთ პროდუქციის ყველაზე მეტი გამოსავლიანობა თვითეულ ჰექტარ მიწაზე.

თვითეულ კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში უზრუნველყოფილ უნდა იქნას მეთესლეობის საქმის მკვეთრად გაუმჯობესება, ისე, რომ ითესებოდეს მხოლოდ მაღალი ხარისხის თესლი, შექმნას მეცხოველეობისათვის მტკიცე საკვები ბაზა სიმინდის, შაქრის ჭარხლის, ბარდის, პარკოსნებისა და სხვა უხვმოსავლიანი კულტურების თესვით, ამასთან მოწინავე სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა მაღალეფექტურად უნდა იქნას გამოყენებული.

სამმართველოს ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების კადრებით განმტკიცება, კადრებს უნდა შეასწავლონ მუშაობის მოწინავე მეთოდები, ფართოდ დანერგონ წარმოებაში მეცნიერების მიღწევები და საუკეთესო მეურნეობათა გამოცდილება.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მარტის პლენუმმა ამოცანად დასახა თვითეული კოლმეურნეობისა და საბჭოთა მეურნეობის გადაქცევა მოწინავე მეურნეობად. პლენუმმა სამარცხვინოდ ჩათვალა ისეთი მდგომარეობა, როცა ერთნაირი ჰავისა და ნიადაგის პირობებში სხვადასხვა კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები, სხვადასხვა შედეგებს იღებენ გაწეული შრომის ერთეულზე. სამმართველოებმა მიზნად უნდა დაისახონ ასეთი მოვლენების რაც შეიძლება მალე აღმოფხვრა. იმისათვის, რომ წარმატებით განხორციელდეს ტერიტორიული საწარმოო სამმართველოების წინაშე დასახული რთული და საპატიო ამოცანა, სამმართველოებმა თავიანთი მუშაობა უნდა წარმართონ ოპერატიულად. მათი მუშაკების საქმიანობა უნდა წარიმართოს თვით კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში, ბრიგადებსა და ფერმებში და აცილებული იქნას მუშაობაში ბიუროკრატიულობა, თათბირიანობა, ზედმეტი მიწერ-მოწერა და სხვ.

ტერიტორიული საწარმოო სამმართველოს წამყვანი მუშაკია ინსპექტორ-ორგანიზატორი, რომელიც მასზე გაპიროვნებულ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში ამ მეურნეობათა ხელმძღვანელობის მეშვეობით უზრუნველყოფს სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოების და დამზადების გეგმების შესრულებას, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში ადამიანების მატერიალური დაინტერესების ღონისძიებათა განუხრელად გაფართოებას, რისთვისაც მან თავისი დროის უდიდესი ნაწილი უნდა დაჰყოს უშუალოდ იქ, სადაც იქმნება სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია, სასოფლო-სამეურნეო დოვლათი.

სასოფლო-სამეურნეო წარმოებისა და დამზადების საკითხთა კოლეგიურად განხილვისა და გადაჭრისათვის ტერიტორიულ საწარმოო სამმართველოსთან შექმნილია საბჭო, რომელშიც შედიან სამმართველოს ხელმძღვანელობა, კოლმეურნეობისა და საბჭოთა მეურნეობების ხელმძღვანელები, „საქსოფლტექნიკის“ განყოფილებათა და წყალთა სასისტემო სამმართველოების ხელმძღვანელები, სოფლის მეურნეობის მოწინავეები, სპეციალისტები და მეცნიერები.

საბჭო განიხილავს და გადაწყვეტს სოფლის მეურნეობის აქტუალურ საკითხებს, სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოებისა და დამზადების გეგმებს და მათი განხორციელების გზებს. საჭირო შემთხვევაში იგი გადაწყვეტს სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და შესყიდვის გეგმების შეუსრულებლობისათვის მეურნეობათა ხელმძღვანელებისა და სპეციალისტების პასუხისმგებლობისა და მათი სამუშაოზე დატოვების საკითხს.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილების თანახმად ჩვენს რესპუბლიკაში შეიქმნა თექვსმეტი ტერიტორიული საწარმოო სამმართველო, თვითეული მათგანი დაკომპლექტებულია გამოცდილი და უნარიანი კადრებით, რომლებიც უკვე შეუდგნენ პრაქტიკულ მუშაობას კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებში, ბრიგადებსა და მეცხოველეობის ფერმებში.

სამმართველოების მუშაკები მეურნეობათა ხელმძღვანელებთან ერთად არნახული ინტერესით ეწევიან მაღალნაყოფიერ შრომას მინდვრებსა და პლანტაციებში.

ახლა საგაზაფხულო სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების გადამწყვეტი დღეებია. ყოველი ღონით უნდა უზრუნველვყოთ ამ სამუშაოთა შემჭიდროებულ ვადებში და მაღალხარისხოვნად ჩატარება. ტერიტორიული საწარმოო სამმართველოს თვითეული მუშაკის, თვითეული კოლმეურნეობის და საბჭოთა მეურნეობის ხელმძღვანელის საქმიანობაც იმით შეფასდება, თუ რა პრაქტიკული შედეგები მოყვება მას წელსვე, რამდენად გაიზრდება გასულ წელთან შედარებით სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოება და მისი სახელმწიფოსათვის მიყიდვა.

გ. კეჩხუაშვილი,

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სოფლის მეურნეობის განყოფილების გამგე.

# რეპროდუქციების ახალი მეთოდით

ხელოვნების უნიკალური ნაწარმოების მასობრივი გავრცელების მოთხოვნილებასთან არის დაკავშირებული რეპროდუქციული გრავიურის ადრეული ორიგინალების გამოყენება. ასეთი მოთხოვნილება წარმოიშვა ჯერ კიდევ საშუალო საუკუნეების ბოლოს და გაიზარდა აღორძინების ეპოქაში, როდესაც გრავიურა გასცილდა ხელოვნებისმოყვარულთა ვიწრო წრეს. ამ დროს მაღალმხატვრულად შესრულებული რეპროდუქციული გრავიურის მთავარი მიზანი მხოლოდ მხატვრის წინაშე დასმული ძირითადი ამოცანის გადმოცემა იყო.

ფერადი რეპროდუქციის სრულყოფის მოთხოვნილება განსაკუთრებით გაიზარდა მეოცე საუკუნეში, როდესაც საჭირო გახდა იმპრესიონისტების ნამუშევართა პოპულარიზაცია. იმპრესიონისტების შემოქმედებაში ფერი ხდება მხატვრის ძიების მთავარი საგანი. მანამდე არსებული რეპროდუქციული ტექნიკა და ფერადი ფოტოგრაფია ფერის ზუსტი გამოსახვის შესაძლებლობას არ იძლეოდა. სწორედ ამით იყო გამოწვეული ძიებანი, რომელიც ათეული წლების მანძილზე გრძელდებოდა. ოსტატების მიზანი იყო ნახატის, მონასმის და ფერის ზუსტი გადმოცემა, ორიგინალის ფაქტური გამოსახვა.

თანამედროვე ფრანგმა გამომცემელმა სპიტცერმა ფოტოგრაფიისა და მრავალრიცხოვანი ფირფიტებისაგან გამოჭრილი ტრაფარეტების კომბინირებული მეთოდი შეიმუშავა, რომლის მეშვეობითაც ქაღალდზე გადააქვთ მხატვრული ორიგინალის შესაბამისი საღებავები. ამ მეთოდით შესაძლებელი ხდება სურათის ფერის ზუსტი გადმოცემა. სურათის ფაქტურისა და სტრუქტურის გადმოცემა კი ისევ მიუღწეველი რჩება.

განსაკუთრებით დიდ მიღწევად უნდა ჩაითვალოს თანამედროვე ცნობილი ფრანგი მწერლის ვერკორის რეპროდუცირების სრულიად ახალი მეთოდები, რომელმაც დიდი გამოხმაურება ჰპოვა მთელს მსოფლიოში. მრავალი წლის ძიების შედეგად ვერკორმა შეიმუშავა ფერწერის კოპირების განსაკუთრებული მეთოდი, რომელიც შესაძლებელს ხდის განსაცვიფრებელი სიზუსტით გადმოსცეს სურათის ფაქტურა, შეინარჩუნოს ფერის ინტენსიურობა, ნახატის სიზუსტე და მონასმის რელიეფურობა.

ვერკორის მეთოდის მიხედვით ორიგინალს ჩარჩოზე გაჭიმულ აბრეშუმს აკრავენ. გამჭვირვალე აბრეშუმზე სრულიად ნათლად აღიბეჭდება სურათის ყოველი დეტალი; კონტური და ფერი; შემდეგ ბადეზე სდებენ განსაზღვრული რაოდენობის საღებავს, რომელიც წვეთ-წვეთად ეცემა ჩარჩოს ქვეშ მოთავსებულ ქაღალდზე, მუყაოზე ან ტილოზე. ამრიგად, მასზე აისახება ის ნახატი, რომელიც ადრე ბადეზე იყო აღბეჭდილი. ვერკორის მეთოდის საიდუმლოება ისაა, რომ ტრაფარეტზე თანმიმდევრობით გადააქვთ არა ორიგინალზე გამოსახული საგნები, არამედ ყველა ლოკალური ფერი და ტონი. ვერკორის მეთოდით შესრულებულ რეპროდუქციაში სრულიად გამორიცხულია ორიგინალის დამახინჯების შესაძლებლობა, ვინაიდან ზუსტად აღიბეჭდება მხოლოდ ის, რაც მხატვრის მიერაა შექმნილი.

ერთი რეპროდუქციისათვის მზადდება ორმოცი-ორმოცდაათი ტრაფარეტი. სურათის თვითეული ფერი ცალკეული ტრაფარეტიდან გადააქვთ ტილოზე, ქაღალდზე ან მუყაოზე, რის შედეგადაც აღიბეჭდება ორიგინალის ფერი, სისქე და ნახატი. ამ მეთოდით შესრულებული შესაბამისი საღებავები, მათი განლაგება, საღებავების რეპროდუქცია იმდენად ზუსტია, რომ ხშირად ავტორიც შეცდომაში შედის.

1957 წლის თებერვალში მოსკოვში სპეციალურად მოეწყო ვერკორის რეპროდუქციების გამოფენა. გამოფენის გახსნას თვით ვერკორი დაესწრო. მან განაცხადა, რომ გამოფენის მიზანია არა მარტო თანამედროვე რეპროდუქციის ტექნიკის ჩვენება, არამედ იმ ნიმუშთა გაცნობაც, რომლებიც ძალიან უყვართ ფრანგებს. თბილისის მკვიდრთ შესაძლებლობა ეძლევათ გაეცნონ ფრანგული ხელოვნების მეტად საინტერესო, წინააღმდეგობით აღსავსე პერიოდის მეცხრამეტე საუკუნის ბოლოსა და მეოცე საუკუნის დასაწყისის ბრწყინვალე წარმომადგენლებს. პეიზაჟის უბადლო ოსტატ კლოდ მონეს, ედუარდ მანეს, რენუარს, დეგას, პისაროს, მატისის, მარკეს, ვან გოგს, ვლამინსკის, მოდელიანის, პიკასოს მრავალმხრივ და წინააღმდეგობებით აღსავსე შემოქმედებას.

თანამედროვე ფრანგ ოსტატთა მიერ შექმნილი რეპროდუცირების ახალი მეთოდი საშუალებას იძლევა ფართოდ გავრცელდეს ხელოვნების უნიკალური ნაწარმოებები და ხელმისაწვდომი გახდეს მსოფლიო ყველა ქვეყნის ხალხისათვის.

გ. ლორთქიფანიძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ოქროს საწმისის

ვისაც კი საქართველოს რელიეფური რუქისათვის დაუხედავს, თვალში მოხვდებოდა აზიდულ მთებს შორის მომწყვდეული კოლხეთის ვრცელი ველი, რომელიც ჩრდილოეთით გაგრამდე აღწევს, სამხრეთით კი ქობულეთს ებჯინება. ეს ველი საუკუნეების განმავლობაში კავკასიონის ქედიდან ჩამონადენი წყლებით დაიტბორა, დაჭაობდა და უსარგებლო მიწად იქცა.

კოლხეთის ველის ამოშრობის სამუშაოები 35 წლის წინათ დაიწყო. 1941 წლისათვის უკვე დამშრალი იყო 18 ათასი ჰექტარი ჭაობი, უმეტესად მდინარე რიონის მარჯვენა სანაპიროზე. გაყვანილი იქნა 750 კილომეტრი საერთო სიგრძის საწრეტი არხები და 12 კილომეტრი გზა.

პირველი მიწისმთხრელი მანქანა კოლხეთის ჭაობიან ველზე 1937 წელს გამოჩნდა. ეს იყო მიწისმთხრეველი მანქანა „საბჭოთა საქართველო", რომლის კაპიტნად დაინიშნა კოლხეთის ჭაობის ამოშრობის ვეტერანი სანდრო რუხია.

ჭაობის დაშრობის მთელი სამუშაოების 25 პროცენტი ახლა მთლიანად მექანიზირებულია. იმას, რასაც ათეული წლების მანძილზე ათასობით ადამიანის დაძაბული შრომა სჭირდებოდა, ახლა მძლავრი ექსკავატორები, მიწისმწოვი მანქანები და ბულდოზერები ერთ თვეში აკეთებენ.

— თუ ომამდე კოლხიდის დაბლობზე მხოლოდ 18 ათასი ჰექტარი ჭაობის ამოშრობა შევძელით, ახლა ამომშრალი ტერიტორია 60 ათას ჰექტარს შეადგენს. უახლოეს 10 წელიწადში კი მთლიანად ამოვაშრობთ დარჩენილ 160 ათას ჰექტარ ჭაობს, — გვეუბნება კოლხიდმშენის უფროსი ლევან კიკნაძე, რომელმაც



მბურღავები პ. კოკაია და ვ. ჩანტლაძე მუშაობის დროს.

კოლხიდის ჭაობის ამოშრობაზე მუშაობა ჯერ კიდევ სტუდენტობის დროს დაიწყო. ოცდაათ წელზე მეტია, რაც ლევანი ებრძვის ჭაობს, მთელს თავის ცოდნასა და გამოცდილებას ამ საქმეს ახმარს. ჰოდა, ყოველივე ამის შემდეგ რა გასაკვირია, რომ ამაგდარი ინჟინერი ზედმიწევნით ზუსტად იცნობს კოლხიდის დაბლობს, იცის ამოშრობილი და ჭაობიანი მასივები, ახსოვს ყველა ციფრი, რომელიც კოლხიდის წარსულს, აწმყოსა და მომავალს შეეხება.

ამჟამად კოლხიდმშენის კოლექტივის მთელი ყურადღება ხობის, ლანჩხუთის, ზუგდიდის, გაგრის, ქობულეთის, გალისა და აბაშის რაიონებში დარჩენილ ჭაობებზეა მიპყრობილი. აქ გადის ჭაობებზე შეტევის მთავარი ფრონტი.

ლევან კიკნაძესთან ერთად ლანჩხუთის რაიონში მდებარე ჭოლობის ველზე გავემგზავრეთ. უფრო სწორი იქნება, თუ ამ ველს ჭოლობის ჭაობს ვუწოდებთ, რადგან ათასობით ჰექტარი ტერიტორია მთლიანად ჭაობითაა დაფარული და მანქანები ძლივს იკვლევენ გზას.

უბნის უფროსი ვლადიმერ კაცაძე გვათვალიერებინებს დაჭაობებულ ველს. აქ ყველაფერს მანქანები აკეთებენ, ყველა სამუშაო საუკეთესო ხარისხით აღჭურვილი ტექნიკით სრულდება.

ჩვენს ყურადღებას იპყრობს მექანიკოსი ვასილ ისმატოვი, რომელსაც ექსკავატორით მაგისტრალური არხი გაჰყავს. ეს არხი მალე გულს გაუხსნის მიწას და თანდათანობით გამოაშრობს მას.



ვასილ ისმატოვის გვერდით თავდადებით შრომობს მიხეილ ძიუბა, რომელიც არხისმჭრელი აგრეგატით სარწყავი არხის გაყვანას ამთავრებს.

იქვე ხმაშეწყობილად გუგუნებს რამდენიმე ბულდოზერი, მათ გარშემო კი საქმიანად დაფუსფუსებენ მკლავებაკაპიწებული მუშები...

ლანჩხუთის რაიონი ამჟამად ჩამორჩება გურიის სხვა რაიონებს ჩაის ფოთლის მოყვანაში, იგრძნობა სახნავსათესად ვარგისი მიწების სიმცირე, მაგრამ უახლოეს 3 წელიწადში აქ 20 ათას ჰექტარზე მეტ ტერიტორიას ამოაშრობენ, რომელზეც ჩაისა და ციტრუსების პლანტაციები გაშენდება. უკანასკნელ წლებში, ამომშრალი ჭაობების ხარჯზე, ათასობით ჰექტარი მიწა შეემატა ყორათის, ნოჯიხევის, ახალსოფლის, ხორგის, ორსანტიის კოლმეურნეობებს. შეიქმნა ახალი საბჭოთა მეურნეობები: ჭალადიდში, პატარა-ფოთში, ბიჭვინთაში, ტეხურში. ამ ადგილებში, სადაც წინათ ნადირიც კი ვერ ძლებდა, ახლა სწრაფი ტემპით მიმდინარეობს საცხოვრებელი სახლებისა და სხვა ნაგებობების მშენებლობა, გაჰყავთ გზები...

ფოთის ერთ-ერთი ახალი უბანი — ნაბადა არც თუ ისე დიდი ხნის წინათ მთლიანად ჭაობში იყო ჩაფლული, 1947 წელს ფოთშიააწყვეს პირველი ქართული მიწისმწოვი მანქანა, რომელიც ნაბადას ჭაობის ამოშრობაზე გამოსცადეს. ამომშრალ ტერიტორიაზე აიგო ჰიდრომექანიზმების ქარხანა, სადაც მიწისმწოვი მანქანების გამოშვება დაიწყეს. ამ მანქანებს ახლა ყველგან შეხვდებით: მოძმე რესპუბლიკებში, ჩინეთში, ვიეტნამსა თუ ეგვიპტეში...

ფოთის ციტრუსების საბჭოთა მეურნეობა, რომელიც დამშრალ ტერიტორიაზეა გაშენებული, უხვი მოსავლის მიღებისათვის საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევების საკავშირო გამოფენის მთავარმა საგამოფენო კომიტეტმა შარშან მედლებით დააჯილდოვა. მეურნეობის მუშაკებმა არც წელს შეირცხვინეს თავი: გეგმით გათვალისწინებული 1 მილიონ 100 ათასი ცალი ლიმონის ნაცვლად მილიონ ნახევარი საუკეთესო ხარისხის ნაყოფი ჩააბარეს სახელმწიფოს.

მაღალი მოსავალი მოჰყავთ აგრეთვე განახლებული კოლხიდის მიწაზე ფეხადგმულ სხვა კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებსაც. მათი საწარმოო მიღწევები უტყუარი მაჩვენებელია იმისა, თუ რა საგანძურს



წარმოადგენს ჩვენი რესპუბლიკის სოფლის მეურნეობისათვის ის 160 ათასი ჰექტარი მიწა, რომელიც ჯერ კიდევ დაჭაობების გამო უსარგებლოდ იკარგება.

მას შემდეგ, რაც კოლხიდის დაბლობზე მთლიანად ამოვაშრობთ ჭაობებს, ამ ტერიტორიაზე გაშენდება 65 ათასი ჰექტარი ჩაის, ციტრუსების, დაფნის და ეთეროვანი კულტურების პლანტაციები, 70 ათასი ჰექტარი ბარდის, სოიოს, სიმინდის ყანები, ახლად ჩამოყალიბებული კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები ყოველწლიურად მოიწევენ 34 მილიონი მანეთის სასოფლო-სამეურნეო პროდუქციას.

კოლხიდის ველის დაშრობილი ტერიტორია უკანასკნელ ხანებში ჭაბურღილებით დაისერა. რამდენიმე ჭაბურღილიდან უკვე ამოხეთქა მაღალი ტემპერატურის მქონე მინერალურმა წყალმა, რომელმაც კიდევ უფრო დიდი პერსპექტივები დაუსახა კოლხიდის ველის გამოყენებას.

თვითეული ჭაბურღილის სადღეღამისო დებეტი 600-700 კუბმეტრს აღწევს. დუღილამდე მისული მთელი ამ წყლის მარაგი ჯერჯერობით უსარგებლოდ იკარგება, მაგრამ თუ მას სათბურებში გამოვიყენებთ, შესაძლებელი გახდება დიდძალი ბოსტნეულის მოყვანა მთელი წლის განმავლობაში. და განა მარტო ბოსტნეულის! ეს წყალი იქნება უფასო ენერგია, რომელიც შექმნის ციტრუსოვანი კულტურების დიდ სიუხვეს. ლიმონის, მანდარინის, ფორთოხლის, გრეიფრუტის პლანტაციებს აღარ შეეშინდება ბუნების კაპრიზების.

ინჟინერ-გეოლოგ სილაგაძის ინიციატივით ჭალადიდში, ყორათში, საგვიჩაოში და სხვა სოფლებში გაითხარა 200-300 მეტრი სიღრმის ჭაბურღილები, საიდანაც უხვად ამოხეთქა ანკარა სასმელმა წყალმა.

ზოგიერთ ადგილებში აღმოჩენილა ბუნებრივი გაზიც.

მომავალში ყოველწლიურად კიდევ უფრო ფართოდ გაიშლება კოლხიდის ჭაობიანი მიწების ამოშრობის სამუშაოები. საქართველოს მშრომელები წარმატებით შეძლებენ დარჩენილი 160 ათასი ჰექტარი ჭაობიანი ტერიტორიის სოციალისტური სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარების სამსახურში ჩაყენებას.

ნ. ნიკოლაძე



# დაბრუნება





ფოტო
ო. თურქიასი

ეროვნული ბიბლიოთეკა

როცა რეჟისორმა, არჩილ ჩხარტიშვილმა, რამდენიმე წლის წინათ ვერიკო ანჯაფარიძეს შესთავაზა ეთამაშა ევრიპიდეს ტრაგედია — „მედეა“-ში, მსახიობმა ცივი უარი უთხრა „არა, არა, არ შემიძლია შვილის მკვლელი ქალი ვითამაშო“ ეს მოსაზრება შეიცავდა შესანიშნავი მსახიობის შემოქმედების მთავარ აზრს, რომელიც სცენურ სიმართლეს მუდამ საკუთარ სიმართლედ ხდის და როლს მთელი სულით ასხამს სისხლსა და ხორცს როგორ უნდა მიიღო „სიმართლედ“ შვილის მკვლელობის ფსიქოლოგია? და მსახიობი კვლავ და კვლავ უარს ამბობდა მედეას როლის შესრულებაზე მაგრამ რეჟისორი არ მოეშვა, მსახიობს თხოვა კიდევ წაეკითხა დიდი ბერძნის ტრაგედია და, როგორც იქნა, დაიყოლია ვ ანჯაფარიძის თვალწინ იდგა მედეა მთელი თავისი ბრწყინვალებით. რთული და ამაღლებული ტრაგიკული სახით ახლა მისთვის გასაგები გახდა რეჟისორის ქინი ამ ტრაგედიისადმი თანამედროვე მხატვარს სხვადასხვაგვარად შეეძლო გადაეწყვიტა მედეას სახე. შეიძლება დაიდგას სპექტაკლი შვილების მკვლელ ქალზე მის აუწერელ ტრაგედიაზე (ხომ გავრცელებული ასე თი წარმოდგენა კოლხეთის მეფის ქალიშვილის მედეას შესახებ) მაგრამ ქართველ რეჟისორს ამ რთულ ტრაგედიაში ყველაზე მეტად იზიდავდა არაჩვეულებრივად ძლიერი სულის ქალი შეურაცხყოფილი ბუნება, მისი უდიდესი ტანჯვა და ტკივილი, რაც მას, სამშობლოდან მოწყვეტილს მიაყენეს

დაიწყო სპექტაკლზე მუშაობა

მედეა დაუბრუნდა კოლხეთს მას მოსცილდა სიძველის სიცივე თვით ვ ანჯაფარიძის ჭეშმარიტად ქართულმა ტემპერამენტმა, მისმა ნიჭმა შთაბერა მედეას თბილი სუნთქვა მედეას მწუხარება ქართველი ქალის მწუხარება გახდა ა ჩიმაკაძის მუსიკამ კიდევ უფრო საგრძნობი და რელიეფური გახადა ევრიპიდეს მიერ ბუნდოვნად დახატული სამშობლოს სახე ასე გამოჩნდა მარჯანიშვილის სახელობის თეატრის სცენაზე ადამიანურ სიდიადეზე ამაღლებული ტრაგედია

პირველი, რაც თვალში გეცემათ, სპექტაკლის მაღალი, დახვეწილი კულტურა და ეფექტია რით გამოიხატება ეს? მართალი გრძნობებისა და ღრმა აზრების შეთანხმებით, დახვეწილი ფორმებით, სპექტაკლის სტილისტური მხარის ბრწყინვალებით

ანჯაფარიძე — მედეა სცენაზე გამოდის.. მან მთლიანად შესვა გამცემლობის, ფარისევლობისა და ზიზღის შხამი, იგი შეურაცხყოფილია როგორც ქალი, როგორც ადამიანი მედეა იტანჯება, მისი კვნესა კი, მალამოდ ეცხება მტრების გულს

პირველი სიტყვებიდანვე ატყვევებს მედეა — ანჯაფარიძე მაყურებელს მღელვარე ხმით, მოულოდნელი, უცნაური ინტონაციებით, დაძაბული პაუზებით, ოდნავი შეკრთომით. კიდევ ცოტა და უკვე გრძნობთ, რომ მსახიობმა დაგატყვევათ აქ შესანიშნავ „ვიოლინოს“, რომელიც გულში ჩამწვდომად ასრულებს ადამიანის ამ უდიდესი ტრაგედიის თემას, ბანს აძლევს „ქორო“ ჩხარტიშვილმა „ქორო“ ამბების კომენტატორად როდი გამოიყენა, რომლებიც სცენაზე ხდება ეს არის არაჩვეულებრივი „ქორეოგრაფიული ორკესტრი“, რომელიც მედეა — ანჯაფარიძესთან შეწყობილად გამოდის და ხაზს უსვამს ტრაგედიის ვნებათა ღელვას ყველაფერი შერწყმულია: სიტყვა, პლასტიკური მოძრაობა. ქოროს მონაწილე ქალთა ხელები გედების ფრთებს წააგავს. კარგად მოფიქრებული და გრაფიკულად მკაფიოა მიზანსცენები. ეს საუცხოო ერთიანობა განსაკუთრებული ძალით იჩენს თავს შურისგების სცენაში, სადაც ვ. ანჯაფარიძის შინაგანი, სულიერი დაძაბვა უკიდურესობამდე მიდის. როცა მედეა დანით ხელში საშინელი ყვირილით მიეფარება ფარდას და გუნდი ბანს მისცემს, მთელი სპექტაკლი აუწერელ ემოციურობას აღწევს.

ფინალი — რეჟისორის ჩანაფიქრის გვირგვინი — საუცხოო მიგნებაა, რაც ნაკარნახევია მთელი სპექტაკლის ფილოსოფიური აზრისაგან. ეს არის სცენის მოულოდნელად გახსნილ პერსპექტივაში ბობოქარ მედეას წასვლა, რომელსაც ვეღარ მისწვდება ვერც დამცირება, ვერც შეურაცხყოფა.

კორა წერეთელი





ეროვნული
ბიბლიოთეკა



გაზაფხული. ფოტო გ. რაზმაძისა

# სახელოვანი მეცნიერი-პათოლოგი



(პროფ. ვ. ჟღენტის დაბადების 70 და მეცნიერული და საზოგადოებრივი მოღვაწეობის 45 წლისთავის გამო)

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის პათოლოგიური ანატომიის კათედრის გამგის, გამოჩენილი მეცნიერი პათოლოგის, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსის, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ ვლადიმერ ყაფლანის ძე ჟღენტის მრავალფეროვანი საქმიანობა მუდამ მიმართული იყო საქართველოში სამედიცინო განათლებისა და ჯანმრთელობის დაცვის საქმის ორგანიზაციის გაუმჯობესებისაკენ. მისი თითქმის ნახევარსაუკუნოვანი მოღვაწეობის სახელოვანი გზა არის გზა ნამდვილი საბჭოთა ადამიანის, კომუნისტი მეცნიერის, პედაგოგისა და საზოგადო მოღვაწის, რომელიც მთელ თავის შეგნებულ ცხოვრებას ახმარს ხალხის სამსახურს, სამშობლოს კეთილდღეობას, ახალგაზრდობის აღზრდის კეთილშობილურ საქმეს.

ვ. ყ. ჟღენტი დაიბადა საქართველოში მახარაძის რაიონის სოფელ მზიანში.

მისი ბიოგრაფია მჭიდროდაა დაკავშირებული ჩვენი ხალხის ცხოვრებასთან, მის ლხინთან თუ ჭირთან. ჯერ კიდევ სტუდენტობის წლებში, და უფრო ადრეც, მას ხშირად აპატიმრებდნენ „უკანონო დაჯგუფებებში" — მიტინგებსა და დემონსტრაციებში მონაწილეობისა და მოსახლეობაში რევოლუციური იდეების გავრცელებისათვის.

პირველი მსოფლიო ომის დროს ვ. ჟღენტი მუშაობდა ორდინატორად ნოვოროსიის უნივერსიტეტის ქირურგიული კლინიკის წითელი ჯვრის ოფიცერთა ლაზარეთში, შემდეგ სამხრეთ-დასავლეთის ფრონტის მოქმედ არმიაში — ჯერ უმცროს ექიმად, მერე კი პოლკის უფროს ექიმად და ჰოსპიტლის უფროს ორდინატორად.

1922 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საბჭოს მიერ ვ. ჟღენტი მოწვეულ იქნა სამედიცინო ფაკულტეტის პათოლოგიური ანატომიის კათედრის გამგედ, რომელსაც დღემდე განაგებს.

1925 წელს ვ. ყ. ჟღენტმა დაიცვა დისერტაცია მედიცინის მეცნიერებათა დოქტორის ხარისხის მოსაპოვებლად და იმავე წელს მიიღო პროფესორის წოდებაც.

მას გამოქვეყნებული აქვს 100-ზე მეტი სამეცნიერო შრომა, რომლებიც წარმოადგენს დაკვირვების, სიზუსტის, ლიტერატურის ღრმა ცოდნის, მკაცრი ანალიზის, ობიექტური კრიტიკისა და, ამასთან, კარგად დასაბუთებულ დასკვნათა და განზოგადოებათა მაგალითს.

პროფ. ვ. ჟღენტმა ონკოლოგიას მიუძღვნა დიდი მონოგრაფიული გამოკვლევა, რომელიც გამოქვეყნდა 1924 წელს და იმ დროისათვის წარმოადგენდა ტვინის გლიომების შესახებ ყველაზე ფართო და დაწვრილებით შრომას მსოფლიო სამედიცინო ლიტერატურაში.

პროფ. ვ. ყ. ჟღენტმა პირველმა აღწერა პოლიფერაციულ-ინფილტრაციული ანთებითი პროცესი თირკმელზედა ჯირკვლებში და ლიპიდების მდგომარეობა მათ ქერქოვან შრეში ტროპიკული მალარიის დროს, აგრეთვე დისტროფიული და ატროფიული ცვლილებანი ამავე ჯირკვლების ქერქოვან შრეში პელაგრის დროს.

პროფ. ვ. ჟღენტს ეკუთვნის პრიორიტეტი საქართველოს ნოზოლოგიური პროფილის შესწავლისა და დადგენის საქმეში. მრავალი მისი შრომა მიძღვნილია კლინიკური დიაგნოსტიკის სიზუსტისა და მასთან დაკავშირებით ავადმყოფთა მკურნალობის საკითხებისადმი. ეს შრომები გვიჩვენებს ჩვენს სამკურნალო პროფილაქტიკურ დაწესებულებებში დაავადების გამოცნობის და მკურნალობის განუხრელ პროგრესს.

პროფ. ვ. ჟღენტი საბჭოთა საქართველოში უმაღლესი სამედიცინო სკოლის და სამედიცინო მეცნიერების პირველი მემატიანე-ისტორიკოსია. ამასთან ერთად—იგი პათოლოგიაში ქართული სამეცნიერო ტერმინოლოგიის ფუძემდებელიცაა.

დიდ ერუდიციასა და მდიდარ პირად გამოცდილებაზე დაყრდნობით პროფ. ვ. ჟღენტმა მშობლიურ ენაზე შეადგინა პათოლოგიური ანატომიის სისტემური კურსისა და პათოლოგო-ანატომიური გაკვეთის ტექნიკის ორიგინალური სახელმძღვანელოები, რომლებიც 12-ჯერ იქნა გამოცემული. პროფ. ვ. ჟღენტს დიდი დამსახურება მიუძღვის აგრეთვე ი. პავლოვის ფიზიოლოგიური სწავლების პოპულარიზაციის საქმეში. სსრკ მეცნიერებათა აკადემიის და სსრკ სამედიცინო მეცნიერებათა აკადემიის გაერთიანებული სესიის შემდეგ, 1950 წლიდან, იგი სათავეში უდგას საქართველოს რესპუბლიკაში თეორიულ და პრაქტიკულ მედიცინაში ი. პავლოვის სწავლების დანერგვისათვის მოქმედ კომისიას.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის პათოლოგიური ანატომიის კათედრის გარდა პროფ. ვ. ჟღენტმა ამავე ინსტიტუტში შექმნა სასამართლო მედიცინის ახალი კათედრა, სხვა ინსტიტუტებში — პათალოგიური ანატომიისა და სასამართლო მედიცინის კათედრები.

პროფ. ვ. ჟღენტი საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს პრეზიდიუმის და სამეცნიერო საბჭოს წევრია მისი ორგანიზაციის დღიდან. ამჟამად იგი ხელმძღვანელობს სამედიცინო სამსახურის სამმართველოსთან არსებულ საქართველოს მედიცინის ისტორიის მასალების დამგროვებელ და შემსწავლელ კომიტეტს.

თავდადებით ემსახურება რა სამამულო მეცნიერებას, პროფ. ვ. ჟღენტი ეწევა დიდ საზოგადოებრივ და საორგანიზაციო მუშაობასაც. იგი განმეორებით აირჩიეს მშრომელთა დეპუტატების თბილისის საქალაქო საბჭოს დეპუტატად. არის აგრეთვე საქართველოს პათოლოგ-ანატომთა საზოგადოების ორგანიზატორი, ამასთან, მისი პირველი და უცვლელი თავმჯდომარეც.

პარტიამ და ხელისუფლებამ ღირსეულად დააფასა პროფ. ვ. ჟღენტის მოღვაწეობა. იგი დაჯილდოებულია ლენინის, შრომის წითელი დროშისა და საპატიო ნიშნის ორდენებით, აგრეთვე საბჭოთა კავშირის მედლებით, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საპატიო სიგელით.

ქართველი ხალხი, მედიცინის დარგში მომუშავე ყველა მუშაკი ამაყობს სახელოვანი მეცნიერით, პედაგოგით, შესანიშნავი ადამიანითა და სიყვარულით ულოცავს მას დაბადების 70 წლისთავს.

**ი. ტატიშვილი,**
საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი.

# ახალი კაფე



რუსთაველის პროსპექტზე, გაზეთ „ზარია ვოსტოკას" რედაქციის პირდაპირ, არც თუ ისე დიდი ხანია, რაც ახალი, კეთილმოწყობილი კაფე გაიხსნა.

დაბალი, კოხტა მაგიდები და მოხერხებული სკამები, ფერადი გობელენი, სარკითა და შავი მინით გემოვნებით მოპირკეთებული კედლები სასიამოვნო და მყუდრო განწყობილებას ქმნის კაფეში.

დარბაზში 14 მაგიდა დგას, მაგრამ დილის 11 საათიდან ღამის 11 საათამდე — ვიდრე კაფე მუშაობს, ძნელად რომ მოახერხოთ თავისუფალი ადგილის შოვნა.

ეს ხალხმრავლობა მარტო კაფის მოხერხებული მდებარეობითა და გარეგნული სიკოხტავით როდია გამოწვეული. ახალმა კაფემ თბილისელთა მოწონება იმითაც დაიმსახურა, რომ აქ ყოველთვის შეგიძლიათ მიირთვათ ოსტატურად შემზადებული აღმოსავლური თუ ვარშავური ყავა, ახალი ნამცხვარი, სხვადასხვა მსუბუქი საუზმე, რომელსაც კაფეშივე ამზადებენ.

**ნ. სახელაშვილი**



49



## ქალაქი „კეთილხმოვანი“

„ნიქოზიის ჩრდილოეთ, დიდი ლიახვის კიდეზედ არს მცირე ქალაქი ქცხილვანი, კეთილხმოვანი“, — ასე მოიხსენიებს თავის „აღწერა სამეფოსა საქართველოსაში“ ვახუშტი დღევანდელ ცხინვალს.

მართლაც რომ „კეთილხმოვანია“ ქალაქი ცხინვალი. მთის გამჭვირვალე ჰაერი, კრიალა ცა და ცხრათვალა მზე ერთად არიან დასადგურებულნი მის მომხიბვლელ უბეში.

მაგრამ უფრო კეთილი, უფრო მიმზიდველი თვით ამ ქალაქის ცხოვრებაა. მზეც და სინათლეც ხომ მხოლოდ ასეთ ფართო პროსპექტზე, ასეთ ცადატყორცნილ შენობებში, ასეთ ბაღებსა და სკვერებში ეძებს ხოლმე ბინას.

ცხინვალსაც უნახავს ბევრი სიდუხჭირე, გამოუვლია ბევრი ჭირი და ვარამი, ბევრჯერ შავი დღე და ბევრჯერაც უგზოუკვლოდ მიუკარგავს იგი მთებში ბედუკუღმართ დროს.



საბჭოების სახლი ქ. ცხინვალში



ძველი ცხინვალის ერთი კუთხე

„...ვაი იმისთანა ქუჩებს, რომ ცხინვალის ქუჩები ჰქვია: ჯერ რომ საშინელი ვიწრო ქუჩებია, მერე ნაგვით გაუვსიათ მცხოვრებელთა და ისეთი სუნი ტრიალებს, რომ კაცს გული შეუღონდება. თვითონ დუქნებში ხომ კაცს არ შეესვლება, ისეთი ბინძურობა და უსუფთაობაა შიგ“, — წერდა ცხინვალზე 1888 წლის 12 ნოემბერს გაზეთი „ივერია“.

შლი ამ გაზეთის შეყვითლებულ, გაცრეცილ ფურცლებს, რომლებსაც მეტად შორეული, ძველი და თითქოს უცხო სურნელი დაჰკრავს, და ვერ მოგიხერხებია იმ უბადრუკი ქუჩაბანდების, ქოხმახებისა და დუქნების წარმოდგენა, რომლებიც ასე გულმოკლულად აღწერა უცნობმა ავტორმა, ვერ წარმოგიდგენია, რადგან სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის შექმნის დღიდან ორმოცი წლის მანძილზე იმ ძველი ცხინვალიდან ნატამალიც აღარ დარჩენილა, ხოლო მის ადგილზე თავმომწონედ გადაშლილა ახალი, კოპწია და თვალწარმტაცი ქალაქი.

მიაბიჯებთ მის მწვანე ნარგავებითა და ლამპიონებით დამშვენებულ, ფართო, მოასფალტებულ ქუჩებში და თვალს იტაცებს კოხტად ნაგები მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლები, ადმინისტრაციული შენობები, კულტურის სახლები, კინოთეატრები, სახელმწიფო დრამატიული თეატრი, პედაგოგიური ინსტიტუტის, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სამხრეთ-ოსეთის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის შუქჩამდგარი კორპუსები, სკოლები, ბიბლიოთეკები, კლუბები, რესტორნები, მაღაზიები და... ხარაჩოები, ხარაჩოები, ხარაჩოები...

ნამდვილი თანამედროვე ქალაქია ცხინვალი და ჩვენც იმიტომ დავიწყეთ აქედან სამხრეთ-ოსეთზე თხრობა, რომ მასში, როგორც ადმინისტრაციულ და კულტურულ ცენტრში, თავს იყრის ოლქის მჩქეფარე ცხოვრების ყველა ძარღვი.

## „ხალხმა თუ ისურვა“..

საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე სამხრეთ-ოსეთში ერთ უხეირო საწარმოსაც ვერ მოძებნიდა კაცი. არ იყო არც რკინიგზა, არც გზატკეცილები. ადამიანები მთის საცალფეხო ბილიკებით უკავშირდებოდნენ ერთმანეთს და ისიც (განსაკუთრებით ზამთარში) დიდი წვალებისა და მსხვერპლის ფასად. რაიმე სწავლა-განათლებაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტი იყო. ყოველ ათას კაცში ბევრი-ბევრი სამიოდე ათეულს სცოდნოდა ანბანი და ისიც დიდი ვაინაჩრობით. ხალხს წარმოდგენა არ ჰქონდა კლუბზე, ბიბლიოთეკაზე, საავადმყოფოზე. მარტო ცხინვალში იყო ერთი პაწაწა საექიმო პუნქტი და ერთიც კერძო აფთიაქი, მაგრამ იქ მისვლა და დახმარების მიღება მამასისხლად უჯდებოდა კაცს.

ახლა ოსეთში კიდით-კიდემდე გადაჭიმულა კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების თვალუწვდენელი ხოდაბუნები, ბაღ-ვენახები, ალპური საძოვრები, სადაც კოლმეურნეობათა 100 ათასამდე ცხვარი ძოვს. საკოლმეურნეო სოფლებში აჩახჩახდნენ ილიჩის ნათურები, ალაპარაკდა რადიო, აინთო ტელევიზორების ცისფერი ეკრანი. სოფელს ვერ ნახავ, რომ სკოლა, კლუბი და სამკითხველო არ ჰქონდეს. ოლქში სამოცამდე, კინოდანადგარი, სამოცდაათზე მეტი მასობრივი ბიბლიოთეკა და ოთხმოცამდე საკლუბო დაწესებულებაა. ცხინვალის რკინიგზაზე დაქრიან მანქანებით, ხეტყით, მადანით, ხორცით, ცემენტით დატვირთული მატარებლები. ფართო, მოასფალტებულმა გზებმა დასერეს ოსეთის მთა-გორები. ოლქში არ არის არც ერთი წერა-კითხვის უცოდინარი ადამიანი. მარტო ამ წელს ყველა სახის სწავლებაში ოცი ათასზე მეტი კაცია ჩაბმული. აქ უმაღლესი განათლების მქონე ორი ათასზე მეტი სპეციალისტია, მათ შორის 175 ინჟინერი, 200-ზე მეტი ექიმი, 100-მდე მეცნიერ მუშაკი...

ქალაქი და სოფლები დაფარულია საბავშვო ბაგა-ბაღების, საავადმყოფოების, სამშობიარო სახლების, სანატორიუმებისა და დასასვენებელი სახლების ქსელით. ოსეთის მაღალმთიანი კურორტი ჯავა ცნობილია მთელს საბჭოთა კავშირში.

ოლქის ფაბრიკა-ქარხნები ამზადებენ მანქანებს, ელექტრომოწყობილობებს, აგურს, სხვადასხვა ხელსაწყოებს და ა. შ. მარტო ცხინვალში აგებულია ხე-ტყის, ხორცის, პურის, საქალაქო მრეწველობის კომბინატები, ელექტროვიბრომანქანის, მომინანქრებული სადენის, მექანიკური, ლუდის, აგურის, აგურ-კრამიტის და მინერალური წყლების ჩამომსხმელი ქარხნები. აქედან ელექტროვიბრომანქანის ქარხანა ერთადერთია საბჭოთა კავშირში. მალე ამუშავდება საკონსერვო ქარხანაც, რომლის წარმადობა წელიწადში 10 მილიონამდე პირობითი ქილა იქნება.

შეიცვალა ოსეთის ცხოვრება, შეიცვალნენ მისი ადამიანებიც, და, რა თქმა უნდა, ყველაზე უფრო მომხიბვლელნი, ყველაზე საინტერესონი სწორედ ისინი არიან, ამ დოვლათისა და განძის შემქმნელნი, დიდი მომავლის მგზნებარე მოსურნენი და მშენებელნი, — ოსეთი, როგორიც ქვაისელი მემაღარო ალიხან ხუგაევი, სოფელ კეხვის მარქსის სახელობის კოლმეურნეობის მეწველავი დარო ნებიერიძე და კომპოზიტორი ბორის გალაევია.

## მთასთან შებმული გოლიათი

თვრამეტი წლის იქნებოდა ალიხან ხუგაევი, როცა ქვაისის მაღაროთსამმართველო შეიქმნა და ადამიანები



მშენებლობა ქვაისში

ძვირფასი მადნის მოსაპოვებლად ქვაისა-ხოხის მთის გულში შეიჭრნენ. მანამდე ალიხანს მხოლოდ წიგნებში თუ წაეკითხა მაღაროელთა ყოფა-ცხოვრებაზე, თორემ ისე თვალითაც არ ენახა სამთო საწარმო.

მაღაროში მუშაობა მტვირთავად დაიწყო. მერე თანდათან გაიწაფა, თანდათან გაიმაგრა მკლავიც და ეს ერთი შეხედვით უწყინარი, შეუმჩნეველი და სიტყვაძუნწი კაცი გულდაგულ შეება მთას.

ისე არ გავიდოდა დღე, რომ მის მიერ მონგრეული მადანი 2-3 მუშის ნორმას არ გატოლებოდა, ისე არ დამთავრდებოდა წელიწადი, რომ მისთვის მარჯვენა არ დაელოცათ. კოლექტივმა შეიყვარა ჭკვიანი და თავმდაბალი ახალგაზრდა, მბურღავთა კომპლექსურ ბრიგადას ჩაუყენა სათავეში. ეს სწორედ ის დრო იყო, ალიხანმა ქვაისელ მემაღაროელთა შორის რომ პირველმა მოკიდა ხელი მაღაროელის სხვა პროფესიების შესწავლას. ჯერ მებიგეობა ისწავლა, შემდეგ აფეთქების ტექნიკას დაეუფლა, ბოლოს ელმავალიც გააქროლ-გამოაქროლა მაღაროში და ყველასათვის მისაბაძი გახდა.

— იმ მადნით, რაც მარტო ჩვენმა ალიხანმა მოანგრია, — იტყვის ხოლმე ქვაისის მაღაროთსამმართველოს დირექტორი ბ. ვაჭარაძე, — რამდენიმე ათეული მძიმე წონის ეშელონის დატვირთვა შეიძლება.

ორი წლის წინ ალიხანმა ვალენტინა გაგანოვასამებრ თავისი მოწინავე ბრიგადა მეგობარს გადააბარა და ჩამორჩენილ ბრიგადაში გადავიდა. ცოტა ეჭვი კი შეეპარათ მაშინ ქვაისელებს — მეტისმეტი ხომ არ მოუვიდაო. მაგრამ სულ რაღაც სამიოდე თვის შემდეგ ბრიგადა წელში გასწორდა, ჩამორჩენას თავი დააღწია და ახლა პირველობაში ეცილება სხვებს. განსაკუთრებით თავი გამოიჩინა ალიხანმა პარტიის XXII ყრილობის დღეებში. მაშინ ყრილობის აღსანიშნავ შრომის ვახტზე დამდგარმა მისმა ბრიგადამ თორმეტი დღით ადრე შეასრულა თვიური დავალება.



აი რატომაა, რომ ჯერ კიდევ 1951 წელს, ახალგაზრდა მემაღაროე მედლით „შრომითი მამაცობისათვის“ დააჯილდოვეს, ხოლო 1961 წელს — შრომის წითელი დროშის ორდენით.

ახლაც დიდი სიხარულია ხუგაევების ოჯახში. ალიხანის მეუღლე და ოთხი შვილი — ორი ქალი და ორი ვაჟი — სამართლიანად ამაყობენ ოჯახის უფროსით — ხალხმა იგი სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატად აირჩია.

დღე დღეს მისდევს, წელიწადი წელიწადს. ყოველ დილით მთები უხმობენ ალიხანს, გულგაშლილნი ეგებებიან თავიანთ პატრონს და მბრძანებელს, რომელიც მათი მკერდის სიღრმიდან დღენიადაგ ეზიდება ხალხისათვის მოპოვებულ განძეულს.

## ბარაქალა შენს ქალობას, დარო!

რომ შეხედავ, ერთი უბრალო, კეთილი და გამრჯე ქალია. ასეთები ბევრი ცხოვრობს სოფელ კეხვში. შეხვედრისას მორიდებით გაგიღიმებთ, ხელს ვაჟკაცურად ჩამოგართმევთ და სითბოჩაღვრილ თვალებში მხიარული ნაპერწკლები აუთამაშდება:

— კეთილი იყოს თქვენი მობრძანება!

დაროს რბილი, ღონიერი თითები აქვს, ძროხის ცურებს შეჩვეული თითები. კეხვში უკეთესი მწველავი არ მოგვეძებნებაო, ამბობს ხოლმე კოლმეურნეობის თავმჯდომარე თამარ ზარდიაშვილი. კეხვში კი არა, ოლქშიც ბევრი არ მოიძებნება ისეთი ვინმე, დარო ნებიერიძეს რომ უტოლდებოდეს საქმეში.

ასი მეწველი ძროხაა კოლმეურნეობის ფერმაში და ამ ასიდან თვითეულლზე შარშან 1550 ლიტრი რძე მიიღეს. დაროს თოთხმეტი ძროხა ჰყავს ჩაბარებული, თოთხმეტივე ერთიმეორეზე უკეთესად მოვლილი და ნაპატიები. გასულ წელს თვითეულმა 2.033 ლიტრი რძე მოიწველა. მაგრამ დაროს ესეც ეცოტავება. წელს თუ თვითეულზე 2300-2400 ლიტრი არ მივიღო, რაღა ქალი ვიქნებიო. ეს ვალდებულება დარომ პარტიის ცენტრალური კომიტეტის მარტის პლენუმის მასალების გაცნობის შემდეგ აიღო და მაშინვე შეუდგა საქმეს.

ბარაქალა შენს ქალობას დარო!



## ყვავილებში ჩაქსოვილი მელოდიები

ცხინვალში ბევრი ლამაზი სახლია, ბევრი ლამაზი აკვერიცაა გაშენებული. მაგრამ თვალწარმტაც ბაღში ჩამდგარი ეს კოპწია სახლი მაინც სხვებზე უფრო იზიდავს ცხინვალელთა გულს, ჩაუვლი გვერდით და ყვავილების სურნელთან ერთად მუსიკის მომხიბვლელი მელოდიებიც მოგესალმება.

ამ სახლში უხუცესი ოსი კომპოზიტორი ბორის გალაევი ცხოვრობს. ახლა კარგი ამინდია, კომპოზიტორს როიალი ბაღში გამოუტანია და ყვავილებში ჩამჯდარი გატაცებით მუშაობს.

ყველა იცნობს ბორის ალექსანდრეს ძეს. ის ხომ ოსური მუსიკის ფუძემდებელია. მისი ინიციატივით დაარსდა ცხინვალის მუსიკალური სასწავლებელი, ჩამოყალიბდა ოსეთის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი, რომელსაც 20 წელი ხელმძღვანელობდა. ბორის ალექსანდრეს ძე ხალხური შემოქმედების დიდი მოთაყვანეა. წლების მანძილზე აგროვებდა იგი ოსი ხალხის სიმღერებს, რომლებიც შემდეგ წიგნად გამოსცა ლენინგრადში. მის „სამხრეთ-ოსეთის მუსიკალურ ფოლკლორში“ სამასზე მეტი ხალხური სიმღერა და მელოდიაა შესული.

ბორის ალექსანდრეს ძე ავტორია მრავალი კამერული და სიმფონიური ნაწარმოებისა, რომლებიც წარმატებით სრულდება ჩვენი ქვეყნის თითქმის ყველა კუთხეში.

გალაევს უყვარს სიცოცხლე, უყვარს ბავშვები და ყვავილები. მის ცხოვრებაში ყველაზე დიდი ადგილიც სწორედ მუსიკას, ბავშვებსა და ყვავილებს აქვთ დათმობილი. ალბათ ამიტომაა, რომ მისი მუსიკის მოსმენისას გული სინათლითა და სიხალისით გევსება, და გახსენდება კოსტას მგზნებარე სიტყვები:

„მე შევიყვარე ქვეყანა მთელი,
ადამიანი, ტურფა ბუნება —
ყოფნა ახალი მზისებრ ნათელი,
ბედნიერება, თავისუფლება“.

ა. მარჯანიძე,
ი. თედეაშვილი



კომუნისტური შრომის ბრიგადის ხელმძღვანელი შ. კოგოევი (მარჯვნივ) და ბრიგადის წევრები გ გაგლოევი და ი. ჯიოევი.

კომპოზიტორი ბორის გალაევი.



## ჩვენს ქუჩაზე დადის ქალი

რევაზ ასაევი

ჩვენს ქუჩაზე დადის ქალი
და ზვირთივით ტანს მიარხევს.
მარგალიტის ტყუპის ცალი,
სიზმარშიაც ბევრჯერ ვნახე.

ნეტავ ვისთან, ვისკენ, საით,
მიიჩქარის დილით ადრე,
თვალით ელვის გამკვესავი,
გულში რა ფიქრს აბინადრებს;

რად ყოვნდება უხმოდ ასე
თეთრ და მყუდრო სახლის წინა?..
ახლაც მთელი ღამე მასზე
ფიქრმა აღარ დამაძინა.

არ ეძინა მასაც, მჯერა,
ერთი ქერა ბიჭის გამო:
დაუბრუნა გულის ძგერა,
განკურნებულს სამუდამოდ...

შუქს ტოვებს და ფიქრებს ერთვის,
ნაწნავს დაჰკრავს ფერი თივის,
და კედლები ლაზარეთის
ელავს მისი ხალათივით.

სიცხეა თუ დღეა ქარვის,
დილაა თუ წვება ბინდი,
თეთრ ხალათში დასტაქარი,
ჩემი გზით და ქუჩით მიდის...

მოწინავე მწველავი დ. ნებიერიძე.



ფოტო ვ. უზოჟენკოვი.

ქართული ლიტერატურის მკვლევარსა და საზოგადო მოღვაწეს იპოლიტე ვართაგავას მიმდინარე წელს დაბადებიდან 90 წელი შეუსრულდა. დიდია მისი დამსახურება ჩვენი კლასიკური მწერლობის შესწავლის საქმეში. ლიტერატურის ეს ჩუმი და ღვაწლმოსილი მემატიანე მრავალი სერიოზული წერილის, მონოგრაფიისა და წიგნის ავტორია. რამდენიმე წლის წინათ მან დასწერა კრიტიკულ მონოგრაფიათა მთელი რკალი, რომელსაც „სილუეტები“ უწოდა. „სილუეტებში“ ღრმად და საფუძვლიანადაა მიმოხილული მე-20 საუკუნის ქართველ გამოჩენილ მწერალთა ცხოვრება და შემოქმედება.

თავის დროზე „სილუეტების“ შესახებ აზრი გამოუთქვამთ ჩვენს სასიქადულო მწერლებს და თავიანთი შეხედულებანი წერილობითაც უცნობებიათ ავტორისათვის.

იპოლიტე ვართაგავას არქივში დაცულია ყველა ეს წერილი. რაც უფრო მეტი დრო გადის, მით უფრო აშკარა ხდება მათი ფასი და ღირებულება.

ქვემოთ მცირეოდენი შემცირებით ვაქვეყნებთ შალვა დადიანის, ლეო ქიაჩელის და ალექსანდრე აბაშელის პირად წერილებს იპოლიტე ვართაგავასადმი. ამ წერილებს მნიშვნელობა აქვთ მათი ავტორების ცხოვრებისა და შემოქმედების შესწავლისათვის.

სამივე წერილი იბეჭდება პირველად.

პატივცემულო და ძვირფასო იპოლიტე!

მივიღე თქვენი გულწრფელი და ობიექტური გამოკვლევა ჩემს შესახებ. სხვაფრივ თქვენგან არც იყო მოსალოდნელი, რადგან მე თქვენ დიდი ხანია გიცნობთ. თუ არ ვცდები, მგონი, დუტუ მეგრელმა გამაცნო თქვენი თავი ქუთაისის ესრეთწოდებულ „ბულვარში“, ქუთათურების „გულვარდში“. წარმოსადეგი, ბრგე ვაჟკაცი, მეტად მოხდენილის, თუ არ ვცდები, წაბლისფერი კოხტა წვერებით.

ეეჰ, ახალგაზრდობავ!.. როგორი სანატრელი ხარ მუდამ, რაგინდ დუხჭირ პირობებში არ იყოს გავლილი ეს ახალგაზრდობა. თუმცა თქვენ დასანანი არაფერი გაქვთ, რადგან თქვენი ახალგაზრდობაცა და სიბერეც ნაყოფიერი იყო და ხალხისათვის სასარგებლო, დიდის ერუდიციითა და ნიჭიერებით შემკობილი. თქვენ თქვენი ვალი სამშობლო ლიტერატურის წინაშე პირნათლად გაქვთ მოხდილი და ახლაც ეწევით დიდად საჭირო მუშაობას, რომ ერთხელ კიდევ თქვათ თქვენი მართალი სიტყვა.

მე კი მადლობის მეტი რა მეთქმის ჩემს შესახებ თქვენი გულღია წერილის გამო.

ამიტომაც გწერთ ქაღალდის ასეთ ფართო მოედანზე... ჰა, ჰა!.. ჩემს მადლობას და... ერთგვარ ჩემს პატარა „ალსარებასაც“.

თქვენ სრულის სინამდვილის შემცველის სიზუსტით მიმიჩინეთ ჩემი ადგილი ქართულს ლიტერატურაში და სცენაზე.

მე შემიძლიან ახლა ამ „მონაქცევზე“ სრულის გულწრფელობით მოგახსენოთ შემდეგი (თუმცა ესეც აღსანიშნავია, რომ არაგულწრფელად წერა თუ გამოსვლა არ მეხერხებოდა, საკადრისად არ ვთვლიდი): ჭაბუკი ვიყავ, როდესაც სცენაზე შევედი და იმავ დროს დიდ პრესაში ჩემი ნაწერები გამოვაქვეყნე.

რა იყო ამის მიზეზი?

ჭაბუკი ვიყავ, მაგრამ ეს იმთავითვე ვიგრძენი, რომ ჩვენს სცენას, მაგალითად, გარდა ბუმბერაზებისა, აკლდა რიგითი, ასე თუ ისე მომზადებული მსახიობები, და ვფიქრობდი, რომ აქ გამოსადეგი გავხდებოდი. ამიტომ მოვკიდე ხელი რეჟისორობასაც და დასების ხელმძღვანელობასაც. ერთით ვარ ბედნიერი: ხალხი მიფასებდა ასეთ მუშაობას და თუ დღეს, როგორც თქვენ ბრძანებთ, პოპულარული ვარ ჩვენს ხალხში, ეს უწინარეს ყოვლისა სცენაზე მუშაობით არის შეძენილი. მე ხომ სვანეთის გარდა მთელი საქართველო მაქვს შემოვლილი, მყავდა და მყავს ბევრი ნაცნობი ჩვენი ქვეყნის ყველა კუთხეში და, როდესაც ახლაც სადმე გამოვჩნდები, ვატყობ აუდიტორიას, რომ პირზე სათნო ღიმილით მეგებება. ეს კი მართლა ჩემთვის დიდი ჯილდოა.

პიესების წერაც იმან დამაწყებინა, რომ სცენაზე მომუშავენი ყველანი ვგრძნობდით ქართული ორიგინალური პიესების ნაკლებობას, დიდ ხარვეზს. ამან გამაბედვინა და „ვირისკე“. ამან გამოიწვია მთელი სერია ჩემის პიესებისა. ასე იყო ბელეტრისტიკაშიც. ჩემის ფიქრით, ჩემს დროს არ იყო ისეთი ისტორიული ნაწარმოები, რომელიც ქართველ ხალხს შთააგონებდა მის „კარგ“ წარსულს და თავის მოწონების სურვილს მოჰგვრიდა. მაშინდელი პიესებიც და ბელეტრისტული ნაწარმოებიც ყველა ჩვენს მტერთა მიერ დამხობისა და განადგურების ამბებს მოგვითხრობდა. მე კი მოვკიდე ხელი თამარის ბრწყინვალე ხანას, რაც, ჩემის ფიქრით, გამოაღვიძებდა ქართველობაში პოტენციალურად მხნეობას, „ყელს ამაყად მოაღერებინებდა“.

და აი, ჩემი როლი ჩვენს საზოგადო ასპარეზზე: შეძლებისამებრ შემევსო ორი ნაკლი, რაც ჩემის ფიქრით, ახლდა მაშინდელ ჩვენს თეატრსა და ლიტერატურას.

ახალმა ხანამ ხომ მომიტანა დიდი და გარკვეული შეგნება ხალხის დღევანდელი მაღალი მოთხოვნილებისა და, მეც ვცდილობ ჩემი კალამი ემსახუროს თანამედროვეობას.

ხალხის სამსახური! ეს მამიჩემის ბრალია. თითქო ბავშვობიდანვე ძვალორბილში გამიჯდა ამ მოვალეობის შეგრძნობა მამის მეოხებით, დარიგებით კი არა, მისი საქმიანობით, მისი ცხოვრებით

მხოლოდ ერთი: რატომ გგონიათ, რომ მე ელამი ვარ? არ იფიქროთ, რომ ეს მეწყინა. ვიფიქრე, უთუოდ ასე გამოვიყურები-მეთქი. მხოლოდ თქვენი წერილის შემდეგ შევეკითხე ბევრს, მაგრამ არ დამიდასტურეს. არც თვალები მაქვს შავი, უფრო მოცისფეროა, „ჩხია“. მაგრამ ყოველივე ეს ხელს არ უშლის თქვენს მშვენიერსა და სამართლიან გამოკვლევას, რომ იგი სინამდვილის შემცველი იყოს.

კიდევ ერთხელ მიიღეთ გულითადი მადლობა და გისურვებთ კვლავ ჯანმრთელის, ხანგრძლივ სიცოცხლეს და რვეულებრივ ნაყოფიერ მუშაობას.

პო, რატომ ამბობთ, რომ თქვენი ეს ნაშრომები — „სილუეტები“ არ გამოიცემა? თქვენ ნუ ხართ ჩემსავით მორიდებული. უნდა უკუაგდოთ ეს ძველი ინტელიგენტური მოკრძალება. ჩვენი გამომცემლობანი — „სახელგამი“, „საბჭოთა მწერალი“, დარწმუნებული ვარ სიამოვნებით მოჰკიდებენ ხელს მათ გამოცემას. თუ არა და თვითონ „პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის გამავრცელებელი საზოგადოება“ გაუძღვება ამ საქმეს. იმათ არა აქვთ გამომცემლობა, მაგრამ მათის ინიციატივითა და ფირმით სხვები დასტამბავენ. მგონი ამის პრეცენდენტი არსებობს.

კიდევ და კიდევ ჯანმრთელობა, ხანგრძლივობა სიცოცხლისა და მუშაობისა.

შ ა ლ ვ ა  დ ა დ ი ა ნ ი.

1951.
16. IV.

შევეცდები თქვენი „სილუეტების“ წაკითხვა მოვაწყოთ ან მწერალთა კავშირში, ან ჩვენთან, თეატრალურ საზოგადოებაში.

დიდად პატივცემულო იპოლიტე!

დიდი სიამოვნებით წავიკითხე ჩემი შემოქმედებისადმი მიძღვნილი თქვენი „სილუეტი“. წაკითხვისთანავე თქვენთან გეახელით მადლობის გამოსაცხადებლად. სამწუხაროდ, შინ არ ბრძანდებოდით და თქვენს ქალს ვთხოვე გადმოეცა თქვენთვის ჩემი მადლობა და კმაყოფილება.

გარდა იმისა, რომ „სილუეტი“ მხატვრული ზომიერებითა და კრიტიკული სიმკვეთრით არის დაწერილი, იგი მომხიბლავად გულთბილიც არის. წარმოიდგინეთ, მე არც კი მეგონა, თუ ჩემს ნაწერებს ასე ზედმიწევნით იცნობდით. შერიგებული ვიყავი იმ აზრს, რომ ჩემი შემოქმედება აცდა თქვენს ყურადღებას, რამდენადაც თქვენი კრიტიკული წერილებისა და მონოგრაფიების საგანი უპირატესად კლასიკოსებია და მე-19 საუკუნის მათი ტოლი მწერლები. მით უმეტეს სასიამოვნო იყო ჩემთვის „სილუეტის“ წაკითხვა.

თქვენი წერილის მთავარ ღირსებად მე მიმაჩნია ის, რომ ინტიმურია, დაწერილია ჩვეულებრივი კრიტიკული ხერხების გამოყენების გარეშე, ასე ვთქვათ, უშუალოდ და სიყვარულით. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ თქვენ მე მაქებთ მხოლოდენ. თქვენ მეტად საყურადღებო შენიშვნები გაქვთ. ამათ შორის ჩემი ყურადღება მიიპყრო განსაკუთრებულად ერთმა: ეს შეეხება ჩემს ზრდას, როგორც შემოქმედის. თქვენ ფიქრობთ, რომ „ტარიელ გოლუას“ შემდგომი ჩემი ნაწარმოებები მაინცდამაინც არ მოწმობენ ჩემს ზრდას. ლიტერატურულ-მხატვრული თვალსაზრისით ეს მტკიცება მე მართებულად არ მიმაჩნია. არც იმ აზრით მგონია ის მართებული, რომ მე-20 საუკუნის უკანასკნელი მონაკვეთის ჩვენი საზოგადოებრივ-ეროვნული ვითარების მოვლენები მეტი გაშლილობითა, თუ მხატვრული ჩაწვდომით არ ამესახოს ჩემს მერმინდელ ნაწერებში („სისხლი“, „გვადი ბიგვა“, „მთის კაცი“, „ჰაკი აძბა“).

მაგრამ თუ თქვენს შენიშვნას გავიგებთ იმ აზრით, რომ „ტარიელ გოლუას“ მერმინდელი ჩემი ნაწერების მასშტაბი, ან უკეთ რომ ვთქვათ, ზომა „ტარიელ გოლუას“ მაინცდამაინც არ დასცილებია, მაშინ თქვენი შენიშვნა ერთგვარ ფორმალურ საფუძველს არ არის მოკლებული. თქვენ ამბობთ, რომ ჩემი ნაწარმოებები უფრო მოთხრობებია, ვიდრე რომანები. თქვენ აქ უთუოდ ზომას გულისხმობთ. შინაგანად კი „სისხლი“ (ზომის მხრითაც), „გვადი ბიგვა“ და „მთის კაცი“ რომანის ყველა მოთხოვნილებას აკმაყოფილებენ და მათი საზოგადოებრივ-იდეური მოცულობა მხატვრული სახეების სრულყოფითურთ დიდად აღემატება მოთხრობის ჩვეულებრივ – ზომასა და სიუჟეტურ ხაზურ კომპოზიციას. ამ მხრივ ისინი ნამდვილად რომანებია. მაგრამ უნდა ითქვას: მათ მაინც აქვთ ის ნაკლი, რომ ისინი მთელი სისავსითა და სისრულით ვერ ასახავენ განსაზღვრული ეპოქის ჩვენს საზოგადოებრივ-ეროვნულ ცხოვრებას. აქ თქვენ მართალი ბრძანდებით. პროზაში შინაარსისა და ფორმის ფართო მასშტაბებს დიდი როლი ეკუთვნის. მე ვერ ვიმართლებ თავს, რომ ამნაირი გაქანების ნაწარმოები არ მრჩება და გულის ტკივილით ვიღებ თქვენს საყვედურს, რომელიც მოწმობს თქვენი კრიტიკული აზროვნებისა და ლიტერატურული ინტერესის მაღალ დონეს.

რაც შეეხება თქვენს მოსაზრებას, თანამედროვე ჩვენი კრიტიკოსების შენიშვნებზე ჩემი პირვანდელი მოთხრობებისა და მერმინდელი რომანების გმირების სოციალური ბუნებისა და ხასიათების შესახებ, მე მათ სავსებით ვიზიარებ.

ერთხელ კიდევ გიცხადებთ დიდ მადლობას ჩემდამი გამოჩენილი ძვირფასი ყურადღებისა და იმ დიდი სიყვარულისათვის, რომლითაც დაწერილია ჩემთვის მეტად საგულისხმო თქვენი მშვენიერი „სილუეტი“.

მარად თქვენი პატივისმცემელი

ლ ე ო  ქ ი ა ჩ ე ლ ი.

პატივცემულო იპოლიტე!

დიდი ყურადღებით წავიკითხე თქვენი წერილი ჩემს შესახებ. უთუოდ საგულისხმოა და დამაფიქრებელი თქვენი დასკვნები. მე პირველად მომეცა საშუალება ამ თვალსაზრისით ჩავუფიქრდე ჩემს ბიოგრაფიას. თქვენი გულწრფელობა და მიუდგომლობა აბსოლუტურად ეჭვმიუტანელია, მაგრამ წერილის ბოლო ნაწილში ჩემი პოეტური შემოქმედება, ვფიქრობ, გადაჭარბებულად გაქვთ შეფასებული.

მეშინია, რომ ქართულ პოეზიაში ჩემი „უკვდავების“ კატეგორიულმა მტკიცებამ მკითხველ საზოგადოებაში არ გამოიწვიოს ირონიული ღიმილი. ისეთ სიმაღლეზე ნუ ამიყვანთ, საიდანაც ვინმემ ადვილად შესძლოს ჩემი კინწისკვრით ჩამოგდება. ამას ნუ ჩამომართმევთ „ზედმეტ თავმდაბლობად“.

თეატრში ადგილს იჭერენ შეძენილი ბილეთის მიხედვით, მე კი პარტერის ბილეთი არ შემიძენია და სხვის ადგილზე ვინ დამსვამს?

მე შევასწორე ჩემი ლექსების ციტატებში შეპარული ორიოდე უნებლიე შეცდომა, ერთი სტრიქონიც წავშალე, რადგანაც ის მომდევნო სტროფს ეკუთვნის. რაც შეეხება „სილუეტების“ საჯაროდ წაკითხვას, ვფიქრობ, ეს ადვილად მოეწყობა მწერალთა კავშირის სახელით, ოღონდ მე გთხოვთ, რომ ჯერ წაგვეკითხათ უფრო ცნობილი მწერლებისადმი მიძღვნილი წერილები.

18. IV. 1951 წ.

პატივისცემით ა ლ.  ა ბ ა შ ე ლ ი.

# ჯერაც უთქმელო ჩემო სათქმელო!..

გაზაფხული ძალაში შევიდა. ჩვენი რესპუბლიკის ხავერდოვან ჩაის ბუჩქებს ხალისიანი ჟრიამულით მოეფინენ ჩალისქუდიანი მკრეფავები.

ლორთქო დუყებით პირთამდე ივსება კალათები. მოდის და მოდის მეჩაიეთა გამრჯე მარჯვენით მოკრეფილი „მწვანე ოქრო“.

— წუთიც კი არ დავკარგოთ უქმად, ყველაფერი გავაკეთოთ აღებული ვალდებულების პირნათლად შესრულებისათვის! — ასეთია საქართველოს მეჩაიეთა მტკიცე გადაწყვეტილება. ეჭვს გარეშეა, რომ თავდადებული შრომით ისინი წელსაც ისახელებენ თავს და ახალი წარმატებებით გაახარებენ დედა-სამშობლოს.

სახელოვანმა მშრომელებმა დასვენებაც ხალისიანი იციან.

ფოტო ე. პესოვისა და ო. თურქიასი



### ვასილ გვეზაძე

სტროფს არ გამოჰყვა ყლორტის
                    სიჩვილე,
გჩხრეკ და ნაკვერჩხლით ვფანტავ
                    ყიამეთს...
დღემდე ტკივილი ვერ მომირჩინე,
სულის დუღილი ვერ დამიამე.

გიცდი, გიხმობ და გკადრებ სამდურავს,
შენს გამოჩენას უქმად ვჩემულობ.
რამ გაგარინდა, რამ დაგადუმა,
სიტყვავ, ჩიტივით ჩაყუჩებულო.

მითხარ, ვისთან და საით გიგულო...
სად დავაღამო, სად გავათენო...
დადუმებულო და გარინდულო,
ჯერაც უთქმელო ჩემო სათქმელო!..

ვიცი, გაგალბობს თბილი ზაფხული,
რომ მზის ლარებით ზედ დამედინო.
რომელ სტრიქონში ხარ შენახული,
სადღაც აქამდე ხმაგაკმენდილო.

იქნებ ლოდინის ნესტმა დაგუონა,
ბილიკს გაჰყევი სხვისგან გათქერილს;
იქნებ დარდივით შერჩი ბავშვობას
და გზის ძებნაში ჩასწვი სათქმელი;

იქნებ ჩრდილივით დათრთი ყრმობაში
და სიყრმის შუქში ყურავ სტრიქონებს;
იქნებ ყველა ფრთას ერთად მომაშლი
და ალალივით თავს დამიქროლებ.

გზამ და ბილიკმა ხომ არ დაგღალა,
ხომ არ დაგძალა ლურჯმა თვალებმა,
ხომ არ გაგაფრთხო ჩემმა ქალარამ, —
ამ თოვლიანმა იდუმალებამ.

თოთო ბარტყივით გულში გმალავდი
და სიცოცხლეში ერთხელ გინატრე...
მამის თვალებში ხომ არ ჩანავლდი,
დედის კალთაში ხომ არ ჰიატებ.

სად შეგხვდე ჩემთა თვალთა ამხელი:
დადნე, დალღვე და ზედ დამედინო.
რამდენ ოცნების ხარ შემნახველი,
სადღაც აქამდე ხმაგაკმენდილო.

გრძნობა ზოდივით გულში ნადები,
დღემდე ვერ დასძრა სიტყვის ნათელმა.
მთელი სიცოცხლე მე ვემზადები,
ერთი სტრიქონის ამოსათქმელად!

მოდი, დუმილში თავშემფარავი,
ზღვარი დაუდე ცდას და მოლოდინს,
არ შეიყენო მხარში არავინ
და გაიტანე კვალი ბოლომდის.

არ დავრჩეთ ჩრჩილად და უპატრონოდ,
ამქვეყნის მდგმურად და უცხოებად...
...და, ერთმა ლექსმა ქვეყნად დამტოვოს
და გააგრძელოს ჩემი ცხოვრება.



# ამერიკული ბალეტის ფუძემდებელი





კლასიკური ბალეტი და თანამედროვე ქორეოგრაფია ბევრჯერ გადახალისდა სტილის, ჟანრის, შინაარსის მიხედვით; შემდგომ მან შეიძინა სიუჟეტი, აზრი და ჩვენს საუკუნეში განვითარების უმაღლეს მწვერვალს მიაღწია. ბალეტმაისტერები გამომეტყველებითს ჟესტებს არაფრის მთქმელი პირუეტებით, მიმიკიდან გამომზირალ ვნებათა თამაშით, ხან კი ბრწყინვალე ანტრაშით ცვლიდნენ. ხდებოდა ასეც: ქორეოგრაფები საინტერესო პოემის ნაცვლად უსიცოცხლო დივერტისმენტს თავაზობდნენ მაყურებელს. ბალეტის ისტორიის მთელ მანძილზე ერთმანეთს ენაცვლებოდნენ კლასიციზმი, ცრუკლასიციზმი, ხალხური, რეალური, დეკადენტური და რენესანსური პერიოდები.

მიმდინარეობათა ამ ლაბირინთებში გაიკვლია გზა და დაძაბულ შემოქმედებით მოღვაწეობას შეუდგა გამოჩენილი ქართველი კომპოზიტორის მელიტონ ბალანჩივაძის ვაჟიშვილი გიორგი, რომელიც უცხოეთში მოღვაწეობს. გიორგი ბალნაჩივაძეს ქორეოგრაფიული მოღვაწეობის გარიჟრაჟზე სერგეი დიაგილევმა ხელის ერთი მოსმით გამოუცვალა გვარი და ჯორჯ ბალანჩინი უწოდა. მაშინ ოცდაერთი წლის იყო ამერიკული კლასიკური ბალეტის ფუძემდებელი და მამამთავარი.

ბიოგრაფი უოლტერ სორელი შარშან წინ წერდა: „ბალანჩინი, რომელშიც ქართული სისხლი ჩქეფს, 27 წელზე მეტია ამზადებს და აშალაშინებს კლასიკური ბალეტის ამერიკელ ოსტატებს, ქედს და ქმნის მოცეკვავეთა ეროვნულ კადრებს. ამ ხნის მანძილზე მან დაიმსახურა ის, რომ სიტყვები „ბალანჩინის მოწაფე" უმაღლესი კლასის მოცეკვავის სინონიმია"

გიორგი ბალანჩივაძემ შექმნა ამერიკის კლასიკური ბალეტის თანამედროვე სტილი და ამისათვის საუცხოოდ გამოიყენა იქაური პირობები. ნიუ-იორკის საქალაქო ბალეტის უკანასკნელი პერიოდის ბალანჩინისეული დადგმების რეპერტუარს თუ გადავხედავთ, თვალში გვეცემა მისი მრავალმხრივობა. იგი სიუჟეტს თავისებურად უდგება, ხორცს ასხამს და სცენიურად ახორციელებს. ელასტიკური მრავალფეროვნებითა და უეცარი მხატვრული ელემენტით ბალანჩივაძეს სიამოვნებით ადარებენ მხოლოდ... პაბლო პიკასოს.

ბალეტის სამყაროში გიორგის პირველი გამოჩენა არა მარტო მოკრძალებული, იძულებითიც გახლდათ. ხელოვანთა კერაში 1904 წლის 22 იანვარს დაბადებულმა და გაზრდილმა ჭაბუკმა ოჯახშივე მიიღო მუსიკალური განათლება. ფორტეპიანოს დაკვრა იმის შიშითაც შეისწავლა, რომ უვახშმოდ დააძინებდნენ. ცხრა წლის გოგი მშობლებმა მიიყვანეს პეტერბურგის მარიამის საიმპერატორო თეატრთან არსებულ საბალეტო სტუდიაში, სადაც 150 კონკურენტს შორის მისაღები გამოცდა ფრიადზე დაიჭირა. სკოლა-ინტერნატი თავდაპირველად არ მოეწონა, იქიდან გაიქცა და გულისხმიერ დეიდას შეაფარა თავი. დეიდამ შორსმჭვრეტელობა გამოიჩინა და რჩევა-დარიგების შემდეგ ბავშვი უკანვე დააბრუნა.

გიორგი ხვადასხვა დროს მუშაობდა კურიერად ბანკში, შეგირდად მეუნაგირესთან და პიანისტად კინოში. დაამთავრა ქორეოგრაფიული სასწავლებელი და მარიამის თეატრის საბალეტო დასში მიიწვიეს. თავისუფალ დროს კონსერვატორიაში მეცადინეობდა გლაზუნოვის ხელმძღვანელობით ფორტეპიანოსა და კომპოზიციაში.

1924 წელს მოცეკვავე დანილოვასთან, ჟევერჟეევასა და ეფიმოვთან ერთად ბალანჩივაძე ბერლინში, მანჰეიმში, ლონდონში, დაბოლოს პარიზში მართავდა კონცერტებს. დიდების გზა მისთვისაც არ გამოდგა უეკლო. საფრანგეთში ბედმა უმუხთლა, ფილტვების მძიმე ავადმყოფობით დაავადდა და რომ სერგეი დიაგილევი არა, სიკვდილს ვერ ასცდებოდა. რამდენიმე წლის შემდეგ გიორგი სამშობლოში წამოსასვლელად მოემზადა. სწორედ ამ დროს ნიჟინსკიმ მიატოვა სცენა და რუსული ბალეტი პარიზში ჩიხში მოემწყვდა. ბალეტი რომ დაღუპვისაგან გადაერჩინა, დიაგილევი პირდაპირ ფეხებში ჩაუვარდა გიორგის. დროებით დარჩიო, შეევედრა და რუსული ბალეტის ქორეოგრაფობა დაავალა.

1928 წელს გიორგიმ 10 დადგმა განახორციელა, მათ შორის: „ბარაბო", „მეჯლისზე", „ნეპტუნის დღესასწაული", „კატუნია", სტრავინსკის „აპოლონი — მუზათა მბრძანებელი", პროკოფიევის „მოხეტიალე შვილი". ამ ბალეტებში ქართველმა ქორეოგრაფმა დიდ ემოციურ გამომსახველობას მიაღწია. 1930—31 წლებში კოპენჰაგენის სამეფო თეატრში მოღვაწეობდა ბალეტმაისტერად და იმავე დროს ლონდონის მუსიკალურ კომედიაში თანამშრომლობდა. 1932 წელს ბალანჩინი რენე ბლიუმმა და პოლკოვნიკმა დე ბაზილიომ მონტეკარლოს „ბალე რუსში" მიიწვიეს. იქ დადგა „კონკურენცია", „კოტილონი" და „გააზნაურებული მდაბიო".



# ფუძემდებელი



1933 წელს რუსული ბალეტის მშვენებით გატაცებულმა ფანატიკოსმა მელომანმა, ბოსტონის (ფაილინის) ცნობილი უნივერსალური მაღაზიის დირექტორის შვილმა — ლინკოლნ კირსტეინმა 400.000 დოლარი გამოიღო და ბალანჩინი ნიუ-იორკის საბალეტო სკოლის დასაარსებლად მიიწვია. იქ ბაზად მიიღო შენობა, რომელშიც წინათ აისედორა დუნკანი მოღვაწეობდა.

1934 წლიდან დღემდე ბალნჩინმა დად-

გა და მაყურებელს უჩვენა 100-მდე ბალეტი, რამდენიმე მუსიკალური მიმოხილვა კინოფილმებისათვის და სტრავინსკის მუსიკაზე აგებული ერთი პანტომიმა ცირკისათვის. ჯონ კობლერი წერს: „სწორედ ბალანჩინმა შეასრულა მთავარი როლი იმაში, რომ კლასიკური ბალეტის ტრადიციები გადმოვიდა ამერიკულ ნიადაგზე, ფესვები გაიდგა აქ და გაიფურჩქნა რაღაც ისეთნაირად, რომ თამამად შეიძლება ეწოდოს ბალეტის ისტორიის დიდებული ეპოქის მეოთხედი“.

ნიუ-იორკის საქალაქო ბალეტში მუშაობის პარალელურად ბალანჩინი 1935—38 წლებში მოღვაწეობდა „მეტროპოლიტენ ოპერაში“, თავისუფალ დროს უთმობდა ბროდვეის მუსიკალურ კომედიებსა და ჰოლივუდის კინოფილმების ქორეოგრაფიულ გაფორმებას. 1941 წელს მუშაობდა ბუენოს-აირესის „თეატრ კოლონში“. 1942—43 წლებში მონტე-კარლოს რუსულ ბალეტში, 1947 წელს პარიზის „გრანდ-ოპერაში“. 1946—48 წლებში ბალანჩინი ნიუ-იორკის სოციალური ბალეტის დირექტორი, ხოლო 1934 წლიდან დღემდე ამე-



და-ძმანი—გიორგი, თამარ და ანდრია ბალანჩივაძეები.

რიკული ბალეტის დამფუძნებელთა თავმჯდომარეა და ძირითადად მას თვლიან წმინდა კლასიკური ცეკვის მოციქულად.

ვიტორიო რიეტის მუსიკაზე „ცეკვისათვის დაბადებულნის“ და ბერტოლდ ბრეხტის სცენარის მიხედვით (მუსიკა კურტ ვეილასი) „შვიდი მომაკვდინებელი ცოდვის“ დადგმამ ერთხელ კიდევ დაამტკიცა ქართველი ხელოვანის ნიჭის უსაზღვრო დიაპაზონი, ხაზი გაუსვა მის საუკეთესო თვისებას — იუმორის გრძნობას.

უცხოურ პრესაში გამოქვეყნებულ წერილებს თუ დავუჯერებთ, ჯორჯ ბალნჩინი მჭერმეტყველებით არ გამოირჩევა, მაგრამ ტკბილი თანამოსაუბრეა. დაბალი, რბილი და სასიამოვნო ტემბრის ხმით. ლაპარაკობს ნაწყვეტ-ნაწყვეტ, ზოგჯერ ამოსაცნობი ფრაზებითაც კი. იგი ამჯობინებს მოწაფეებს უჩვენოს თვითეული მიმოხვრა, მოძრაობა. ცეკვის მთელი ფრაგმენტი, ვიდრე აუხსნას. მის ტალანტს ავსებს ნათელი მოსაზრებანი, ვირტუოზობა. გიორგი მელიტონის ძე ყველა კომპოზიტორისათვის იდეალური ქორეოგრაფია: დეტალურად ერკვევა მუსიკის ნიუანსებში, ფაქიზად შეიგრძნობს ჰანგს და რიტმიკას. მისი ბალეტები მუსიკის კანონზომიერებას ემორჩილებიან და ნაწარმოების ტრაქტოვკის დედააზრით სულდგმულობენ. „უცხოელი ცეკვის ჯადოქარი“ შემოქმედებით საზრდოდ იყენებს ჩაიკოვსკის, ბახის, მენდელსონის, გუნოს, მოცარტის, ბიზესა და თანამედროვე კომპოზიტორების ქმნილებებს. მას მიაჩნია, რომ „მუსიკალური პარტიტურის საცქერ სახეებად სრულფასოვანი გადათარგმნის საიდუმლოება მდგომარეობს სიჩუმის დინამიურად გამოყენებაში და დროის უსაზღვროდ ნათელ შეგრძნებაში“.

გიორგი ბალანჩივაძე არც ისე ძლიერ იყო გატაცებული სცენაზე გამოსვლით. დიაგილევთანაც თავის საკუთარ ბალეტებში ძირითადად ცეკვავდა უმთავრესად კომიკურ როლებში და დასამახსოვრებელ სახეებს ქმნიდა. ბალანჩინი სიამოვნებით ჰკიდებს ხელს დირიჟორის ჯოხსაც. ერთხელ კი, 1952 წელს, პარიზის „ელისეს მინდვრების“ თეატრში იგი იხილეს თავის თანაშემწე ჟერომ რობინსის ბალეტ „ჩიტირეკიაში“, როგორც კლარნეტის ინკოგნიტო დამკვრელი. სახელმა და დიდებამ ბალანჩინს თავბრუ არ დაახვია და დიდებულ არტისტიზმთან ერთად მისაბაძი კეთილშობილება გამოიჩინა: 1956—57 წლების ზამთარში ყველა გაფორმებული ანგაჟემენტი გაწირა, რათა ნიუ-იორკში თვეები გაეტარებინა პოლიომიელიტისაგან დამბლად ჩავარდნილ მეუღლე ბალერინა ტანკილ ლე კლერკის სასთუმალთან მანჰატანის აღმოსავლეთით მდებარე პატარა სახლში. აქედან იგი ფეხით დადიოდა თეატრამდე და რეპეტიციებზე სკოლაში.

ბალანჩინის მიერ ჩაიკოვსკის მესამე საორკესტრო სუიტის მუსიკაზე შექმნილი ბალეტი „თემა ვარიაციებით“ ქართველმა საზოგადოებამ იხილა ამერიკული ბალეტის ოსტატთა გასტროლების დროს თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის სცენაზე.

ეჭვგარეშეა, გიორგი ბალანჩივაძე-ბალანჩინი,—ცეკვის ეს მართლაც უბადლო ჯადოქარი — თავისი ახალი ღირსშესანიშნავი დადგმებით კიდევ უფრო გაამდიდრებს კლასიკური ბალეტისა და თანამედროვე ქორეოგრაფიის რეპერტუარს.

ამირან ცამციშვილი.



თვითმპყრობელურ ბატონყმურ ვითარებაში, უუფლებობის, დესპოტიზმისა და ხალხის უმოწყალო ექსპლოატაციის შავბნელ ხანაში სამოღვაწეო ასპარეზზე გამოვიდა ნათელი გონებისა და მგზნებარე გულის ადამიანი — ალექსანდრე გერცენი, რომელიც „ეკუთვნოდა გასული საუკუნის პირველი ნახევრის თავადაზნაურულ-მემამულურ რევოლუციონერთა თაობას“ (ვ. ი. ლენინი).

ა. გერცენი დაიბადა მოსკოვში 1812 წლის 6 აპრილს. მისი მამა ივანე იაკოვლევი მსხვილი მემამულე

# გ ე რ ც ე ნ ი

**(დაბადებიდან 150 წლის გამო)**

იყო, რომელსაც სხვა წრის ქალთან შეეძინა შვილი. უიდგვაროვანმა თავადმა იუკადრისა ამ ქალთან ქორწინების ოფიციალური გაფორმება და ახლადდაბადებული ბავშვი გერცენის გვარზე ჩაწერა.

მსხვილი მემამულის ოჯახში დანახულმა და განცდილმა სინამდვილემ ახალგაზრდა გერცენში ყრმობის წლებშივე აღძრა მამისეული გარემოსადმი ანტიპაცია, რომელიც შემდეგ თვითმპყრობელობისა და ბატონყმობის შეუნელებელ სიძულვილში გადაიზარდა.

1834 წელს ა. გერცენმა დაამთავრა მოსკოვის უნივერსიტეტის ფიზიკა-მათემატიკური ფაკულტეტი. უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ იგი დააპატიმრეს და ჯერ პერმში, შემდეგ კი ვიატკასა და ვლადიმირში გადაასახლეს.

მოსკოვში დაბრუნებული ა. გერცენი კვლავ მესამე განყოფილების მეთვალყურეობის ქვეშ იმყოფება. 1841 წელს მას ნოვგოროდში ასახლებენ. 1847 წელს კი იგი ახერხებს უცხოეთში საცხოვრებლად გამგზავრებას.

ჯერ კიდევ უცხოეთში წასვლამდე ა. გერცენმა შექმნა მთელი რიგი შესანიშნავი, რეალისტური ხასიათის მხატვრული ნაწარმოებები, რომლებშიც დაუნდობლად ამხილა არსებული წესწყობილების სიმახინჯე. ამავე პერიოდს ეკუთვნის მის მიერ დაწერილი ფილოსოფიური თხზულებანი. მათ განსაკუთრებული ადგილი უკავიათ რუსეთის ფილოსოფიური აზროვნების ისტორიაში.

დიდი ლენინი ა. გერცენის შესახებ წერდა, რომ „XIX საუკუნის 40-იანი წლების ბატონყმურ რუსეთში მან შეძლო ასულიყო ისეთ სიმაღლეზე, რომ თავისი დროის უდიდეს მოაზროვნეებს გაუტოლდა... გერცენი უშუალოდ მივიდა დიალექტიკურ მატერიალიზმამდე და შეჩერდა ისტორიული მატერიალიზმის წინაშე“.

ვ. ი. ლენინი აღნიშნავდა, რომ სწორედ ამ „შეჩერებამ“ გამოიწვია ა. გერცენის სულიერი კრახი 1848 წლის რევოლუციის დამარცხების შემდეგ.

ვ. ი. ლენინის სიტყვებით რომ ვთქვათ, ა. გერცენის ღრმა სკეპტიციზმი და პესიმიზმი „იყო კრახი ბურჟუაზიული ილუზიებისა სოციალიზმის მიმართ“, რომ ა. გერცენის სკეპტიციზმი წარმოადგენდა „ბურჟუაზიული დემოკრატიზმის ილუზიებიდან პროლეტარიატის მკაცრ, გაუნუხრელ, კლასობრივ ბრძოლაზე გადასვლის“ ფორმას.

მართალია, ა. გერცენში ადგილი ჰქონდა „გადახვევას დემოკრატიზმიდან ლიბერალიზმისაკენ“, მაგრამ როგორც ვ. ი. ლენინი წერდა, „მასში მაინც დემოკრატი იმარჯვებდა“.

ა. გერცენს უდიდესი ღვაწლი მიუძღვის თავისუფალი რუსული პრესის შექმნაში. მისმა „პოლიარნაია ზვეზდამ“ ბრწყინვალედ აღადგინა დეკაბრისტების ტრადიციები. „კოლოკოლი“ წლების მანძილზე შიშის ზარს სცემდა ქვეყნის მტარვალთ, მახვილი სიტყვით დაუნდობლად ამხელდა იმდროინდელი რუსეთის ძირმომპალ ცხოვრებას.

ა. გერცენი გარდაიცვალა 1870 წელს.

ჩვენი თაობა დღესაც შეუნელებელი ინტერესითა და სიყვარულით ეცნობა ბატონყმური მონობის, თვითმპყრობელობისა და უსამართლობის წინააღმდეგ მიმართულ ა. გერცენის პატრიოტულ ნაწარმოებებს, მის შესანიშნავ, მატერიალისტურ-ფილოსოფიურ ნაშრომებს, რომლებშიც მატერიალისტური ფილოსოფიის პრობლემებთან ერთად, და მათთან მჭიდრო ურთიერთობაში, დიდი ყურადღება აქვს დათმობილი ფილოსოფიისა და ბუნებისმეტყველების კავშირსა და ერთიანობას, აგრეთვე მეცნიერების მეთოდოლოგიის სხვა დიდმნიშვნელოვან საკითხებს.

**მ. სააკაშვილი,**

პროფესორი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე.

# გაყაჩი მეფე



კოტე ლოლაძე

მხატვარი თ. სამსონაძე

მესამედ იყივლა მამალმა. ჯერ კიდევ სიბნელეს მოეცვა მიდამო. სკანდის ციხის კოშკურები სიბნელეში უფრო ცრისხანედ გამოიყურებოდნენ. ღამის სიწყნარე დამკვიდრებულიყო იმერეთის მეფის სოლომონის საზაფხულო სასახლეშიც. მხოლოდ გუშაგებს არ ეძინათ და არც მეფეს მოუხუჭავს თვალი მთელი ღამე. გახთიადისას ეზოში გაისეირნა. მარტოდ მყოფი მეფე საგონებელს მისცემოდა.

ოსმალები მოსვენებას არ აძლევდნენ იმერეთს, შორაპნის ციხე მტრის ხელში იყო და ეს აღონებდა სოლომონს. მის გულს ჰმუნვას გვრიდა ისიც, რომ ზოგიერთი ერისთავი და თავადი კიდევ უფრო მეტ ჭრილობას აყენებდა ისედაც დასუსტებულ სამეფოს. ტყვეებით ვაჭრობა ისევ ძველებურად მძვინვარებდა. იმდენი ძალა არსად იყო, პატარა იმერეთი გარეშე მტერსაც გამკლავებოდა და შინაურიც მორჩილებაში ჰყოლოდა.

ერეკლე მეფისთვისაც პასუხი უნდა გაეცა სოლომონს, — როდის დაელაშქრათ ოსმალთა ჯარი. აგერ სამი თვე იყო ქართლ-კახეთის მეფის მდივან-ბეგი, მეჯვრისხეველი ბერუა თავის ვაჟთან ერთად სოლომონის კარზე პასუხს ელოდა.

ზევ სამეფო საბჭოს კრება აქვს მოწვეული მეფეს. რას იტყვიან დიდებულები? — ოსმალებზე გალაშქრების დაყოვნება დაღუპვას უდრის, — გაიფიქრა იმერთა მეფემ და ნელი ნაბიჯით სასახლისაკენ გაემართა. ამ დროს ჭიშკარი ვიღაცამ ფრთხილად გააღო. ეზოში დაქვეითებული ცხენოსანი შემოვიდა და სამეფო თავლისაკენ გასწია.

მეფის თვალს ეს არ გამოეპარა. სოლომონმა იცნო თავისი თავლა. მხედარში კი ერეკლე მეფის მდივანბეგის შვილი კოხტა შეიცნო.

მეფეს მარცხენა თვალის ქუთუთო და სალოკი თითი აუთამაშდა. ასე იცოდა გაჯავრების დროს. ამ ჩვეულებას დიდი გაჯავრება მოსდევდა ყოველთვის. პატარა ხანს ქანდაკებასავით იდგა... მერე მრისხანედ გაიხმაურა:

— სახლთუხუცესო, ჩემთან!

ორ წუთსაც არ გაუვლია, ნამძინარევი, მეფის ძახილით დაფეთებული სახლთუხუცესი აივანზე გამოვარდა. დაინახა მეფე. შეშინებულმა, ქულაჯის სწორებით ჩაირბინა კიბე.. პატრონს გამოეჭიმა.

— ღრმად გძინავს, სახლთუხუცესო! არამკითხეები მეფის ქონებას როგორც უნდათ, ისე ეპყრობიან.

სახლთუხუცესმა წერეთელმა დუმილი არჩია. იცოდა, სოლომონი გაჯავრების დროს არავის დაინდობდა. — მარცხენა ფეხზე ამდგარა, ვაი მას, ვისაც მისი რისხვა დაატყდებაო, გაიფიქრა.

მეფე ერთ ხანს დუმდა. ვარდიგორას სერებს გასცქეროდა, მერე ისევ იქუხა:

— ქართლ-კახეთის მეფის წარმოგზავნილი ბერუა მომგვარე აქ! — და სახლთუხუცესს ზურგი შეაქცია, დიდი კაკლის ხისაკენ გაემართა, მარმარილოს მაგიდასთან მივიდა და ჩამოჯდა.

ადრე ადგომას მიჩვეული მეჯვრისხეველი მდივან-ბეგი შვილის საწოლ ოთახში ხის სავარძელში ჩამჯდარიყო და ახლადჩაძინებულ კოხტას მისჩერებოდა. ჭაბუკს თავი ყურბალიშზე დაედო, მარცხენა ფეხი ოდნავ მოეხარა, ძალზე შვენოდა ახლად ამოსული კოკობი ულვაში, ოდნავ მომღიმარი ტუჩები უთრთოდა, ვიღაცის სახელს ახსენებდა. მოშორებით მჯდარი მამა ამჩნევდა, რომ შვილს ღრმა ძილით არ ეძინა. მძინარ შვილს ერთხელ კიდევ დახედა და კარისაკენ დაიძრა. უეცრად კაკუნი მოესმა.

გაოცებულმა ბერუამ ოთახში შემოიპატიჟა უდროოდ მოსული სტუმარი. პატარა ამბავი როდი იყო: თვით წერეთელი ხლებოდა.

— ჩემო ბერუა, მეფე გიხმობს, ეტყობა ვერ არის გუნებაზე, — უთხრა მისალმების შემდეგ.

ბერუა წელში გაიმართა, სასწრაფოდ გადაიცვა სადარბაზო ტანსაცმელი და მეფისაკენ გაემართა. წერეთელი გვერდით მიჰყვებოდა, გზას აჩვენებდა. სოლომონი კვლავ ფიქრს მისცემოდა. სახლთუხუცესი და ბერუა ცოტა მოშორებით შედგნენ. მაღალი, თვალტანადი იყო მეჯვრისხეველი მდივანბეგი. მისი ფართო შუბლი ნაოჭებს დაეღარა. სოლომონი კარგად იცნობდა ბერუას ვაჟკაცობას. მოსწონდა მისი გონიერება და ერეკლესადმი ერთგულება.

მეფე ფიქრიდან გამოერკვა.

— ბერუა, — მიმართა მეფემ უეცრად მდივან-ბეგს მიუსალმებლად. — წადი, ახლავე გამიგე, წუხელ სად იყო შენი ვაჟი და რას აკეთებდა. მერე ორივე მეახლეთ, რაც შეიძლება მალე!

მამას შვილი ფეხზე დაუხვდა. მშობელს ჩვეულებისამებრ უნდა მიალერსებოდა, რომ მამის გაფითრებულ სახეზე და ანთებულ თვალებში შიში და სასოწარკვეთილება ამოიკითხა.



— სად დადიხარ ღამით, ან წუხელ სად იყავ? — გატეხილი ხმით მიმართა შვილს და ერთადლიანი სატევარი მუხლებშორის მოიქცია. ჭაბუკი შეკრთა.

— დავლუპულვარ, ყველაფერი გაუგიათ, არ მაპატიებენ დანაშაულს, მე მისი ნახვა მინდოდა... მეფის ცხენი კი ყველაზე სწრაფია! — ჩაილაპარაკა თავისთვის. — ეჰ, მამა შევარცხვინე, ჩემს თავს რას დავეძებ. უნდა ვუამბო ყველაფერი, ტყუილი რა საკადრისია, — თავში გაუელვა კოხტას.

— მამა, მისმინე, — უთხრა ბოლოს, — ჩემი დანაშაული მძიმეა. დიდი ხანია ყოველ ღამით კაცხში დავდივარ ალმასხან აბაშიძის სასახლეში...

— ვაი, ჩემს თავს! ღალატი გიდევს გულში?! მამამ ხანჯალი იშიშვლა, შვილისაკენ გაიწია. კოხტა არ შერხეულა. მამას თვალი თვალში გაუყარა და მშვიდად უპასუხა:

— არა, მამა, ჩვენს გვარში ასეთი რამ არასდროს არ მომხდარა. მე მოღალატე არა ვარ, სხვა რამე მეწევა კაცხისაკენ.

— რაო, რა გეწევა? — დაუდაბლა ხმას ბერუამ. ხანჯალი ჩააგო, შვილს მხარზე დაადო ხელი, საშინელი ეჭვი სადღაც გაჰქრა.

— ალმასხან აბაშიძის ქალი მიყვარს, მამა... კაცხი შორსაა და მეფის ცხენი ყველა მერანზე უფრო სწრაფია. აი, მთელი ჩემი დანაშაული.

...რამდენიმე წუთის შემდეგ მამა-შვილი მეფის წინ იდგნენ...

სკანდის ციხეზე ბუკი დაჰკრეს. მეფემ ამალის ამხედრება ბრძანა. სამეფო დროშა აღმართეს. ბერუა გაქვავებული იდგა, ვარაუდობდა, რა სასჯელი ელოდა მის ერთადერთ ვაჟს. ყველაფერს გააკეთებდა, ათჯერ მეტ მტერს შეებრძოლებოდა, ჯოჯოხეთიდან იხსნიდა, დევებს გამოსტაცებდა თავის კოხტას, მაგრამ მეფის წინააღმდეგ ვერ წავიდოდა, თავისივე მოძმეების სისხლს ვერ დაღვრიდა. განა ამისათვის ჩამოვიდა იმერეთს? — რა მიყავ, შვილო?! — ფიქრობდა გამწარებული მდივან-ბეგი და ტუჩებს იკვნეტდა.

კოხტა გვერდით იდგა. წელში გამართულიყო. მამასავით მაღალს და მხარბეჭიანს, ხუჭუჭა თმა კისერზე სცემდა, სახე ხორბლისფერი ჰქონდა, ოდნავ გაფითრებული, ლურჯ თვალებში შიშის ნაცვლად უსაზღვრო სევდას დაესადგურა.

— საით წაიყვანენ, სკანდროს თუ ბიღას? — ეკითხებოდნენ ერთმანეთს მეფის მსახურნი და შინაყმანი.

— ბიღას, ჩემო ლევან, ბიღას, ან თვალს დასთხრიან ან ჩამოახრჩობენ.

— ბალღს სახელმწიფო დანაშაული არ ჩაუდენია. მეფეს აწყენინა, მის ცხენზე გაბედა შეჯდომა.

— დანაშაულს არ აპატიებს, ვინც არ უნდა იყოს იგი. ალბათ დაასაჭურისებს, — შიშის ძრწოლვით გადაულაპარაკა ერთმა მეორეს, რაც ბერუას ყურს არ გამოჰპარვია.

დაასაჭურისებსო?! ამ სიტყვებს ყური მოჰკრა ჭაბუკმაც. კოხტა შეკრთა. არა, ყოველგვარ სასჯელს მიიღებს: ტანჯვანა დაჰკრან, თვალები დასთხარონ, აწამონ, დილეგში ჩააგდონ. სამარცხვინო სასჯელს არ მიიღებს, — უმალ თავს მოიკლავს! საჭურისის სიცოცხლე რად უნდა!

მწარე ფიქრიდან მეაბჯრეთუხუცესის შეძახილმა გამოიყვანა.

— მოყმევ, მომყევი!

კოხტაც მოსწყდა ადგილს. მიმოიხედა სოლომონი ამხედრებულიყო. კოხტასთვისაც მოეყვანათ ცხენი. თვალი აუხვიეს და ცხენზე შეჯდომა უბრძანეს. გვერდში ორი მხედარი ამოუდგა. მეფემ ბრძანა დაძრულიყვნენ. მუჯირეთ-ბიღას მიმართულებით გასწიეს.

მალე ერთი პატარა მდინარე გადასჭრეს.

მეფე დაწინაურდა. მერანს მათრახი გადაუჭირა, მეაბჯრეთუხუცესს ხელი დაუქნია, მომიახლოვდიო. მეაბჯრეთუხუცესმა არ დააყოვნა.

— დამნაშავე მომგვარე მალე, — უბრძანა მეფემ. მეაბჯრეთუხუცესმა მოჰგვარა კოხტა. ჭაბუკი ხელფეხშეუკრავი იჯდა ცხენზე. მხოლოდ თვალები ჰქონდა ახვეული.

— მიცნობ თუ არა? — შეეკითხა სოლომონი.

— მეფე ბრძანდებით! — იყო პასუხი.

— სად დადიოდი ჩემი ცხენით ღამღამობით? ვისთან ხარ შეთქმული?

— სიყვარულთან დავდიოდი, მეფეო, შეთქმულიც მასთან ვარ.

— ვინ არის!

— მოგეხსენებათ, მეფეო, სიყვარულსა მალვა უნდაო.

სოლომონმა უეცრად მიიხედა პატიმრისაკენ, სახეზე [illegible] და თვალებში ჩახედა მდივან-ბეგის შვილს:

— მაშინაც არ გაამხელ თუ მე, მეფე, ავთანდილად გაგიხდები?

— მეფეო, ალმასხან აბაშიძის ციხის ალუბას [illegible].

— და მაინც როგორ გამიბედე! — გაჯავრდა სოლომონი და ისევ შეიკრა წარბები, — ჩამომაშორეთ, თვალები აუხვიეთ! — მერე მოიხედა და მხლებლებს გასძახა: — კაცხისაკენ!

კოხტა ორ მხედარს შუა მოაქციეს. ჭაბუკის გონებაში იშლებოდნენ ქართლის ველები, მოჩუხჩუხე ფრონეები, ბაღები, ვენახები. რამდენჯერ წაჰყოლია მამას ლიახვზე, ქსანზე. აბაშიძის ასული!.. გაჰქრა ყოველივე, სიზმრად იქცა სინამდვილე. დასჯის წინ ნეტავ ერთხელ კიდევ დაანახვა ნინოს ზღვასავით ცისფერი თვალები, უკან გადაყრილი გრძელი ნაწნავები, შვილდივით წარბები!..

ბიღას მიუახლოვდნენ. ჯალათი დაწინაურდა. მას ყველამ გააყოლა თვალი. ამალის წევრები უფრო შემჭიდროვდნენ. კიდევ ერთი ვერსი, კიდევ რამდენიმე წუთი და საშინელების მომსწრე გახდება ყველა.

აი, გამოჩნდა კორტოხი. პატარა მოედანი და შუკები ხალხით ავსილიყო.

სანახაობის ნახვის სურვილმა გაიღვიძა მხლებლებში. ყველას დაეკარგა შებრალებისა და შეწყალების გრძნობა...

მეფემ მალე შეაჩერა ცხენი. კოხტა სასჯელის მოსახდელი მოედნის შუაგულზე დააყენა აბჯართუხუცესმა. ჯალათმაც მოიმარჯვა თავისი იარაღები. სარდალმა წესრიგის დამცველები დააყენა მოედნის ირგვლივ. დუმილი ჩამოვარდა. დგებოდა დამნაშავის დასჯის წუთი. მეფისაკენ იხედებოდნენ მეომრები და კარისკაცები.

და უეცრად...

— ჩემი ცხენით სიყვარულთან იპარებოდა ღამღამობით ეს კაცი! ამაზე მეტი ბედნიერება არც მეფეს, არც მის ცხენს სხვა ქვეყანაში თავის დღეში არ შეხვედრია წილად. ჯალათო, საჭირო არა ხარ!

ეს თქვა მეფემ და დეზი ჰკრა ქურანას. მიჰქროდა ცხენი. მეფის ცხენს უკან მისდევდა სასჯელის ადგილას მოსული მხედრობა თუ ერისკაცნი. გასცდნენ ბიღას. მალე მეფემ აღმართზე შეაგდო ცხენი. კარგა ხანს იარეს ასე. შორიდან გამოჩნდა კაცხის სვეტი. იქვე იყო თლილი თეთრი ქვით ნაგები აბაშიძის სასახლეც.

დალმართში სოლომონს ალმასხან აბაშიძე ჩამოეგება თავისი აზნაურებით.

— მდივან-ბეგის, ბეროს შვილის მაყარი ვარ, აბაშიძევ!

აბაშიძემ თავი ასწია. ამ სიტყვებმა არ გაახარა დიდად, მაგრამ რა შეეძლო?

მეფის წინ მუხლებზე დაჩოქილი იდგნენ და ლოცვას ითხოვდნენ მისი ქალი და კოხტა.

—ღვთისა და თქვენი ნება იყოს, მეფეო! — უთხრა აბაშიძემ და სტუმრები შინ შეიპატიჟა.



# მშვიდობა ისადგურებს ალჟირში

ეროვნული ბიბლიოთეკა

1962 წლის 19 მარტს, დღის 12 საათზე ევიანში მიღწეული შეთანხმებით ალჟირში შეწყდა ცეცხლი, რომელიც შვიდ წელიწადს გრძელდებოდა და ათეული ათასობით უდანაშაულო ადამიანის სიცოცხლეს იწირავდა.

მსოფლიოს მშვიდობისმოყვარე ხალხებმა შვებით ამოისუნთქეს.

საომარი მოქმედების შეწყვეტა ალჟირში უაღრესად კეთილსასურველ გავლენას მოახდენს საერთაშორისო დაძაბულობის შენელებაზე, ხალხთა შორის ნდობისა და მშვიდობის განმტკიცებაზე.

ალჟირელმა ხალხმა ისტორიული გამარჯვება მოიპოვა: მისმა სამშობლომ სასტიკი და სისხლისმღვრელი ბრძოლებით მიაღწია დამოუკიდებლობას, ტერიტორიალური ერთიანობის შენარჩუნებას. აღარც ფრანგი ხალხი გაიღებს უაზრო და სამარცხვინო მსხვერპლს. მის ქვეყანას შესაძლებლობა მიეცემა თავიდან აიცილოს კოლონიალური ფაშიზმი, რომელიც წარმოადგენს კოლონიალიზმის აუცილებელ შედეგს მეტროპოლიისათვის.

ევიანში მიღწეული შეთანხმება გზას უხსნის მშვიდობას ალჟირში. გზას უხსნისო, ვამბობთ იმიტომ, რომ მშვიდობა ჯერ კიდევ უზრუნველყოფილ უნდა იქნას მიღებული შეთანხმების პატიოსნად განხორციელებით, ალჟირის დამოუკიდებლობის განმტკიცებით, საფრანგეთსა და ალჟირის რესპუბლიკას შორის ნორმალური, თანასწორუფლებიანი ურთიერთობის დამყარებით.

ცხოვრების გამოცდილებამ დაარწმუნა ხალხები იმაში, რომ კოლონიალიზმი არასოდეს ნებით არ თმობს თავის პრივილეგიებს. და თუ მდგომარეობის ზემოქმედებით იძულებული იქნება უკან დაიხიოს, უეჭველად შეეცდება საძრომებისა და მანევრირებისათვის საჭირო პლაცდარმების დატოვებას.

ფრანგული ბურჟუაზიული პრესის გამოხმაურება ევიანის შეთანხმებაზე შეშფოთებას იწვევს. იგი იმდენად ხაზს არ უსვამს ალჟირში ცეცხლის შეწყვეტისა და ალჟირელი ხალხის მიერ ეროვნული დამოუკიდებლობის მოპოვების დადებით მნიშვნელობას, რამდენადაც მსჯელობს იმაზე, თუ რა სარგებელი შეიძლება ნახოს ფრანგულმა კოლონიალიზმმა იმ შემთხვევაში, თუ ალჟირში გამართული რეფერენდუმის დროს ალჟირელთა უმრავლესობა მხარს დაუჭერს თავისი ქვეყნის ისეთ დამოუკიდებლობას, რომელიც დაფუძნებული იქნება საფრანგეთთან თანამშრომლობაზე.

ფრანგულ ბურჟუაზიულ პრესას მხარს უბამს ამერიკული ყვითელი პრესაც. ეს უკანასკნელი ყოველ ღონეს ხმარობს იმისათვის, რომ ამ შეთანხმებას დაუკარგოს თავისი მნიშვნელობა და, ეყრდნობა რა ტერორს, რომლითაც იმუქრებიან ოასელები, ამტკიცებს მის არარეალობას. ამ პრესის ბატონ-პატრონებს, როგორც ჩანს, მაინცდამაინც გულზე არ ესალმუნათ მშვიდობის დამყარება ალჟირში. ამერიკელი ნეოკოლონიზატორები ამჯობინებენ აფრიკაში, ისე როგორც აზიასა და ლათინურ ამერიკაში, „ლოკალური" კონფლიქტების მღვრიე წყალში დაიჭირონ თევზი. მშვიდობის პირობებში მათთვის ბევრად ძნელია იმ კოლონიების ხელში ჩაგდება, რომლებსაც მათი უიღბლო მოკავშირეები კარგავენ.

თავისი არსებობის უკანასკნელ სტადიაში თანამედროვე ნეოკოლონიალიზმი ბადებს კოლონიალურ ფაშიზმს, რომლის მიმდევრები ათეული წლების განმავლობაში იზრდებოდნენ ადამიანთა სასტიკ ექსპლოატაციასა და კოლონიალური ხალხებისადმი მხეცურ სიძულვილზე. „ოასი" სწორედ ასეთი ფაშიზმის ფრანგული სახესხვაობაა, რომლის უკან დგანან კოლონიალური ყაჩაღობით ხელმომთბარი მსხვილი მონოპოლიები.

ოასელები იმუქრებიან ევიანში მიღწეული შეთანხმების ჩაშლით. ამ ფაქტმა შეიძლება დააფიქროს კაცი. ზოგიერთი ვინმე საფრანგეთის ხელმძღვანელებიდან, უარს როდი იტყვის იმოქმედოს ძველი კოლონიალური მეთოდით: შოლტითა და თაფლაკვერით. თაფლაკვერად მათ ხელში შეიძლება ევიანის შეთანხმება გადაიქცეს, შოლტად კი — „ოასის" ბანდები. ამიტომ საფრანგეთის მთავრობის გულწრფელობა პირველ რიგში შემოწმდება იმით, თუ რა პოზიციებს დაიკავებს იგი ოასელების მიმართ. მას ყველა საშუალება აქვს ამ ფაშისტური ნაძირალების მოსარჯულებლად, მით უმეტეს, რომ ფრანგი ხალხი გადაჭრით უჭერს მხარს ფაშიზმის წინააღმდეგ მიმართულ ყველა მის ღონისძიებას.

ალჟირელი ხალხის გამარჯვება საფრანგეთის დემოკრატიული ძალების გამარჯვებაცაა, ძალებისა, რომლებიც კომუნისტური პარტიის მეთაურობით მამაცურად იბრძოდნენ ალჟირის მშვიდობისა და დამოუკიდებლობისათვის. ეს არის გამარჯვება მთელი ახალი აფრიკისაც, რადგან ალჟირელი ხალხის ბრძოლა აფრიკის ხალხების სისხლხორცეული საქმეც იყო.

ალჟირელ ხალხს მხარს უჭერს და ესალმება მთელი პროგრესული კაცობრიობა. მას მხარს უჭერს სოციალისტური ბანაკი, დიდი საბჭოთა კავშირი, რომელმაც პირველმა ცნო ალჟირის დროებითი მთავრობა და გამოთქვა მასთან დიპლომატიური ურთიერთობის დამყარებისთვის მზადყოფნა.

ევიანის შეთანხმება შედეგია ისტორიული გამარჯვებისა, რომელიც ალჟირელმა ხალხმა კოლონიალიზმის წინააღმდეგ გმირული შვიდწლიანი ბრძოლით მოიპოვა. ამ გამარჯვებიდან უკან დახევას არ ექნება და არც შეიძლება ჰქონდეს ადგილი, თუმცა ზოგიერთ ვინმეს დასავლეთის ქვეყნებიდან ჯერ კიდევ აქვს ამის იმედი.

კ. ამირანაშვილი

# ორი ყრილობა

სულ სამი წლის ისტორია აქვს საქართველოს ჟურნალისტთა კავშირს. ამ პერიოდში იგი იქცა ჩვენი რესპუბლიკის ერთ-ერთ მნიშვნელოვან შემოქმედებით ორგანიზაციად, რომელშიც გაერთიანებულია საქართველოში მომუშავე ათასზე მეტი ჟურნალისტი — რესპუბლიკური და სარაიონო გაზეთების, ჟურნალების, რადიოსა და ტელეხედვის მუშაკები. ქართველი ჟურნალისტები ღირსეულად დგანან ჩვენი დიადი ქვეყნის მოწინავე ჟურნალისტთა რიგებში, რომელთაც სამართლიანად უწოდებენ პარტიის თანაშემწეებს.

ა. წ. 6 მარტს უმაღლესი საბჭოს სხდომათა დარბაზში შედგა საქართველოს ჟურნალისტთა მეორე ყრილობა. ყრილობამ მოისმინა ჟურნალისტთა კავშირის თავმჯდომარის ამხ. ი. ი. ჩხიკვიშვილის საანგარიშო მოხსენება. „საქართველოს ჟურნალისტების წინაშე, ისევე როგორც მთელი საბჭოეთის ჟურნალისტებისათვის, — ამბობს მომხსენებელი, — არ შეიძლება იდგეს იმაზე საპატიო, საპასუხისმგებლო და დიდმნიშვნელოვანი ამოცანები, როგორიც არის დიადი კომუნისტური პარტიის ოცდამეორე ყრილობის მასალების, კომუნისტური პარტიის ახალი პროგრამის ცხოვრებაში გატარების პროპაგანდა". ოთხი თვე გავიდა ისტორიული ყრილობის დამთავრების დღიდან, ეს პერიოდი მეტად ნაყოფიერი იყო საქართველოს ჟურნალისტთათვის. მომხსენებელი მრავალფეროვანი, საინტერესო მაგალითებით ახასიათებს ჟურნალისტთა შთაგონებულ, ნიჭიერ, თავდადებულ შრომას ჩვენი პარტიის მიერ დასახული ამოცანების შესრულებისათვის ბრძოლაში. ჟურნალ-გაზეთებში, რადიოსა და ტელეხედვაში ფართო ადგილი უკავია მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის მოწინავეთა გამოცდილების გაზიარებას, წარმოების რენტაბელურობის, ავტომატიზაციის, კომპლექსური მექანიზაციის, თვითღირებულების შემცირებისათვის ბრძოლის და სხვა დიდმნიშვნელოვან საკითხებს. ამ საქმიანობაში ჩვენი ჟურნალისტების მუშაობაში შეიმჩნევა ნაკლიც. საქმე იმაშია, რომ მოწინავეთა გამოცდილების პროპაგანდის გვერდით ნაკლები ყურადღება ექცევა ამ გამოცდილების დანერგვას წარმოებასა და სოფლის მეურნეობაში. საქმე მარტო ის კი არაა, რომ აღწერო კარგი მაგალითი; საჭიროა ეს დიდი გამოცდილება გაუზიარო სხვებს, აამოძრაო, დააინტერესო ის მოწინავის მიერ მიღწეული მეთოდით, რაც დიდად შეუწყობს ხელს სახალხო მეურნეობის შემდგომ აღმავლობას.

მომხსენებელმა ფართოდ ილაპარაკა საზოგადოებრივი საწყისების დიდ მნიშვნელობაზე ჩვენი ხალხის საქმიანობაში. თითქმის ყველა რედაქციაშია შექმნილი შტატგარეშე განყოფილებები. უკანასკნელ ხანებში მშრომელთა ინტერნაციონალურ აღზრდას, ხალხთა შორის მეგობრობის საკითხებს სულ უფრო ფართო ადგილი ეთმობა. მომხსენებელმა ვრცლად ილაპარაკა ახალი ადამიანის, კომუნისტური საზოგადოების წევრის აღზრდის საპატიო მოვალეობაზე.

ყრილობამ მოისმინა სარევიზო კომისიის თავმჯდომარის ამხ. შ. ყარყარაშვილის მოხსენება.

მოხსენების გამო გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღეს ჩვენი რესპუბლიკის ჟურნალ-გაზეთების, რადიოსა და ტელევიზიის მუშაკებმა. ყრილობაზე ვრცელი სიტყვით გამოვიდა საბჭოთა კავშირის ჟურნალისტთა კავშირის მდივანი პ. პ. ეროფეევი. საქ. კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მინისტრთა საბჭოს და უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მისალმება ყრილობისადმი წაიკითხა ცენტრალური კომიტეტის აგიტაციისა და პროპაგანდის განყოფილების გამგემ ამხ. მ. ა. გოგიჩაიშვილმა. ყრილობამ აირჩია ჟურნალისტთა კავშირის გამგეობა. გამგეობის პირველმა პლენუმმა აირჩია პრეზიდიუმი 15 კაცის შემადგენლობით. საქ. ჟურნალისტთა კავშირის თავმჯდომარედ არჩეულია ამხ. ი. ი. ჩხიკვიშვილი, მოადგილეებად გ. ს. ფირცხალავა და ვ. ი. ჭიაურელი.

15 მარტს უმაღლესი საბჭოს სხდომათა დარბაზში გაიხსნა საქართველოს არქიტექტორთა მეექვსე ყრილობა.

ყრილობამ მოისმინა კავშირის გამგეობის თავმჯდომარის, საბჭოთა კავშირის მშენებლობისა და არქიტექტურის აკადემიის ნამდვილი წევრის ა. ქურდიანისა და სარევიზიო კომისიის თავმჯდომარის მ. გულუას მოხსენებები. ამხ. ა. ქურდიანმა ფართოდ დაახასიათა ის დიდი, საპასუხისმგებლო და საპატიო საქმეები, რომელსაც ეწევიან ჩვენი რესპუბლიკის არქიტექტორები. მომხსენებელი შეეხო სხვადასხვა საპროექტო ორგანიზაციებში გაერთიანებულ საქართველოს არქიტექტორთა მრავალასეულ არმიას, რომელთა ქმნილებანი არა მარტო ჩვენშია ცნობილი, არამედ ბევრი მათგანი კარგა ხანია გასცდა რესპუბლიკის და მთელი საბჭოთა ქვეყნის ფარგლებს. მომხსენებელი დაწვრილებით შეჩერდა საბინაო მშენებლობის საკითხებზე და ამ დარგში არქიტექტორების წამყვან როლზე.

მოხსენებათა ირგვლივ გაიმართა გაცხოველებული კამათი, რომელშიც ჩვენი რესპუბლიკის სხვადასხვა ორგანიზაციებიდან წარმოგზავნილ დელეგატებთან ერთად მონაწილეობა მიიღეს საბჭოთა კავშირის არქიტექტორთა კავშირის მდივანმა ა. შაროევმა და სარევიზიო კომისიის თავმჯდომარემ ს. სიმბირცევმა.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, მინისტრთა საბჭოს და უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მიმართვა ყრილობისადმი გამოაქვეყნა საქ. კ. პ. ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ამხ. გ. ა. გეგეშიძემ.

ყრილობამ აირჩია გამგეობა, რომლის თავმჯდომარეა ი. ნ. ჩხენკელი, მოადგილე ს. შ. კინწურაშვილი, პასუხისმგებელი მდივანი თ. რ. კვირკველია. გამგეობის საპატიო წევრად არჩეულია გამოჩენილი ქართველი მეცნიერი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი გ. ნ. ჩუბინაშვილი.

ჟურნალისტთა და არქიტექტორთა ყრილობებში მონაწილეობა მიიღეს ამხ. ამხ. გ. ჯავახიშვილმა, გ. გეგეშიძემ, დ. სტურუამ, გ. ჩოგოვაძემ, ო. ჩერქეზიამ, პარტიის თბილისის კომიტეტის მდივანმა რ. ფრუიძემ, მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ა. ლაბახუამ.



ოთარ მალამბერიძე

შენ ისე ნაღვლიანად იყურები,
პატარა, ძველებურო სახლო...
მაგ ბებერ კედლებში ბელურებიც
აღარ ჟივჟივებენ ახლა.

გარდასულ დღეთა ბეჭედია
ერდოზე ცხენის ნალი.
ორი ფანჯარა შეგრჩენია —
ორი უსინათლო თვალი.

ამ ღამეს ლოდინში გავათენებ
(ხვალაც გადარჩე ეგებ):
მერე კი ლავაშივით აგართმევენ
მაგ ყვითელ ჰერსა და კედლებს.

აქ უწინ ჰყვაოდა სილამაზე,
თვითონაც ლამაზი იყავ,
მთვარიან ღამეში გიტარაზე
მღეროდა ასული ვიღაც...

და გახსოვს, ცისფერი სარეცელი
ღრუბლებად ჩაფენილი თმებით...
და გახსოვს, ტკბილი და მწარე
ცრემლიც,
და გახსოვს გაფრენილი წლები...

აქ უწინ ჩუმჩუმად გითრთოლია,
აქ უწინ სიყვარული ქროდა:
და გქონდა პატარა ისტორია,
ლამაზი ისტორია გქონდა.

ახლა რა, სინათლე მოგერია,
მოგისწრო მშენებლობის ხანამ.
შენს კედლებს ფერმკრთალი
ზოლები აქვს,
როგორც ძველ, ღარიბულ ხალათს.

რას იზამ, არ გიმზერ სინანულით
და გულიც აღარას ჰაღვლობს.
მშვიდობით, მშვიდობით
სამუდამოდ,
პატარა, ძველებურო სახლო!..



# როცა „მეგობრები" ანგრევენ ოჯახს

ახალგაზრდა ქალი ისე აღელვებული იყო, რომ ჩემი წინადადებისათვის — დაბრძანდით-მეთქი, — ყურადღება არ მიუქცევია, მაგიდასთან გაჩერდა და შეშფოთებით მკითხა: ჩემმა მეუღლემ განქორწინების შესახებ განცხადება ხომ არ შემოიტანაო. სასამართლოში ასეთი განცხადება არ იყო შემოსული. შევამჩნიე, რომ ქალს გულზე მოეშვა, მაგრამ მისი მღელვარება მაინც არ დამცხრალა, თავი ვეღარ შეიკავა და აქვითინდა.

ქალის ვინაობას განზრახ არ ვასახელებ. ვიმედოვნებ, მკითხველი გაიგებს რატომ ვიქცევი ასე. იგი რვა წელია, რაც გათხოვდა. ქმარი კეთილი და პატიოსანი ადამიანი გამოდგა ორივე პატიოსნად შრომობდა. ზრდიდნენ შვილს და თავს ბედნიერად გრძნობდნენ.

ქალს ვერც კი წარმოედგინა, რა უნდა მომხდარიყო, რომ მისი ოჯახი დანგრევის პირამდე მიეყვანა. მაგრამ ასეთი რამ მოხდა. ამისათვის ნიადაგი თურმე დიდი ხანია მზადდებოდა, ჯერ კიდევ იმ დროიდან, სანამ გათხოვდებოდა.. მას ჰყავდა სკოლის მეგობრები: სამი ვაჟი და სამი ქალი. ისინი უნივერსიტეტშიც ერთად შევიდნენ და მუდამ განუყრელად იყვნენ.

სახელმწიფო გამოცდების წინ ქალმა განაცხადა, რომ იგი გათხოვებას აპირებდა. მეგობრებს რატომღაც არ მოეწონათ მისი გადაწყვეტილება. მიუხედავად იმისა, რომ საქმროს არც კი იცნობდნენ, იგი პირველ დღიდანვე შეიძულეს და ყოველგვარ ზომებს მიმართავდნენ, რათა ამხანაგისათვისაც იგივე შთაეგონებინათ. ქმარმა ყველაფერს თავიდანვე აუღო ალღო, მაგრამ მას არ სურდა შეებღალა მეუღლის რწმენა მეგობრების ერთგულებაზე და თვითონვე შეეცადა დამეგობრებოდა მათ.

„ბიჭები" (დღემდე ასე ეძახიან მათ) უნივერსიტეტის დამთავრებისთანავე მამებმა კვლევით ინსტიტუტში მოაწყეს და, პერსპექტიული გეგმების მიხედვით, მალე სამეცნიერო ხარისხიც უნდა დაიცვან. ისინი უკვე კარგა ხანია საცოლშვილო ასაკს გადაცილდნენ, მაგრამ რუსთაველის პროსპექტის ტკეპნა, უხამსი ლაზღანდარობა, გათხოვილ მეგობარ ქალებთან ისეთივე მოქცევა, როგორც 10-15 წლის წინათ, მაინც ვერ მოიშალეს.

— ჩემს ქმარს, — მიამბობს აღელვებული ქალი, — მათი ქცევა არ მოსწონდა. მთხოვდა ამხანაგებისათვის მეგრძნობინებინა, რომ მათ ასაკში მამაკაცს არ შეფერის მეგობარ ქალს თმები გაუჩეჩოს, ფეხი დაუდოს, წამდაუწუმ გადაეხვიოს და გადაკოცნოს, ქუჩაში მკლავზე ჩამოეკიდოს და მასთან ასე იხეტიალოს. საერთოდ, ასეთი დამოკიდებულება მას დაუშვებლად მიაჩნდა. მახსოვს, ერთი ასეთი ამბავი მიამბო. მასთან სკოლაში ერთი გოგონა სწავლობდა, რომელიც „ქალბიჭად" ყოფილა მონათლული. ისეთი ჭიდაობა და ჩხუბი ცოდნია, რომ ბიჭებშიც კი ფალავნობდა. „ახლა ის გოგონა სამი შვილის დედაა, — მეუბნებოდა ქმარი, — და განა შეიძლება იმის წარმოდგენა, რომ მას სკოლის ამხანაგებმა ახლა ჭიდაობა დაუწყონ, ან ისეთი რამ შეჰკადრონ, რასაც ბავშვობაში უბედავდნენ?"

ჩემი ქმარი თავის ამხანაგ ქალებს ყოველთვის თავაზიანად ექცეოდა და მხოლოდ თქვენობით მიმართავდა. მისი მოქცევა მომწონდა კიდეც და, ამავე დროს სადღაც არც ვეთანხმებოდი. ჩემი აზრი ამ საკითხზე მეგობრებმა კარგად იცოდნენ და სასაცილოდ არ ყოფნიდათ. დაუკვირებლობის შედეგად ქმარი და ჩემი მეგობრები მალე ერთმანეთს მთლიანად დავაშორე...

ცოლ-ქმარი ზაფხულში სოხუმში ყოფილან, სადაც ქალის ერთ-ერთი მეგობართაგანი მივლინებით ჩასულა და შემთხვევით შეხვედრია მათ. სადილის დროს შეზარხოშებულ მეგობარს ქმრისათვის შეურაცხყოფა მიუყენებია. მას პირდაპირ უთქვამს, რომ ყველა მოთხოვნები, რასაც იგი ცოლსა და მის მეგობრებს უყენებს, ბრმა ეჭვიანობის შედეგია, რომ იგი არ არის ღირსი ისეთი ცოლისა, როგორიც მას ყავს და სხვა. ცოლის ხათრით, ქმარმა პასუხის მოთხოვნა საჭიროდ არ ჩათვალა, მხოლოდ თავხედს ურჩია, რომ კარგად დაჰკვირვებოდა თავის საქციელს. ცოლმა ქმრის სულგრძელობა ვერ გაიგო, დაშვებული უხამსობა არაფრად ჩააგდო და მეგობარს საყვედურიც კი არ უთხრა. არა თუ უსაყვედურა, მთელი საღამო მასთან მასლაათით ირთობდა თავს, მის მკლავზე ჩამოკიდებული დასეირნობდა, ქმრისთვის კი ხმაც არ გაუცია...

შემდეგ რაც მოვისმინე, მეტად აღმაშფოთებლად მეჩვენა. ჭეშმარიტების გასარკვევად ქმარი მოვიწვიე და დავრწმუნდი, რომ ქალი სრულ სიმართლეს ამბობდა.

ქმარი დიდი სიმშვიდით არ გამოირჩეოდა, მაგრამ საკმაოდ დაკვირვებული და სალად მოაზროვნე ადამიანი გამოდგა.

— სხვას შეიძლება მაშინვე დაენგრია ოჯახი, — მითხრა მან. — ან დიდი უსიამოვნება აეტეხა, მაგრამ მე ეს არ გავაკეთე. სოხუმიდან დაბრუნების შემდეგ, შევეცადე მეუღლე დამეჯერებია, რომ რაც მოხდა დაუშვებელია. ვთხოვე მეგობრებთან ისეთი დამოკიდებულება ჰქონოდა, რომელიც ოჯახს უსიამოვნებას ააცდენდა... იგი დამეთანხმა, მაგრამ ეს თანხმობა მოჩვენებითი აღმოჩნდა. ჩემი ცოლისათვის მთავარი პირადი სიმშვიდე იყო, ჩვენი დამოკიდებულება რომ არ გაემწვავებინა, ყოველთვის მზად იყო დათმობაზე წასულიყო.

დადგა ახალი წელი. ცოლ-ქმარი პირველ იანვარს ქმრის ერთ-ერთ თანამშრომელთან იყვნენ სადილად მიპატიჟებული. ქალმა გადაწყვიტა სახლიდან ადრე გასულიყო და მშობლებიც მოენახულა, ქმარი და ბავშვი კი სტუმრად წავიდნენ. თვითონაც იქ უნდა მოსულიყო, მაგრამ მას ამაოდ ელოდნენ. მასპინძლებმა კარგა ხანი იცადეს, ბოლოს კი იძულებული გახდნენ სტუმრები მაგიდასთან მიეწვიათ. ქმარი ცდილობდა მღელვარება დაეფარა, მაგრამ ვერ შეძლო, ბავშვიც ნერვიულობდა. ეს განწყობილება სუფრის სხვა წევრებსაც გადაედოთ და ახალი წლის სუფრა უფერული გახდა... მამა-შვილი შინ მარტონი დაბრუნდნენ. ქალი არც სახლში აღმოჩნდა, იგი მხოლოდ შუაღამისას დაბრუნდა. თურმე ნუ იტყვით, მეგობრებთან გაუტარებია დრო, სწორედ იმ „მეგობრის" სახლში, რომელმაც მის ოჯახს შეურაცხყოფა მიაყენა და იმდენი ვაჟკაცობა და [illegible] აღმოაჩნდა, რომ თავისი დანაშაულისათვის ბოდიში მოიხადა.

— ამით ჩემი მოთმინების ფიალა აივსო, — მეუბნება აღელვებული ქმარი, და ოჯახის დანგრევა გადავწყვიტე...

ჩემი სამოსამართლო მოღვაწეობის პერიოდში ბევრი განქორწინების საქმე შემხვედრია, მათი განხილვის დროს, რაღაც შემარბილებელი გარემოება ყოველთვის მონახულა და მიცდია ოჯახი აღმედგინა. კიდევ კარგი, რომ ამ შემთხვევაში ასეთი საკითხი არ დასმულა, თორემ უღონო ვიქნებოდი.

ამ ოჯახის დანგრევა ისევ იმ „მეგობრებმა" შეაფერხეს, მაგრამ არავინ იფიქროს, თითქოს ისინი თავიანთი მოწოდების სიმაღლეზე დადგნენ და საქმის გამოსწორება სცადეს. არა, როდესაც გაიგეს, თუ რა შედეგი მოჰყვა მათ საქციელს, ლაჩრებად გადაიქცნენ, „მეგობარ" ქალს ზურგი შეაქციეს და ყველაფერი მას გადააბრალეს.

ქალმა ისინი მხოლოდ ახლა შეიცნო! მხოლოდ ახლა გაიგო ფასი მეუღლის სულგრძელობისა, ფასი ყოველივე იმის, რაზეც მეტად ბუნდოვანი წარმოდგენა ჰქონდა...

სასამართლოში ამაზე საინტერესო და ამაღელვებელ შემთხვევებსაც შეხვდებით, მაგრამ მე მაინც ამ ისტორიის მოყოლა ვარჩიე. იგი რატომღაც მეტად დამაფიქრებელია. ჩვენ ხშირად გვესმის ლაპარაკი ჩვენი საზოგადოების მორალურ კოდექსზე, საბჭოთა მოქალაქის მაღალ ზნეობრივ თვისებებზე, კომუნისტურ საზოგადოებაში ურთიერთგაგების აუცილებელ ნორმებზე. ეს საკითხები ფართოდ შუქდება ჩვენი პრესის ფურცლებზე, რადიოში, ტელევიზიაში, მათ საკმაო ადგილი აქვთ დათმობილი სალექციო პროპაგანდაში. ერთის შეხედვით, ეს მტკივნეული საკითხები თეორიულადაც საკმაოდაა დამუშავებული, მაგრამ არასასურველი შედეგები მაინც ბევრია. რაშია საქმე, ნუთუ ჩვენს საზოგადოებას არ შესწევს უნარი თავისი ცხოვრებიდან განდევნოს ის, რაც მანკიერი და მიუღებელია? ჩვენის აზრით, ამ საკითხების ირგვლივ საჭიროა საზოგადოების ყველა წევრის დარაზმვა, აქტიური ბრძოლა არა საერთოდ „მაღალი თეორიული" პრინციპების თვალსაზრისით, არამედ თვითეული კონკრეტული ფაქტის, თვითეული დამნაშავე პიროვნების ხასიათის გამოვლინებით და მის ირგვლივ საზოგადოებრივი აზრის შექმნით. ამ საკითხში მიმნებებლობა დანაშაულია. მორალზე, სინდისზე, და სხვა ეთიკურ საკითხებზე აუცილებელია გაიმართოს ფართო დისპუტები, გამოითქვას აზრი, დაისახოს კონკრეტული, პრაქტიკულად გამართლებული ღონისძიებები, დაირაზმოს საზოგადოება ყველა ამ გადანაშთის წინააღმდეგ სისტემატური ბრძოლისათვის. ვიმედოვნებთ, რომ ამ საკითხს მკითხველები ჯეროვან ყურადღებას დაუთმობენ.

ვახტანგ ქვანია

თბილისის ორჯონიკიძის რაიონის სახალხო მოსამართლე.

# წყვდიადიდან

(ორმოცდაათიანელთა რელიგიური სექტის ყოფილი წევრის ტაისა გელაშოვას ნაამბობი).



«ორმოცდაათიანელთა» ერთი ჯგუფი.
მარჯვნივ—სექტის ახალი ხელმძღვანელი სლივკოვი.

«ორმოცდაათიანელები» ლოცვის წინ.



ჩემს წინ ოცდასამი წლის თმაგათეთრებული ქალი იჯდა. სახეზე უდროო ნაოჭები ემჩნეოდა. ეტყობოდა ცხოვრებაში რაღაც მძიმე რამ ჰქონდა გადატანილი. ვგრძნობდი, მტკივნეულად განიცდიდა წარსულს, ეძნელებოდა თხრობის დაწყება.

— ნუ გაგიკვირდებათ, — ძლივს გასაგონი ხმით წარმოთქვა მან, — რომ ასე მიმძიმს წარსულის გახსენება. ის, რის შესახებაც მსურს მოგითხროთ, ნამდვილად შემაძრწუნებელი და დამაფიქრებელი ამბავია. ესაა ცხოვრება ადამიანისა, რომელმაც განვლო საშინელი გზა ველური ფანატიზმიდან ადამიანური ყოფიერებისაკენ და სულისშემხუთველი წყვდიადიდან როგორც იქნა მზის გულზე გამოვიდა.

...ვიზრდებოდი მხიარული და უზრუნველი. კარგად მახსოვს, როგორ მამზადებდა ხოლმე დედა სკოლაში წასასვლელად. მახსოვს 88-ე სკოლის ნათელი შენობა, პიონერთა შეკრებები, სწავლითა და სასკოლო ცხოვრებით განცდილი ბედნიერების წლები. შემდეგ? შემდეგ კი ჩემს თანაკლასელ მართა ციმბალისტს დავუახლოვდი. განა ვიფიქრებდი, რომ ეს დაახლოვება ასე საბედისწერო გამოდგებოდა ჩემთვის... თურმე მართა ციმბალისტი ფანატიკოს ორმოცდაათიანელ ციმბალისტების ოჯახიდან ყოფილა. იგი ხშირად მეუბნებოდა, რომ მათ ოჯახში იკრიბებიან „დები და ძმები“, რომ მათი საუბარი მეტად საინტერესოა. მე არც იმაზე დავფიქრებულვარ, თუ რატომ ხმარობდა მე-7 კლასის მოსწავლე გამოთქმას „დები და ძმები“.

მალე ჩემს ცხოვრებაში დაუვიწყარი ამბავი მოხდა. ალბათ, ყველა თანამედროვე ახალგაზრდას განუცდია ეს სიხარული — მე კომკავშირის რიგებში მიმიღეს. მახსოვს, როგორი სიძულვილით შემომყურებდა იმ დღეებში მართა ციმბალისტი.

მაშინ არ ვიცოდი, რომ ეს სიძულვილი უფრო მეტი იყო, ვიდრე გულუბრყვილო ბავშვური შურიანობა. გადიოდა დრო და მართას აგიტაციამ ბოლოს და ბოლოს თავისი გაიტანა: მე „დებისა და ძმების“ შეკრებაზე წავედი. შეკრებამ ბავშვური ცნობისმოყვარეობა გააღვივა და რამდენჯერმე დავესწარი მას. ბნელეთის მოციქულებმა მაშინვე დაიწყეს ჩემი შერყვნა.

— თუ დედა და მამა გიყვარს, თუ გინდა, რომ ისინი კარგად იყვნენ, თუ გინდა რომ კარგი ნიშნები მიიღო, შესთხოვე ღმერთს და იგი შეგისრულებს თხოვნასო! — მარწმუნებდნენ ისინი. რა ვიცოდი, რომ ეს დარიგებანი ბოლოს იქამდე მივიდოდა, სწავლისათვის თავის დანებებასაც მომთხოვდნენ. მე სიცოცხლეს ვეტრფოდი, სწავლა მწყუროდა, წიგნები მიყვარდა, სექტანტები კი სიბნელისკენ მეწეოდნენ. მხოლოდ სექტა, მხოლოდ სექტის მოთხოვნათა შესრულება, სხვა დანარჩენი ფუჭია, მოჩვენებაა, დროებითია! — აი, რას შთამინერგავდნენ ისინი.

მიუხედავად ამისა, მე მაინც შევედი ტექნიკუმში, თუმცა სექტა კი ვერ დავტოვე. სექტანტები ყოველ ღონეს ხმარობდნენ იმისათვის, რომ მათ რიგებში დავრჩენილიყავი.

გულჩათხრობილი და მიუკარებელი გავხდი. აღარ მაინტერესებდა აღარც სისუფთავე, აღარც კოხტად ჩაცმა. უკვე ღრმად მქონდა შთანერგილი ის აზრი, რომ „ხორცის სიწმინდე არაფერია, მთავარია სულის სიწმინდე“. შევწყვიტე კინო-თეატრებში სიარული, ჩამოვშორდი კოლექტივს, ამხანაგებს, ჩამოვშორდი ყველას და ყველაფერს, — გავხდი განკერძოებული, უნდილი და უხალისო. მაშინ გამქრალი ღიმილი, დღესაც არ დაბრუნებია ჩემს სახეს...

მაინც ვმერყეობდი, ვებრძოდი საკუთარ თავს. ველარ გადამეწყვიტა, რომლისთვის მომეკიდა ხელი — ბიბლიისა თუ ქიმიისათვის. მე მჭირდებოდა ადამიანების დახმარება, კომკავშირელთა მხარდაჭერა, მათ კი, ჩემდა სავალალოდ, ზურგი შემომაქციეს, გამრიცხეს ტექნიკუმიდანაც, კომკავშირიდანაც. ამის შემდეგ მთლიანად ორმოცდაათიანელთა ბრჭყალებში აღმოვჩნდი. მაგიდაზე ფიზიკისა და ქიმიის სახელმძღვანელოების ადგილი ბიბლიამ დაიკავა, გავხდი სექტის აქტიური წევრი და უკვე აღარც ერთ ფარულ შეკრებას აღარ ვაცდენდი.

რას წარმოადგენდა ეს შეკრებები? ჩვენ არ ვცნობდით ეკლესიას, ჯვარს, ჯვარცმას, მღვდელს. უბრალო ოთახში ვიკრიბებოდით. სექტის ხელმძღვანელი, რომელსაც პრესვიტერი ჰქვია, დაიწყებდა ბიბლიის კითხვას. მის ნათქვამს ყველა ერთხმად ვიმეორებდით, ვიმეორებდით დაუმთავრებლად, სანამ ჩვენი სიტყვები საერთო ბურტყუნში არ გადავიდოდა. ექსტაზში შესულნი ვტიროდით, ერთმანეთს ვკოცნიდით, ზოგი მუხლებზე ეცემოდა, კედელს ახლიდა თავს, ერთნი „წინასწარმეტყველებდნენ“, მეორენი სიტყვების ნაცვლად რაღაც ცხოველურ ბგერებს გამოსცემდნენ. შეშლილი, არაადამიანური სახეები, უაზრო მოძრაობები, ხრიალი, გოდება, კივილი...

ტაისა შეჩერდა. თავი ხელებზე დააყრდნო. თვალებში ცრემლები უციალებდა.

— გიკვირთ ჩემი მდგომარეობა? რამდენიმე წლის განმავლობაში არა მარტო მორალურად, ფიზიკურადაც გავტყდი, მოვხუცდი. არანორმალური ნორმალურად მეჩვენებოდა. არაადამიანური, ცხოველური, ადამიანურად მიმაჩნდა. მაგრამ ბიბლიასთან გაცნობამ პირველი ეჭვი აღმიძრა. მოციქული მარკოზის გადმოცემით, ქრისტემ ათასობით უწმინდური სული განდევნა ერთი ადამიანის სხეულიდან. ეს სულები შემდეგ ორი ათასი ღორის სხეულში ჩასახლდნენ და ზღვაში გადაცვივდნენ. მეორე მოციქული მათე იმეორებს ამავე ლეგენდას, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ უწმინდური სულები ქრისტემ ორი კაცის სხეულიდან განდევნა. მე ვერ გავიგე ერთი რამ: ბიბლიური ლეგენდის მიხედვით ქრისტე ებრაელი იყო, ებრაელებს კი, როგორც ცნობილია, ღორები არ უყვარდათ. მაშ სად მოძებნეს იუდეაში ამ უწმინდურმა სულებმა ღორები, ისიც ორი ათასი სული? სწორედ რომ გაუგებარი იყო.

ყოველი მორწმუნე გეტყვით, რომ ქრისტე ჩვეულებრივი მოკვდავი ადამიანი იყო, შემდეგ ამაღლდა და „ღმერთად იქცა“. თუ როგორ იქცა ღმერთად, ეს ბუნდოვანი და გაუგებარია. მაგრამ მართლა კი არსებობდა ქრისტე?

მორწმუნეები ქრისტეს დაბადებას სახარების საშუალებით ამტკიცებენ, რომელიც თითქოს ქრისტეს უახლოესი მოწაფეების: მათეს, მარკოზის, ლუკასა და იოანეს მიერ არის დაწერილი. შემდეგ გავიგე, რომ ყოველივე ეს მეორე საუკუნეში ყოფილა შეთხზული უცნობი ავტორების მიერ. მათეს გადმოცემით, ქრისტე დაბადებულა იუდეველთა ქალაქ ბეთლემში მეფე იროდის მეფობის დროს, ლუკას განმარტებით კი ქრისტე დაიბადა რომის იმპერიის ნაცვლის კვირინიოსის ასურეთში მმართველობის დროს. მაგრამ იროდი კვირინიოსზე გაცილებით გვიან ცხოვრობდა. ამ მონაცემების მიხედვით კაცი ვერ გაიგებს, როდის დაიბადა თუ მართლა დაიბადა ვინმე ქრისტე. ბოლოს ჩემთვის ნათელი გახდა, რომ ქრისტე არც დაბადებულა და არც არსებობდა.

1959 წელს მე უკვე ქ. თბილისის ფეხსაცმელების ფაბრიკა № 1-ის მუშა ვიყავი. მეშინოდა ამხანაგებს არ გაეგოთ ჩემი ამბავი. მეშინოდა წარმოებიდან გაგდებისა... მათ მართლაც გაიგეს ყველაფერი ჩემს შესახებ, მაგრამ ჩემდა გასაოცრად, უჩვეულო გულისხმიერება და ყურადღება გამოიჩინეს ჩემს მიმართ.

სწორედ ამ დროს გავიცანი ახალგაზრდა, რომელმაც ჩემში გააღვივა სიყვარულის ჩამკვდარი გრძნობა. მისი გავლენით ბოლოს და ბოლოს შევძელი სექტის მიტოვება, დავვოჯახდი. ცხოვრებაში ახალი მიზანი გამიჩნდა. ბედნიერი ვარ ჩემს ოჯახში, ჩემს პატარა ბავშვთან ერთად მეგობართა და ახლობელთა შორის. განა შეედრება რამე ამ ბედნიერებას?

— თქვენ ალბათ, გაინტერესებთ, თუ ვინ ხელმძღვანელობდა ამ კანონით აკრძალული სექტის შეკრებას? — განაგრძო ტაისამ, — არაქელ ხემჩიანი, ვასილ ჟელტკოვი და ტიმოთე ბიზიაევი. არაერთი ოჯახი დაუნგრევიათ ბნელეთის ამ მოციქულებს, არაერთი ადამიანი გაუუბედურებიათ. ახლა ყოფილი ჰიტლერელი და ანტისაბჭოთა ელემენტი არაქელ ხემჩიანი და მისი ავანჩავანნი იზოლირებული არიან ჩვენი საზოგადოებისაგან, მაგრამ, როგორც გავიგე, სექტანტები კვლავ განაგრძობენ შეკრებებს, მათ ახლა სათავეში კერამიკული კომბინატის ახალგაზრდა მუშა ალექსი სლივკოვი ჩადგომია. რა ვთქვა ამაზე. ღრმად დარწმუნებული ვარ, რომ დანარჩენი „დები და ძმებიც“, ადრე თუ გვიან, მიხვდებიან, თუ როგორ აბრიყვებენ მათ და შეეცდებიან ბედნიერ და ადამიანურ გზაზე გამოსვლას.

პატარა ბავშვთან, ქმართან ერთად ახლა ამაყად გავცქერი ქვეყანას და მინდა ხმამაღლა ვთქვა: გაუმარჯოს ცხოვრებას, გაუმარჯოს სიცოცხლეს, გაუმარჯოს ჩემს საყვარელ, მშობლიურ ხალხს!

დ. გეგეშიძე.

# სინათლისაკენ

ბიბლიოთეკა



ემილია პარდო ბაზანი

მოთხრობა

მხატვარი მერაბ ბერძენიშვილი



„ვინც მიგვასწავლის ადგილს, სადაც ამჟამად ჯადოქარი იმყოფება, რომელიც ცნობილია მარია სპალანცოს სახელით, ვინც მოიყვანს მას სასამართლოს სხდომაზე მკვდარს ან ცოცხალს. მას ცოდვებს აპატიებენ“.

ეს განცხადება ხელმოწერილი იყო ბარსელონას ეპისკოპოსისა და ოთხი მსაჯულის მიერ ერთ-ერთ შორეულ წარსულში, რომელიც წარუშლელ ლაქად გასდევს არა მარტო ესპანეთის, არამედ მთელი კაცობრიობის ისტორიას.

განცხადება მთელმა ბარსელონამ წაიკითხა. დაიწყო ძებნა. დააკავეს სამოცამდე ქალი, რომელნიც ოდნავ მაინც წააგავდნენ ჯადოქარს და სასტიკად აწამეს მისი ნათესავები...

იმ დროს ხალხს სჯეროდა ძალზე სასაცილო ამბავი, თითქოს ჯადოქრებს შეუძლიათ შავი ფერის კატად, ძაღლად, ან სხვა ცხოველად გადაქცევაო. ყვებოდნენ აგრეთვე იმას, რომ ხშირად მონადირეებს, რომლებსაც მოკლული ცხოველის თათი გამარჯვების ნიშნად მიჰქონდათ, გზაში ჩანთის გასინჯვის დროს თათის ნაცვლად უნახავთ გასისხლიანებული ხელი, რომელიც მათი ცოლის ხელს წააგავდაო.

ბარსელონას მცხოვრებლებმა, სოფელში დახოცეს შავი კატები და ძაღლები. მაგრამ ეს უშედეგო მკვლელობა იყო, რადგან მათში ჯადოქარი მარია ვერ აღმოაჩინეს.

მარია სპალანცო ერთ-ერთი ბარსელონელი მსხვილი ვაჭრის ქალიშვილი გახლდათ. მამამისი ფრანგი იყო, დედა ესპანელი. მამისაგან მან ქალური უდარდელობა და უსაზღვრო სიმხიარულე მიიღო, რაც ძალზე მიმზიდველს ხდის ფრანგ ქალებს, -- ხოლო დედისაგან ესპანური ტანი, შესანიშნავი, მუდამ მხიარული, ჭკვიანური გამოხედვა. მარიამმა თავისი სიცოცხლე არაფრისმაქნის, ესპანურ ხელოვნებას მიუძღვნა. იგი მუდამ ბავშვივით ბედნიერი იყო და არასდროს უტირია. როცა ოცი წელი შეუსრულდა, სიყვარულით მისთხოვდა ბარსელონაში ყველასათვის ცნობილ მეზღვაურ სპალანცოს, რომელიც, როგორც ამბობდნენ, სწავლული ესპანელი გახლდათ. ვაჟს უყვარდა მარია და გაიძახოდა: თავს მოვიკლავ, თუ მარია ჩემთან ბედნიერი არ იქნებაო.

საღამოჟამს, ქორწილის მეორე დღეს, მარია ქმრის სახლიდან ავადმყოფი დედის სანახავად წავიდა და გზა დაებნა. ბარსელონა დიდი ქალაქია და ყველა იქ მცხოვრებ ესპანელს არ შეუძლია გიჩვენოს უმოკლესი გზა ქალაქის ერთი ბოლოდან მეორემდე. უეცრად მას ახალგაზრდა მონაზონი შემოეფეთა:

— როგორ გავიდე წმინდა მარკოს ქუჩაზე? — შეეკითხა მარია. მონაზონი შეჩერდა... რაღაცაზე ჩაფიქრდა, თან დაკვირვებით ჩააშტერდა ახალგაზრდა ქალს. მზე ჩასულიყო და მთვარე თავის ცივ სხივებს უხვად აყრიდა მარიას ლამაზ სახეს. ტყუილად არ იხსენებენ პოეტები მთვარეს, როცა ქალებს უმღერიან. მთვარის შუქზე ქალი ძალზე ლამაზია. მარიას ჩქარი სიარულისგან შესანიშნავი შავი თმა მხრებსა და მკერდზე ჩამოშლოდა. ყელზე მოხვეული თავსაფრისათვის ხელი ჩაევლო, ხელები იდაყვამდე გაშიშვლებოდა.

— ვფიცავ წმინდა იანუარის სისხლს, რომ შენ ჯადოქარი ხარ! — წამოიძახა უცებ მონაზონმა.

— მონაზონი რომ არ იყო, მთვრალი მეგონებოდი, — უპასუხა მარიამ.

— ჯადოქარი ხარ-მეთქი! — ჩაიბურდღუნა მონაზონმა და პირჯვარი გადაისახა. — სად არის ძაღლი ახლა ჩემ წინ რომ მორბოდა? დავინახე... ვიცი... ქალად გადაიქცა! ის შენა ხარ! ჯერ ოცდახუთი წელიც არ შემსრულებია, მაგრამ უკვე ორმოცდაათი ჯადოქარი გამოვიცანი! შენ ორმოცდამეთერთმეტე იქნები! ხომ გაიგე? მე აგგუსტინა გახლავარ... — წარმოსთქვა მონაზონმა. სადღაც გაუჩინარდა. მარია იცნობდა ავგუსტინას, მას ბევრი რამ გაეგო მშობლებისაგან მის შესახებ. ის იცნობდა მას, როგორც ჯადოქრების გამანადგურებელს და ერთ-ერთი მეცნიერული წიგნის ავტორს, რომელშიც ავგუსტინა სწყევლიდა ქალებს და ზიზღით იხსენიებდა მამაკაცებსაც, რადგან ისინიც ქალებმა შობეს.

ავგუსტინასთან შეხვედრის რამდენიმე დღის შემდეგ სპალანცოსთან მოვიდა შავებში ჩაცმული მამაკაცი, შეშუპებული სახით, რომლის გარეგნობა ამტკიცებდა, რომ ის სასამართლოს მოხელე იყო. მან უბრძანა სპალანცოს ეპისკოპოსთან წასვლა... ბრძანება შესრულებული იქნა. ეპისკოპოსმა სპალანცოს განუცხადა:

— შენი ცოლი ჯადოქარია!

სპალანცო გაფითრდა.

— მადლობა ღმერთს! — განაგრძობდა ეპისკოპოსი, — ღმერთმა ადამიანს მიანიჭა ისეთი გონება, რომლის საშუალებით შეიძლება ამოიცნოს უწმინდური სული და თვალები აუხილოს ხალხს. ჩვენ ვნახეთ ჯადოქარი მარია როგორ გადაიქცა შავ ძაღლად და შავი ძაღლი, შენ ცოლად...

— ის ჯადოქარი კი არა, ჩემი ცოლია! — წაიბურდღუნა გაოცებულმა სპალანცომ.

— იგი ეშმაკის ცოლია. შეუძლებელია ქრისტიანის ცოლი იყოს! საცოდავო, ნუთუ არ შეგიმჩნევია, თუ რამდენჯერ უღალატნია შენთვის უწმინდურ სულთან? ახლავე წადი სახლში და აქ მომიყვანე!.. შინისაკენ მიმავალ სპალანცოს მკვდრის ფერი ედო და ფიქრობდა: სად, ან ვისთვის ეთქვა, რომ მარია ჯადოქარი არაა? ვინ არ დაუჯერებს მონაზვნებს? ახლა, ალბათ, მთელი ბარსელონაა დარწმუნებული, რომ მისი ცოლი ჯადოქარია.

ბრიყვის ტყუილის დაჯერებაზე ადვილი არაფერია და ესპანელების უმრავლესობა ხომ ბრიყვებია?

სპალანცოს არ სჯეროდა ეპისკოპოსის, იგი კარგად იცნობდა თავის მეუღლეს და ამასთანავე, დარწმუნებული იყო, რომ ქალები ჯადოქრებად მხოლოდ სიბერის დროს გადაიქცევიან.

— მონაზვნებს შენი დაწვა სურთ მარია! — უთხრა ცოლს სპალანცომ, როცა სახლში დაბრუნდა, — ისინი ამბობენ, ჯადოქარიაო და მიბრძანეს შენი იქ მიყვანა. მისმინე, მარია, თუ შენ მართლა ჯადოქარი ხარ, ღმერთმა ხელი მოგიმართოს. გადიქეც შავ კატად და წადი საითაც გსურს. და თუ შენში უწმინდური სული არ ბუდობს, მე მონაზვნებს ცოცხალი თავით არ მივცემ ჩემს მეუღლეს საჯიჯგნად... ისინი საბელს მოგაბამენ, ისე გაწამებენ, სანამ იძულებული არ იქნები, რომ სთქვა, ჯადოქარი ვარო. მარია, გაიქეცი აქედან, თუ მართლაც ჯადოქარი ხარ.

მარია არსად წასულა, არც შავ კატად გადაქცეულა. მან მხოლოდ ტირილი მორთო, ლოცვა დაიწყო.

— მომისმინე! — უთხრა სპალანცომ ატირებულ მეუღლეს, — მამაჩემი ხშირად მეუბნებოდა: მალე დადგება ისეთი დრო, როცა დასცინებენ იმ ცრუმორწმუნეებს, რომლებსაც ჯადოქრობისა სჯერათო. მამაჩემს ღმერთი არ სწამდა, მაგრამ ყოველთვის სიმართლეს ლაპარაკობდა. მოდი, დაგმალავ... ეს ძალზე ადვილია. ნავსადგურში შესაკეთებლად დგას ჩემი ძმის გემი. შენ იქ იქნები მანამ, სანამ არ მოვა ის დრო, რომელზედაც მამაჩემი წინასწარმეტყველებდა, მისი სიტყვით კი, ის დრო მალე დადგება...

საღამოს სიცივისა და შიშისაგან აკანკალებული მარია გემბანზე იჯდა, ყურს უგდებდა ტალღების ხმაურს და მოუთმენლად ელოდა იმ წარმოუდგენელ დროს, რომლის შესახებაც სპალანცოსათვის მამამისს უთქვამს.

რამდენიმე დღის შემდეგ ეპისკოპოსი სპალანცოს შეეკითხა:

— სად არის შენი მეუღლე?

— გადაიქცა შავ კატად და სადღაც გაუჩინარდა, — იცრუა სპალანცომ.

— ველოდი... ვგრძნობდი ამას! მაგრამ არა უშავს, ჩვენ ვიპოვნით მას... ავგუსტინას ასეთი საქმეების დიდი ნიჭი აქვს! ღმერთმა გადმოგვხედა, იმედია კვლავ აღარ შეირთავ ჯადოქარს... ადრე იყო შემთხვევები, როცა უწმინდური სული ცოლიდან ქმარში გადასულა... გასულ წელს მე თვითონ დავწვი ერთი ქრისტიანი კაცი, რომელმაც ჯადოქართან მიკარების შემდეგ თავისი სული ძალაუნებურად ეშმაკს მიჰყიდა... ღმერთმა გადმოგვხედა, მშვიდობით!

მარიას დიდხანს მოუხდა გემში ჯდომა. სპალანცო ყოველდღე ნახულობდა ცოლს და მიჰქონდა ყველაფერი, რაც საჭირო იყო. გავიდა ერთი თვე, მეორე, მესამე და არ დადგა ნანატრი დრო. თუმც სპალანცოს მამა მართალი გახლდათ, მაგრამ თვეები ძალზე ცოტაა რწმენის უარსაყოფად, რადგან ესპანელი ხალხი თევზებივით ცხოვრობდნენ და სიმართლის შეგრძნებისათვის მთელი საუკუნეები ესაჭიროებოდათ. მარია შეეჩვია ახალ ცხოვრებას, ხშირად დასცინოდა მონაზვნებს და მათ ყვავებს ეძახდა. იგი კიდევ დიდხანს იცოცხლებდა და შეკეთებული გემით გადასცურავდა ზღვას, მიატოვებდა ესპანეთს და რომელიმე შორეულ ქვეყანაში დასახლდებოდა, რომ მისთვის ხელი არ შეეშალა ერთ გარემოებას: ეპისკოპოსის განცხადება „ცოდვების მონანიების შესახებ“, გაკრული იყო მოედნებზე და ხელიდან ხელში გადადიოდა. ეს განცხადება სპალანცომაც წაიკითხა და ჩაფიქრდა:

— კარგია ცოდვების მონანიება! — ამოიოხრა მან.

სპალანცო ცოდვილი გახლდათ. მას ადრე ჩადენილი ჰქონდა ისეთი რამ, რომლის მსგავსი ამბებისათვის კოცონზე მრავალი კათოლიკი დასწვეს. ახალგაზრდობაში სპალანცო ტოლედოში ცხოვრობდა. იმ დროს ტოლედო ჯადოქრების თავშესაყრელ ადგილად ითვლებოდა. XII-XIII საუკუნეში ესპანეთში ყველაზე ადრე განვითარდა მათემატიკა. მათემატიკიდან ჯადოქრობამდე კი მხოლოდ ერთი ნაბიჯია. სპალანცო მამის ხელმძღვანელობით სწავლობდა ცხოველების გვამებს, აგროვებდა არაჩვეულებრივ ბალახებს... ერთხელ მან როდინში რაღაც ჩაყარა და იქიდან საშინელი ხმაურით ამოიფრქვა ნაცრისფერი ბოლის სახით უწმინდური სული. ტოლედოში სპალანცოს ცხოვრება აღსავსე იყო ამდაგვარი ცოდვებით. როცა მან მამის სიკვდილის შემდეგ დასტოვა ტო-

ლედო, სინდისის ქენჯნა იგრძნო. ერთხელ მოხუცმა ექიმმა — მონაზონმა უთხრა „ცოდვები არ მოგასვენებენ თუ არ მოინანიებო“.

ცოდვების მონანიებისათვის სპალანცო მზად იყო ჩაედინა ყველაფერი, რათა ჯოჯოხეთისაგან დაეხსნა თავი. იგი მისცემდა თავის ცხოვრების ნახევარს და შემოივლიდა ფეხით წმინდა ადგილებს, თუ ცოდვებს აპატიებდნენ. როცა სპალანცომ წაიკითხა ეპისკოპოსის განცხადება, წარმოთქვა:

— მარიამის ქმარი რომ არ ვიყო, გავცემდი!

აზრი იმის შესახებ, რომ ცოდვების მოსანანიებლად საჭირო იყო მხოლოდ ერთი სიტყვა, სპალანცოს დღედაღამე მოსვენებას არ აძლევდა. მას უყვარდა თავისი ცოლი... ძალზე უყვარდა.. რომ არ ყოფილიყო ეს სიყვარული, ეს ნებისყოფის სისუსტე, რომელიც ძალზე ეჯავრებოდათ მონაზვნებს და ტოლედოელ ექიმებს, შესაძლებელია... სპალანცომ განცხადება თავის ძმა ქრისტეფორესაც წააკითხა.

— მარია ძალზე ლამაზი რომ არ იყოს, გავცემდი! კარგი რამაა ცოდვების მონანიება თუმც ჩვენ არაფერს დავკარგავთ, თუ მარიას სიკვდილს მოვუცდით და შემდეგ მივცემთ იმ ყვავ მონაზვნებს. დაე, დასწვან, მკვდარი მაინც ვერაფერს იგრძნობს. მარია მოკვდება მაშინ, როცა ჩვენ დავბრუნდებით. სიბერეში კი ცოდვების მონანიება აუცილებელია! — უთხრა სიცილით ქრისტეფორემ და ძმას ბეჭებზე შემოკრა ხელი.

— შესაძლოა მასზე ადრე მე მოვკვდე! — წამოიძახა სპალანცომ. — ღმერთს ვფიცავარ, ჩემი ცოლი რომ არ იყოს, გავცემდი.

ამ საუბრის შემდეგ გავიდა ერთი კვირა. სპალანცო ხშირად დადიოდა გემის ბაქანზე და რაღაცას ბურდღუნებდა.

— ოჰ, ნეტავ მოკვდეს! ცოცხალს ვერ გავცემ, ვერა! მკვდარს კი სიამოვნებით! შევაცდენ იმ დაწყევლილ ბებერ ყვავებს და ცოდვებს მოვინანიებ.

და ერთ დღეს ბრიყვმა სპალანცომ თავისი ცოლი მოწამლა და სასამართლოში წაიღო. მსაჯულთა კრებამ მკვდარს დაწვა მიუსაჯა. სპალანცომ ტოლედოში ჩადენილი ცოდვები მოინანია... მას აპატიეს, ის, რომ სწავლობდა ხალხის მკურნალობას და ეუფლებოდა მეცნიერებას, რომელსაც ახლა ქიმიას უწოდებენ. ეპისკოპოსმა შეაქო სპალანცო და აჩუქა საკუთარი წიგნი, რომელშიც ეწერა: ჭინკები სახლობენ უმეტეს შემთხვევაში იმ ადამიანების სულში, რომლებსაც შავი თმები აქვთ, რადგან ჭინკები შავი ფერისანი არიან.

თარგმანი გ. მირცხულავასი



# ჯუნგლების შვილები

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნადირის მიერ ბავშვების გატაცებისა და გამოზრდის ბევრი შემთხვევა იცის ისტორიამ. მოვიგონოთ თუნდაც ლეგენდა ქალაქ რომის დამაარსებელ ტყუპ ძმებზე — რომულსა და რემიზე, რომლებიც ძუ მგლებმა გამოზარდეს. მსგავს ლეგენდებს ვხვდებით ძველ რომაულ და ბერძნულ მითებში, ინდოელთა და პოლინეზიელთა გადმოცემაში. ვის არ გაუგია ტარზანისა და მაუგლის თავგადასავალი. ისინიც ხომ, გადმოცემების თანახმად, ტყეში იზრდებოდნენ გარეულ მხეცებთან ერთად.

ქართულ ხალხურ ფოლკლორშიც ვხვდებით მსგავს ამბებს. ვაჟა ფშაველას თავის „ბახტრიონში“ მოთხრობილი აქვს ამბავი, თუ როგორ უვლიდა დაჭრილ ლუხუმს „ადამის ტომის მტერი“ გველი. ერთ-ერთ ხალხურ ლექსში მეფე ერეკლეზე ნათქვამია: „ბატონიშვილს ერეკლესა, ირმის ძუძუ უწოვია, წყალი უსვამს ალგეთისა, თრიალეთზე უძოვია“. ასევე ცნობილია ქართული ხალხური ზღაპარი ირმის მიერ გამოზრდილი ბავშვისა, რომელსაც ირმისა ერქვა.

დღეისათვის მეცნიერებამ ნადირის მიერ ბავშვის გატაცება-გამოზრდის ასამდე შემთხვევა იცის. 1344 წელს ქ. ხესსთან (გერმანია) მგლის ბუნაგში იპოვეს „მგელბავშვი“, 1660 წელს ლიტვაში იპოვეს დათვის მიერ გამოზრდილი გოგონა, 1672 წ. ირლანდიაში ცხვრის მიერ გამოზრდილი ბავშვი; ყველა მათგანი ოთხზე დადიოდა და არც მეტყველების უნარი ჰქონდათ.

1940 წელს ინგლისში გამოსცეს შრომა, რომელშიც აღწერილია „გარეული ბავშვის“ 32 შემთხვევა. 19 ბავშვი გამოზრდილი იყო მგლის მიერ, 5 დათვების მიერ. XVIII ს. რუსეთში ცნობილია ფაქტი, როდესაც ხანძრის დროს ძაღლმა ჩვილი ბავშვი გაიტაცა, სარდაფში ჩაიყვანა, ათბობდა და ძუძუს აჭმევდა. ცხადია, მსგავსი შემთხვევები პირველ რიგში დაკავშირებულია ცხოველის დედობრივ ინსტიქტთან.

1903 წ. ჩრდილო აფრიკაში მაიმუნების ჯოგში აღმოაჩინეს გაველურებული ბიჭუნა, რომელიც ერთმა გლეხმა სმიტმა იშვილა. იგი მონათლეს და ლუკასი შეარქვეს. ლუკასმა 1950 წლამდე იცოცხლა, მაგრამ მისი „გაადამიანება“ ადვილი როდი აღმოჩნდა. ის სიცოცხლის ბოლომდე ვერ გადაეჩვია მუდმივ ქექვას, კბილების კრაჭუნს, სწრაფ მოძრაობასა და ხტუნვას.

1920 წელს ქ. მიდნაპორში (აღმოსავლეთ ინდოეთი) ძუ მგლის ბუნაგში იპოვნეს ორი ლეკვი და ორი გოგონა. ერთი გოგონა ორი-სამი წლის იქნებოდა, მეორე შვიდი-რვა წლისა. პირველს შეარქვეს ამალა, მეორეს — კამალა. გოგონები დიდი ხნის განმავლობაში მხოლოდ უმ ხორცს ჭამდნენ, ოთხზე დადიოდნენ, სინათლისა ეშინოდათ და სიბნელეში კარგად ერკვეოდნენ, ღამღამობით ყმუოდნენ, დღისით ეძინათ, ღამით კი დაძრწოდნენ, ტანსაცმელს არ იჩერებდნენ, სიცხე-სიცივეს ვერ გრძნობდნენ და ეშინოდათ ცეცხლისა და წყლისა. ამალა მოკვდა 1921 წელს, კამალა კი 1929 წელს. 17 წლის ასაკში კამალას სამიოთხი წლის ბავშვის გონება ჰქონდა.

1920 წელს კაშარას მთებში (ინდოეთი) ავაზამ გაიტაცა ორი წლის ბიჭუნა და მის კვალს მხოლოდ სამი წლის შემდეგ მიაგნეს. გაველურებული ბავშვის „გაადამიანება“ არ მოხერხდა. იგი მალე გარდაიცვალა ყვავილით.

1952 წელს ქალაქ აგრაში (ინდოეთი) ჯუნგლებში იპოვეს გაველურებული ბავშვი, რომელსაც რამუ შეარქვეს. არავინ იცოდა როდის ან ვისთან მოხვდა ეს ბიჭუნა. ამის გასაგებად ის ზოოლოგიურ პარკში წაიყვანეს. რამუ მყისვე მგლის გალიას ეცა. ინდოეთის პრესის ცნობით, უკვე ისწავლა ლაპარაკი და მისი „გაადამიანება“ ნორმალურად მიმდინარეობს.

ნადირის მიერ ბავშვების გატაცებისა და გამოკვების ფაქტებმა ერთხელ კიდევ დაადასტურეს, თუ რა უდიდესი მნიშვნელობა აქვს ადამიანის განვითარებისათვის ცხოვრების პირველ წლებს. ძუ ავაზას ან მგლის მიერ გამოკვებილი ბავშვების დაბრუნება საზოგადოებაში ძალზე გვიან ხდებოდა, რადგან მათ უკვე განვლილი ჰქონდათ გონებრივი ფორმირების ის პერიოდი, როდესაც ბავშვი ადვილად სწავლობს და ითვისებს ყველაფერს. სწორედ ამიტომაა, რომ მათი „გაადამიანების“ ცდა უმეტეს შემთხვევაში მარცხით მთავრდება.

გ. ზარიძე

# ვის ერგება ჟან ტიერის მილიარდები?

1676 წელს ვენეციაში გარდაიცვალა ვინმე ჟან ტიერი, რომელსაც ზღაპრული ქონება დარჩა.

როგორც აღწერის შედეგად დადგინდა, გარდაცვლილის სიმდიდრე შეადგენდა ექვს კასრ ოქროს ქვიშას, რამდენიმე ტომარა ოქროს ზოდებს, 80 ათას ვერცხლის დუკატს, დიდძალ ძვირფას ქვებს, საქონლით დატვირთულ რამდენიმე ხომალდს, ციხე-სასახლეს და სხვა მრავალ უძრავ ქონებას..

ჟან ტიერს არავითარი ანდერძი არ დაუტოვებია, მას არც ახლობელი ნათესავები ჰყავდა, რომლებსაც მემკვიდრეობით გადაეცემოდათ მისი სიმდიდრე.

რამდენიმე ათეულმა პიროვნებამ თითქმის ერთდროულად აღძრა სასამართლოში საქმე. თვითეული მათგანი დაბეჯითებით ამტკიცებდა, რომ იგი ჟან ტიერის შორეული ნათესავია და დარჩენილი ქონება მხოლოდ მას უნდა მიეკუთვნოს.

გადიოდა წლები, საუკუნეს საუკუნე ცვლიდა, სასამართლო კი კვლავ არჩევდა და მაინც ვერ დაედგინა თუ ვინ უნდა გამხდარიყო აურაცხელი ქონების მემკვიდრე.

ერთადერთი ადამიანი, რომელმაც მოახერხა ჟან ტიერის „ხელშეუხებელი“ ქონებიდან პატარა ნაწილის მითვისება, იმპერატორი ნაპოლეონ I იყო. მან ყოველგვარი იურიდიული კანონების გარეშე იტალიის ბანკს ძალით წაგლიჯა 132 მილიონი ლივრი, რომელიც თავისი ჯარისკაცების შესანახად გამოიყენა.

ჟან ტიერის ქონება ამჟამად რამდენიმე მილიარდ „მყარ“ ფრანკად არის შეფასებული. ამ ქონების მისაღებად ერთმანეთს გააფთრებით ეცილება 300-ზე მეტი ოჯახი.

გამდიდრების ციებ-ცხელებით შეპყრობილი „მემკვიდრეები“ რამდენიმე მტრულ ბანაკად არიან გაყოფილნი. მათ ჰყავთ თავიანთი ადვოკატები, იურისტკონსულები, შუამავლები, საქმის მწარმოებლები და სხვ.

მაგრამ ობობას ქსელით დახლართულ საქმეში ჩაფლული სასამართლო ვერ ბედავს საბოლოო გადაწყვეტილება გამოიტანოს და სხვადასხვა მოტივით ყოველთვის ახერხებს გადასდოს საჩივრების განხილვა.

სასამართლო პროცესი, რომელიც მე-17 საუკუნიდან დღემდე გრძელდება, წარმოადგენს თავისებურ რეკორდს, რომლის მსგავსი არ ახსოვს ისტორიას.



# ჩემპიონატის კიდევ ერთ ნაბიჯზე ქუთაისელები

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაზაფხულის სურნელებას თან მოყვა საფეხბურთო ციებ-ცხელება. კიდევ ორიოდე დღე და... გაცოცხლდებიან სტადიონის ტრიბუნები.

მართალია, ნამდვილი გულშემატკივარისათვის ფეხბურთის სეზონი არასოდეს მთავრდება, მაგრამ განსაკუთრებით სასიამოვნოა ის წუთები, როცა ანძაზე აფრიალდება პირველობის ალამი, უძლიერესი კოლექტივები წარსდგებიან ერთმანეთის წინაშე და აიღებენ ხანგრძლივი და წარმტაცი ჩემპიონატის პირველ აკორდს.

მიმდინარე წელს ორმაგი „საზრუნავი" გაუჩნდა ქართველ გულშემატკივრებს. ამიერიდან დიდ საფეხბურთო ჩემპიონატში ქართული სპორტის ღირსებას თბილისის „დინამოსთან" ერთად დაიცავს ქუთაისის „ტორპედო".

ღელავენ ქართველი გულშემატკივრები, ღელავენ ქუთაისელები. შეიძლება ითქვას, რომ ისინი ასეთი მოუთმენლობით ჯერ არასოდეს ელოდნენ საფეხბურთო სეზონის გახსნას. ქუთაისელებს პირველივე შეხვედრა ისეთ სახელმოხვეჭილ კოლექტივთან მოუხდება, როგორიც მოსკოვის „ტორპედოა".

ქუთაისელი გულშემატკივრები გრძნობენ, რომ დიდი ფეხბურთის დებიუტანტებს მოელით ბრძოლა უძნელეს ჩემპიონატებში და სახელმოხვეჭილ ფეხბურთელებთან. გრძნობენ და ღელავენ, მსჯელობენ, კამათობენ — შესძლებს თუ არა ქუთაისი შეინარჩუნოს მოპოვებული წარმატება?

რასაკვირველია, ამაზე ყველაზე მეტს თვითონ ფეხბურთელები და მწვრთნელები ფიქრობენ და არა მარტო ფიქრობენ, მთელი მონდომებით ემზადებიან კიდეც, რომ წელს განიმტკიცონ მდგომარეობა „ა" ჯგუფში, ხოლო მომავალში იბრძოლონ საფეხბურთო ჩემპიონატის მაღალი საფეხურებისათვის.

ქუთაისელები წელს განსაკუთრებულ სიძნელეებს წააწყდებიან. მათ თამაში მოუწევთ თითქმის სავსებით უცნობ მოწინააღმდეგეებთან. ეს მაშინ, როცა „ა" ჯგუფის „მუდმივი მობინადრენი" კარგად იცნობენ ერთმანეთის საიდუმლოს, თამაშის მანერას, ტაქტიკას, ცალკეული ფეხბურთელების პირად თვისებებს. ამიტომ ქუთაისელთა მწვრთნელებს ვ. რამიშვილს და ა. ნორაკიძეს, გუნდის უფროსს ი. ლობჟანიძეს ბევრი ისტორიული კურსივის ჩატარება დასჭირდებათ, რომ თავიანთ ბიჭებს „თეორიულად შეასწავლონ" მომავალი მეტოქენი.

ქუთაისელთა ღირსებას წელს კვლავ დაიცავენ რ. ურუშაძე, გ. მერაბიშვილი, გ. ცხოვრებოვი, ი. ლოსაბერიძე, გ. ნიშნიანიძე, ნ. სარჯველაძე, თ. პეტრიაშვილი, გ. სორდია, გ. ლეჟავა, ჯ. ხაჟალია, გ. გომელაური, ზ. მაჭარაშვილი, გ. კუბლაშვილი, ა. ავალიანი და სხვები. ამასთან გუნდი შეივსო რესპუბლიკის სხვა ქალაქებიდან გადმოსული ნიჭიერი ფეხბურთელებით. ესენი არიან ე. თორაძე (თბილისის „დინამოდან"), ა. მუმლაძე, ე. ოდიკაძე, ა. სიამაშვილი (თბილისის „ლოკომოტივიდან"), ვ. ჩხარტიშვილი (ბათუმის „დინამოდან"), ა. ზარანდია (სოხუმის „რიცადან").



რედაქტორი ა. ძიძიგური. სარედაქციო კოლეგია: ი. გიგინეიშვილი, ს. დურმიშიძე, მ. საკაშვილი,
პ/მგ. მდივანი თ. გოგოლაძე. ი. ტაბაღუა, ი. ციციშვილი, რ. ჩხეიძე, უ. ჯაფარიძე.

საქ. კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა | მხატვარი-რედაქტორი დ. ნოდია. ტექრედაქტორი დ. სეფიაშვილი.

რედაქციის მისამართი: თბილისი, რუსთაველის პრ. № 42, IV სართ. ტელ. — რედაქტორის 3-34-66, პ/მგ. მდივნის — 1-52-69, განყოფილებების — 3-28-42

რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ. ფასი 30 კაპ. ჩანართი გვერდები დაბეჭდილია ფოტოცინკოგრაფიაში

ხელმოწერილია დასაბეჭდად 5/V-62 წ. გამომც. № 36, ქაღ. ზომა 70×108 1/8. 1,5 ქაღ. ფურც. ნაბეჭდი ფურც. 4,11. საავტორო ფორმათა რაოდ. 4,79.
პირობით ფორმათა რაოდენობა 4,8. ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 4,8. ტირაჟი 20.000, შეკვ. № 687, უე 05308

Ежемесячный общественно-политический и литературно-художественный журнал „Дроша" (на грузинском языке) Издательство ЦК КП Грузии

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის პ/კ „კომუნისტი", თბილისი, ლენინის ქ. №14.



ქუთაისის «ტორპედოს» უფროსი მწვრთნელი ვ. რამიშვილი გუნდის წევრებს ესაუბრება ვარჯიშის დაწყების წინ.

გუნდის ხელმძღვანელობამ აიყვანა აგრეთვე რამდენიმე ნიჭიერი, მზარდი ფეხბურთელი, რომელთა შორისაც განსაკუთრებით გამოირჩევიან ა. კუტივაძე და ჯ. ხერხაძე.

ქუთაისი საუკეთესო სპორტული ტრადიციების ქალაქია. არა ერთი და ორი სპორტსმენი აღზრდილა აქ, რომლებმაც სახელი და დიდება მოუტანეს საბჭოთა სპორტს. ქუთაისის „ტორპედოელებმა" უნდა დაამტკიცონ, რომ მათი წარმატება შემთხვევითი არ ყოფილა.

მიმდინარე სეზონში განსაკუთრებული სიძნელეების წინაშე დგანან თბილისის „დინამოელები". მათი სამი წამყვანი მოთამაშე თითქმის მთელი პირველი წრის განმავლობაში ითამაშებს საბჭოთა კავშირის ნაკრების შემადგენლობაში, ჩილის ჩემპიონატში. ამიტომ გუნდს მოუწევს მთელი ძალების მობილიზაცია ამ დიდი დანაკლისის ასანაზღაურებლად.

თბილისის „დინამო" ამდენი ნიჭიერი ფეხბურთელით არასოდეს არ ყოფილა დაკომპლექტებული, თუმცა მათი სპორტული მაჩვენებლები საწინააღმდეგოზე მეტყველებენ. წარუმატებლობის ძირითადი მიზეზი იყო ცუდი ტაქტიკური მომზადება, ისინი მოედანზე აზროვნებით მაინცდამაინც თავს არ იწუხებდნენ და მოწინააღმდეგის დაჩაგვრას ძირითადად ტექნიკური უპირატესობით ცდილობდნენ. წარსული სეზონიდან მეხსიერებაში ჩაგვრჩა რამდენიმე კარგად ჩატარებული მატჩი და უფრო მეტი — უსიამოვნო მოგონება.

თბილისის „დინამოს" თამაშის სტილსა და მანერას საფუძვლიანად იცნობენ დანარჩენი გუნდები და სამწუხაროდ, უნდა ითქვას, რომ არასოდეს არ ელიან მათგან ტაქტიკური ბრძოლის გართულებებს და მოულოდნელობებს. მათ ძირითადად ბრძოლა უხდებათ თბილისელთა მაღალი ტექნიკის წინააღმდეგ, ცალკეულ ნიჭიერ ფორვარდთა დრიბლინგისა და გასვლების წინააღმდეგ.

დინამოელებმა, როგორც მწვრთნელებმა, ასევე ფეხბურთელებმა კარგად გაითვალისწინეს ეს მდგომარეობა და მთელი გუნდი დიდი სერიოზულობით შეუდგა სამზადისს მომავალი ჩემპიონატისათვის.

თბილისის დინამოელები წლევანდელ სეზონში არ ითამაშებენ მარტო თავისი ტრადიციული სისტემით 1—3—2—5. ხშირად მათი განლაგების სქემა იქნება 1—4—2—4 და 1—3—3—4. ამ სქემებიდან გუნდის მწვრთნელს ა. ღოღობერიძეს განსაკუთრებით მოსწონს 1—3—3—4. მესამე ნახევარმცვე-

თბილისის დინამოელები. მარცხნივ—გუნდის კაპიტანი შოთა იამანიძე.



ლის ფუნქცია დაეკისრება გუნდის კაპიტანს შ. იამანიძეს, რომელიც ჩინებულად ფლობს ბურთის ტარების ხელოვნებას და იქნება თავდამსხმელთა გამთამაშებელი.

წლევანდელ სეზონში ცენტრალური მცველის პოსტს დაიჭერს ნიჭიერი ახალგაზრდა ფეხბურთელი ხურცილავა. იგი მოედანს კარგად ხედავს და შეუძლია უნაკლოდ ითამაშოს ზონალური დაცვა. ხშირად ხურცილავას აკლია სისწრაფე, რაზეც მან განსაკუთრებით უნდა გაამახვილოს ყურადღება.

მთელი პირველი წრის განმავლობაში თბილისელთა კარს დაიცავს რ. კავსხაძე. იგი ნიჭიერი მეკარეა, აქვს კარგი რეაქცია, მაგრამ ჯერ კიდევ სუსტად თამაშობს საჯარიმო მოედანზე. საერთოდ, წელს ბევრ სათადარიგო ფეხბურთელს მიეცემა საშუალება გამოამჟღავნოს თავისი შესაძლებლობანი მეტად საპასუხისმგებლო თამაშებში.

მწვრთნელებმა დიდი ყურადღება დაუთმეს ცალკეულ ფეხბურთელთა ფიზიკურ მომზადებას. ამ სექტორს ხელმძღვანელობს ცნობილი მწვრთნელი მძლეოსნობაში ელიაშვილი. გუნდის მთავარ მწვრთნელად მოწვეულია მიხეილ იაკუშინი.

ჩემპიონატის ალამი ელის ანძაზე აფრიალებას.

გუნდები მზად არიან ყველაზე წარმტაცი ასპარეზობისათვის. რაც შეგვეხება ჩვენ — ქართველ გულშემატკივრებს, როგორც ყოველთვის, საუკეთესო „სპორტულ ფორმაში ვიმყოფებით", მზად ვართ სიყვარულით, აღტაცებით და ოვაციებით შევხვდეთ ქართველ ფეხბურთელთა ყოველ წარმატებას.

ხელბურთი სპორტის არც თუ ახალი სახეობაა. მის სამშობლოდ თვლიან დანიას, სადაც გასული საუკუნის მიწურულში, უფრო სწორად 1898 წელს, მასწავლებელმა ჰოლგერ ნილსენმა სკოლაში მოწვეულ თავის მეგობრებს აჩვენა „უცნაური" მატჩი. თამაში, რომელსაც ნილსენმა „განდბოლი" უწოდა, სულ მალე პოპულარული გახდა. მას უკვე თამაშობდნენ ევროპის ბევრ ქვეყანაში — გერმანიაში, შვეციაში, საფრანგეთში, ავსტრიაში და სხვ. იგი დაინერგა აფრიკის კონტინენტზეც — ტუნისი, ეგვიპტე, მაროკო. ჩვენს ქვეყანაში სპორტის ამ სახეობას ვხვდებით 1909 წლიდან.

ხელბურთის ორი ნაირსახეობაა — 11×11 და 7×7. უკანასკნელ წლებში უფრო პოპულარული გახდა 7×7, რომელშიც შეჯიბრებები 1959 წლიდან სისტემატურად ტარდება. საკავშირო ჩემპიონატი მხოლოდ მიმდინარე წელს მოეწყო. დასკვნით შეხვედრებში, რომელსაც უნდა გამოერკვია ჩვენი ქვეყნის ჩემპიონის ოქროს მედლის მფლობელები, მონაწილეობდა რვა უძლიერესი გუნდი, მათ შორის თბილისის „ბურევესტნიკის" ვაჟთა კოლექტივი. თბილისის გუნდმა უკანასკნელ ხანებში წარმატება მოიპოვა მრავალ საერთაშორისო და საქალაქთაშორისო შეხვედრებში. გამარჯვებები უნგრეთის, დანიის, ჩეხოსლოვაკიის უძლიერეს ხელბურთელებთან, პირველი ადგილი ჩვენს დედაქალაქში მოწყობილ საკავშირო პირველობის ზონალურ ტურნირში იმას მოწმობდა, რომ თბილისელი სტუდენტები პირველ ჩემპიონატში გამარჯვების ერთ-ერთი ძირითადი პრეტენდენტები იქნებოდნენ.



სპორტის სპეციალისტების ვარაუდი გამართლდა: კაუნასის „სპორტ-ჰალეში" გამართული ჩემპიონატის ყველა შეხვედრა თბილისელმა ხელბურთელებმა დიდის აღმავლობით ჩაატარეს და მოიპოვეს ჩვენი ქვეყნის პირველი ჩემპიონის წოდება. ამას ისიც დაემატა, რომ პირველობაზე დაწესებული სამი სპეციალური პრიზი ქართველი ხელბურთელების საკუთრება გახდა. სსრ კავშირის ნაკრები გუნდის წევრს ჯემალ ცერცვაძეს გადაეცა ჯილდო ყველაზე მეტი ბურთის გატანისათვის, მეკარე აბაიშვილს — ყველაზე კარგი თამაშისათვის, თბილისის „ბურევესტნიკის" გუნდს — ყველაზე კორექტული თამაშისათვის. ამასთან ერთად გუნდმა მოიპოვა ევროპის ჩემპიონთა თასის გათამაშებაში მონაწილეობის უფლება.

ეს იყო ქართული სპორტის პირველი დიდი გამარჯვება მიმდინარე წლის სპორტულ სეზონში.



ეროვნული
ბიბლიოთეკა